1854
2016

# სამთავროს მაყვლოვანი

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამოცემა.
(გამოდის 2010 წლის 5 ივნისიდან)

7 აპრილი 2016. №1-2 (22-23)



გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის „მაყვლოვანის“, – გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელნი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერ–მონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა, ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „მაყვლოვანის“ გამომცემელნი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

25 მაისი 2010 წელი

© ყველა საავტორო უფლება დაცულია. ჟურნალ „სამთავროს მაყვლოვანში“ გამოქვეყნებული ტექსტებისა და ფოტომასალის გამოყენება აკრძალულია რედაქციის ნებართვის გარეშე.

ISSN 1987-5207
უაკ (UDC) 27 + 271.2
მ – 407

ჟურნალ-გაზეთების სარეცენზიო სამსახური
ძირითადი რეგისტრაციის №
მიმდინარე რეგისტრაციის № 1-2 (22-23)
20.03.16.
თარიღი
დასახელება: ჟურნალი მაყვლოვანი
რეცენზენტი: [illegible]

# შინაარსი


საქართველოს ეკლესია იყო, არის და იქნება, მართლმადიდებლობის დამცველი.........................4

წმიდა ეფრემ ასური ანდერძი..........................................................................6

განგებაი წმიდისა დედისა ჩვენისა მოციქულისა ნინოისი................................................14

წმიდა თეოდორე სტუდიელი პოვნა იოანე ნათლისმცემელის თავისა.............37

არქიმანდრიტი ბასილი (კაკიაშვილი) მონაზვნობისათვის.........................................................41

მონაზვნური სულის აღორძინება.........................44

წმიდა ექვთიმე კერესელიძე კეთილი ცხოვრების სახელმძღვანელო.........48

იღუმენია ნინო ამილახვარი (წერილები)......52



**რედაქტორი:**
**მონოზონი ანა (ნიაური)**

**სარედაქციო კოლეგია:**
**არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)**
**იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)**

**კომპიუტერული მომსახურება:**
**მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)**

**მისამართი: მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი. მირიან მეფის ქუჩა N 3**

**ტელ: 593 76 31 87; 593 30 07 07**

**ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com**

**ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700**

# „საქართველოს ეკლესია იყო, არის დ



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა
და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი,

**უწმიდესი და უნეტარესი ილია II:**

* * *

„ივნისის თვეში ჩატარდება მართლმადიდებელ ეკლესიათა კრება და იქნება განხილული ზოგიერთი საკითხი. უნდა ითქვას რომ ყველაზე დიდი სიმტკიცე, მართლმადიდებლობის ერთგულება გამოიჩინა ჩვენმა დელეგაციამ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს ეკლესია იყო, არის და იქნება მართლმადიდებლობის დამცველი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარყოფს ეკუმენიზმის შესახებ დოკუმენტის პროექტს, რომელიც დიდი კრებისთვის მომზადდა. ჩვენი ეკლესია არის ის, რამაც იხსნა ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა.“

16.02.2016

* * *

„უფალი ბრძანებს, კლდესა ამას ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას. დიდება უფალს და მადლობა უფალს, რომ უფალმა მოგვცა ჩვენ ნავსაყუდელი ეკლესიის სახით. ეკლესია — ეს არის კარიბჭე სამოთხისა, კარიბჭე სასუფეველისა.

ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც არის წევრი მართლმადიდებელი ეკლესიისა. მართლმადიდებელი ეკლესია არის ის ეკლესია, რომელიც დააარსა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რომელსაც ვერ მოერევიან ბჭენი ჯოჯოხეთისანი. ეკლესია არის ის ძალა, რომელიც იცავს ადამიანს, ხილული და უხილავი მტრებისაგან, რომელიც აძლევს მას მადლსა და ძალას, მადლსა სულისა წმიდისა, შვიდი საიდუმლოს სახით...

მართლმადიდებლობა არის ერთადერთი გზა, გზა სასუფეველისაკენ. მართლმადიდებლობა არის ის ეკლესია, რომელიც ატარებს რწმენას და ტრადიციებს, განუყოფელი სამოციქულო ეკლესიისას...

ივნისის თვეში ჩატარდება მართლმადიდებელი ეკლესიების კრება და იქნება განხილული ზოგიერთი საკითხი. ჩვენ, როგორც ვიყავით, ისე დავრჩებით ძველ სტილზე და უნდა ითქვას რომ ყველაზე დიდი სიმტკიცე, მართლმადიდებლობის ერთგულებისა, გამოიჩინა ჩვენმა დელეგაციამ.

... მე კიდევ ერთხელ მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს ეკლესია იყო, არის და იქნება, მართლმადიდებლობის ერთგული, აწ და მარადის. საქართველოს ეკლესია ის ეკლესიაა, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი ერი ნგრევისაგან და მომავალშიც ჩვენი ეკლესია იქნება მართლმადიდებლობის სადარაჯოზე...“

31.01.2016

31538



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმიდა ეფრემ ასური

## ანდერძი

მივიცვალები მე – ეფრემ და ვწერ ანდერძს, რამეთუ მსურს ყოველს ვუწილადო რაჲცა მაბადია და მცნობელნი ჩემნი მიხსენიებდნენ ამა სიტყვათაგან.

ვაი, რომ ჟამი ჩემი გარდახდა და მდინარება წელთა ჩემთა განქარდა. ხორცნი განილია და ნავი მიადგა ნაპირს.

ლამპარში ზეთი დაშრეტილა და დღენი ჩემნი გარდასულან. მსახურმა აღასრულა წუთისოფელი და მოგზაურმა განვლო ჟამი კუთვნილი.

გარემომადგნენ მე მცველნი და ვითარცა ავაზაკსა ქედსა ზედა დამადგნეს ჯაჭვნი.

ვის შევღაღადო ანუ ვის ვუხმო შველად, რამეთუ არავინა ჩანს მხსნელი! და ვაი, შენდა ეფრემ, ოდეს სამსჯავროდ წარსდგე წინაშე ძისა! და გარემოგადგნენ შენ მცნობელნი შენნი!..

ვაი სირცხვილო! და ვაი იქ განკიცხულთა!

შენ საჯე, უფალო, ეფრემ და ნურვის მისცემ სხვათ განსასჯელად; რამეთუ ღმერთი, რომელსა განიკითხავს, მასვეცა სწყალობს სამსჯავროდ.

ბრძენთაგან ესრეთ მსმენია და წინამძღვართაგან მცნობია: რომელი ხედვიდეს პირსა ღმრთისასა, დაღათუ ცოდვილ იყოს, სიკვდილსა არა მიეცემის.

ვაი არს ჩემდა, ძმანო! რაი მეწია მე?! სტიროდეთ და მოთქმიდეთ ხვედრისა ჩემისათვის; რამეთუ მაჭირვებელნი ჩემნი მოვიდნენ მოსწრაფედ ჩემდა და შეპყრობად და წარტყვენად მრავალთა სხვათაებრ.

ფრიად მაშინებს წინასწარმეტყველ ოსეს ´სიტყვანი, რომლითა მყვედრის და მკიცხავს: „ჭაღარა შეერია ეფრემს, მას კი ვერაფერი შეუტყვია“ (ოსე 7, 9). და კუალად იტყვის ოსე: „გაწვრთნილი ხბოა ეფრემი, მე თავად გადავივლი მის ქედზე და გავხედნი მას“ (ოსე 10, 11).

გარნა თუ ვინმე იტყვის, რომ ოსე ამას იოსების ძის ეფრემისათვის ამბობს, მაშინ მე ვარწმუნებ მათ, რომ წინასწარმეტყველი ოსე ეფრემს – ეფრემისაგან არ განარჩევდა, ხოლო მე – სხვათ რომელთაგანმე.

მცირედღა მამშვიდებს დავით წინასწარმეტყველი, რომელი იტყვის: „ეფრემ, დამამტკიცებელი თავისა ჩემისა“ (ფს. 59, 9). ღმერთია მოწამე, ძმანო, თავს არ ვიწონებ; არამედ გმოძღვრავთ თქვენ, გსწავლით და გაუწყებთ, რაჲთა მომიხსენებდეთ მცნობელნი ჩემნი სიტყვათა ოდენ ჩემთათვის მაინც.

აწ განვწესებულვარ და აღვესრულები, მოვედინ და თვალნი დამიხუჭენით. განგეშორებით და ძალი არ შემწევს დაშთომად.

ვფიცავ სიცოცხლეს თქვენსას, მოწაფენო ჩემნო და სიცოცხლეს თვით ეფრემისას, რომ არღა გარდმოვალს იგი სარეცელით; რამეთუ მძიმე სენს შევუპყრივარ და დაუთმენელ არს ტანჯვაჲ ჩემი.

სასწაულს გიჩინებთ და სარკეს გიდგამთ, რაჲთა მოჰხედოთ მასში გამოსახულს და ჰბაძევდეთ, მას.

დღითა თუ ღამით, სიცოცხლეში არვინ მიზრახავს და დღიდგან ჩემის არსებობისა არც ვისმე წავკიდებივარ. გარნა ხშირად ვპაექრობდით განდგომილებთან, შორის კრებულისა. ხოლო ესეცა უწყოდეთ, რამეთუ მწყემსნიცა სცემენ თვისთა ძაღლთა, ოდეს მომხვდურ მგელს არა შეჰყეფენ.

ბრძენს არვინა სძაგს, გარნა ხოლო ბრიყვი. და მსგავსადვე, ბრიყვსაც არავინ უყვარს - ოდენ თუ ბრიყვი.

ნუ გიკვირთ, ძმანო, უკეთუ მორჩილებაში წვრთნის ჟამს ვინმე განმიდგა. თორმეტ მოციქულთაგანაც იყო ერთი გამყიდველი – იუდა; ესეც უწყოდეთ, რომ ვენახში ჯერეთ ეკალ-ბარდი აღორძინდება. წინაშე თქვენსა, ვითარცა ერთგულ და ჭეშმარიტ ძმათა წინაშე ვმოწმობ, რომ რწმენა ჩემი საღია და ურყევი. ხოლო მსურს რომ მტკიცედ ეგოს ზრახვა თქვენიცა მართალთა ურღვევ და ერთსულ სარწმუნოებაზედ.

ვფიცავ სინას მთაზე გარდამოსულ წყალობის მომცემელს (გამოსვლ. 17.6), და

ვფიცავ მღაღადებელსა: „ელოი!“ (მარკ. 15, 6) და მით ღაღადებითა, ყოველთა ქმნულთა შემძვრელსა;

ვფიცავ, ძლიერებას და დიდებას მისას, ვინაც ყვრიმალში იცემა და ჰნერწყვიდნენ და დაითმინა;

ვფიცავ, სამ პიროვნებას ცეცხლისას (2 სჯ. 4, 33) და ერთარსებას ღმრთისასა და ერთსა ნებასა, რომ არ განვდგომილვარ ეკლესიას და არ აღვდგომილვარ ღვთის ყოვლისმპყრობელობას.

დაღათუ მამა მედიდებინოს გონებით უმეტეს ძისა, დაე, ნუ შემიწყალოს მე ერთარსმა ღმერთმან; დაღათუ სული წმიდა მცირედ მგონებოდეს, ვინემ მამისა და ძისა, დაე, წყვდიადმა დაჰფაროს თვალნი ჩემნი.

დაღათუ სხვაგვარად მრწმენეს, ვინემ ვიტყოდი, წყვდიადს მივეცე უკუნეთს; უკეთუ ფარისევლობით ვიტყოდე, ასპიტთა თანა შევიწვა ცეცხლში.

გარნა თუ ამას კაცთმოთნებისათვის ვიტყოდე, ნურღა შემისმენს ღმერთი სამსჯავროს.

მოწაფენო ჩემნო, ვფიცავ სიცოცხლეს თქვენსას და სიცოცხლეს ჩემსას: ეფრემს არ გააჩნია საკუთრება, არცა კვერთხი და არცა საყუდელი, რამეთუ მესმა სიტყვა ღმრთისა ჩვენისა: „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა“ (მათე. 6, 19).

მოვედინ, ძმანო, მშვიდობა მეცით და განმიტევეთ აწვე, რამეთუ განგეშორებით; და გაფუცებთ, საყვარელნო, მომიხსენებდით ლოცვებში; რამეთუ ცოდვილმა, ამაოებაში განვვლე დღენი ჩემნი.

გაფუცებთ, მოწაფენო ჩემნო, ურღვევ ფიცითა, ნუ გააცდუნებთ სიტყვათა ჩემთა და ნუ გარდახვალთ მოძღვრებას ჩემსას! დაღათუ ვინმემ დამდვას ქვეშე საკურთხეველისა, მას ნუ ეხილოს საკურთხეველი ღმრთისა;

დაღათუ ვინმემ დამდოს ტაძარსა, ნუღა ეხილოს ნათელი ტაძრისა, რამეთუ ფუჭია უღირსთათვის ამო დიდება.

შიშვლად წარსდგება ყოველი პასუხისგებად და რაისთვის პატივსჰყოფთ მას, ვინც არ დაიცვა ღირსება თვისი? ხოლო რომელმან არა ადიდა თავი თვისი, ნურცა სოფელმან ადიდოს იგი.

ყოველი წარვალს, ვითარცა გესმით ღმრთისა ჩვენისაგან (მათე. 24, 35) და ამისათვის ცრემლითა ვიტყვი, რომელ წერილ არს: ვითარმედ ქვათაგან ნაგები ტაძარი ირღვევა, ხოლო ტაძარი ხორციელი აღსდგება განსაკითხველად სამსჯავროდ. გარნა უფალი ჩვენი არა თუ ქვათა განმიკითხავს, არამედ – ძეთა კაცთასა.

ნურაფერს აღიღებთ ჩემგან სახსოვრად, ძმანო ჩემნო, შვილნო ჩემნო და შვილნო ეკლესიისანო; რამეთუ სახსოვრად თქვენდა იგი არს, რაჲცა გესმით ცხოვრების მომნიჭებელისა ჩვენისა ღმრთისაგან.

გარნა თუ რასმე აღიღებთ ეფრემისაგან, ეფრემსავე მოეკითხება, რამეთუ მეტყვის მე უფალი: უმეტეს ჩემდა სწამდათო შენი; დაღათუ ჩემდა სასოებდნენ, მაშინ შენგნით, სახსენებლად შენდა, არაფერს წაიღებდნენო.

ნუცა წმიდათა თანა დამასვენებთ, რამეთუ ცოდვილ ვარი მე და ყოვლად უღირს. ხოლო მაშინებს ნაკლულებისა ჩემისათვის, სიახლოვე წმიდათა ძვალთა.

ცეცხლთან მიახლოვება ჩალასა შესწვავს და აღაგზნებს. ამისთვის ვშიშობ და ესრეთ ვიტყვი; გარნა ნუ ჰგონებთ ვინმე, ვითარმედ მძაგდეს მე სიახლოვე წმიდათა.

წინასწარმეტყველისაგან მსმენია, ვითარმედ: ნოემ, იობმა და დანიელმა ვერ იხსნან მახლობელნი თვისნი (იეზეკ. 14, 14, 18); და კუალად წერილ არს: „ძმამან ვერ იხსნას ძმა და ნათესავმან ნათესავი“ (ფს. 48, 7).

რომელმან ხელთა ზედა თვისთა აღმიქუას მე და ესრეთ წარმიღოს, კეთრმან დაფარნოს ხელნი მისნი მსგავსად გეეზისა; არამედ მსწრაფლ წარმოიღებდით საკაცითა და დამდებდით, ვითარცა საძაგელსა, რომელმან ცუდად განვვლიე დღენი ჩემნი.

რაისათვის უნდა მადიდოთ, ოდეს შეგინებული ვარ წინაშე ღმრთისა, და რაისათვის უნდა ნეტარმყოთ, ოდეს საქმენი არა მაქვს კეთილნი.

გარნა თუ ვინმე აღწეროს საქმენი ჩემნი, პირზე მნერწყვიდეთ ყოველნი; ხოლო თუ ცოდვის სიმყრალეს აგრძნებს ვინმე, მაშინ ყოველი განელტვის საძაგელებას ეფრემისას.

უკეთუ ვინმე ჩამატანდეს საფლავში სამოსელს ძვირფასს – წყვდიადს მიეცეს იგი უკუნეთს; ანუ თუ ძოწეულს ვინმე ჩა-

მატანდეს – ცეცხლსა მიეცეს იგი უკუნეთს.

ცოდვილ ვარი მე, ვითარცა ვსთქვი ერთგზის და ნურვინ სათნომიყოფდეს.

განცხადებულ არს ღმრთისადმი საქმენი ჩემნი და მან უწყის ყოველი უსჯულოებაჲ ჩემი, რაჲცა მიყოფიეს. შეგინებულ ვარ მწიკვლთაგან და უწესოებათა და ურცხვინოებათა ჩემთაგან და დაბნელებულ ვარ მე ცოდვათაგან.

უწმინდურება ყოველი და ყოველგვარი ცოდვაა ჩემში დავანებული. ჩემშია ურცხვება, უსჯულოება და სიავე ყოველი.

მოვედით ედესელნო, ძმანო ჩემნო, მეუფენო, ჩემნო შვილნო და მამანო ჩემნო, მოიღეთ აღთქმულნი თქვენნი და დასდევით სამარესა ძმისა თქვენისა თანა;

მოიღეთ აღთქმულნი თქვენნი და დასდევით წინაშე ჩემსა, რაითა გონების მიხდამდის თავად განვუწესო ფასი.

გაჰყიდეთ სამოსელი ძვირფასი და საფასე მათი განუყავთ გლახაკთა. თავის სარგებელს ჰპოვებთ და მეც წამადგება; რამეთუ მადლი ღმრთისა მოგაგებთ თქვენ ამისთვის – ვითარცა გამღებელთა, ხოლო მე კი – ვითარცა მრჩეველსა.

გარნა სხვაა სასყიდელი საქმეთათვის და სხვაა – სიტყვათათვის. გამღებელი უმეტეს მომღებელისა არს, ვითარცა გესმათ, საყვარელნო (საქმ. 20, 35).

გმადლობთ, ძმანო მისთვის, რაჲცა მიწილადეთ და რაოდენიცა მაგეთ პატივი, გარნა კი უღირს ვარი მე, რამეთუ ცოდვათა შინა აღვასრულე მე ჟამი ჩემი.

ღირსმყოფი წინასწარმეტყველისა, სასყიდელსა წინასწარმეტყველისასა მოიღებს, ვითარცა გვარწმუნებს მოძღვარი ჩვენი (მათე. 10, 41), ხოლო თქვენ უწყით, რომ იგი არა მტყუვარ არს.

დაღათუ ცოდვილ ვარ, არამედ ქრისტე მოგიზღავთ თქვენ; რამეთუ მისთვის და სასოებითა მისითა მომაგეთ მე პატივი ესე. რომლისთვისაც ღირსმყოფდით, საყვარელნო. მისგან მოიღებთ სასყიდელს აღთქმათა თქვენთათვის და შეიწირავს უფალი შეწირულებათა თქვენთასა. თუმცაღა არა ვარ მე წინასწარმეტყველი, არამედ – სასყიდელსა წინასწარმეტყველისასა მოიღებთ თქვენ.

კურთხეულ არს თქვენით დასახლებული ქალაქი ედესა – მშობელი ბრძენთა! ქალაქი იგი ცხოველსმყოფელითა პირითა თვისითა აკურთხა ძემან, მეოხებითა მოწაფისა თვისისათა. დამაარსებელმან მის ქალაქისამან, მეფემან ავგაროზ, ინება შეწყნარება ყოველთა მეუფისა, ქრისტე მაცხოვრისა, და კაცნი წარგზავნა საუწყებლად სიტყვათა: „მესმა ყოველი ქმნულნი შენნი და ყოველნი, რაჲცა დაითმინე განდგომილთა იუდეველთაგან. მოვედ და დაემკვიდრე ჩემთანა. მცირე ქალაქი ჩემი მსახურ შენდა და ჩემდა იქნების“. მაშინ, რწმენითა მის მეფისათა განკვირვებულმან, უფალმან, უკვდავნი მახარობელნი წარგზავნა და აკურთხა ქალაქი იგი და განამტკიცა საფუძველი მისი.

და იყოს კურთხევა ესე მისზედა, ვინემ არ მოვალს წმიდაი!

ვინაც ჩემდამო აღთქმულთაგან დაინარჩუნოს რაიმე, დაე, ანანიას სიკვდილით მოკვდეს იგი, რომელმან იზრახა ცრუყოფა მოციქულთა და დაეცა მკვდარი წინაშე ფერხთა მათსა.

ოდეს ამას იტყოდა ეფრემ, იქ მდგომთაგანი კაცი ვინმე, დიდგვაროვანი ფრიად, უწმიდურ სულისაგან დაეკვეთა და ხმა ჰყო, ხმითა დიდითა. ეფრემმა უთხრა მას: “რაი გიყოფიეს შენ, კაცო?! და ამათ სიტყვათა თანა მეყვსეულად აღსდგა კაცი იგი და მიუგო ეფრემს: – „ძვირფასი სამოსი მოვიტანე შენდა წარსატანებლად, ხოლო ოდეს უარჰყავ ყოველი წარსატანელი, აზრი ვიცვალე და ვსთქვი: „უკეთუ არათანა წარიღებს ამგვარს სამოსელს, ძვირფასს, მაშინ რისთვისღა გამოვაჩინო იგი? დაღათუ გლახაკთ განკითხვისათვის იტყოდი, მაშინ ვიზრახე სხვას რასმე განვუყოფდი მათ“. ნეტარმა უპასუხა: – „წარვედ და აღასრულე ზრახვა შენი“. დალოცა იგი და ხელდასმით განკურნა უწმიდურ სულისაგან. და ეფრემ კუალად იწყო სიტყვად:

ვინაც ცვილის სანთლით წარმიძღვეს, დაე, შინაგანმან ცეცხლმან მისმან შეწვნას იგი. რამეთუ რად უნდა მას ცეცხლი, რომელს საკუთარი ცეცხლი სწვავს? და რაც უფრო მსწრაფლ ეგზნება ხილული ცეცხლი, მით აღეგზნება შინაგანი, იდუმალი ცეცხლი.

კმა არს ჩემდა შინაგანი სენი ჩემი – ნუ გაამძაფრებთ მას გარეგანითაც. უმჯობესია ცრემლეოდეთ, ძმანო ჩემთვის, მეგობართა და ყოველთა მსგავსთა ჩემთათვის.

ცოდვათა და ამაოებათა შინა განვვლე მე დღენი ჩემნი, და დღესა მას, ოდეს არა ვსასოებდი, მეწია და დამეცა მე მპარავი; და ჟამსა მას, ოდეს არა გულისხმავჰყოფდი, მოვიდა მტაცებელი და მაიძულებს მე განსვლად, ჩემთვის უხილავ ქვეყნად.

გაფუცებ შენ, მიმტაცებელო ჩემო, ნუ მარცხვენ და ნუ მტანჯავ მე. გარნა თუ ცოდვათა ჩემთაებრ მიყოფოდე, შიშითა დიდითა მოვიცვი და რაჲ მეყოს მე მაშინ?!

ოდეს საქმეთა ჩემთა მოვიხსენებ, - მუხლი მეკვეთება, კბილთ მაცემინებს და ზარი მიპყრობს.

რამეთუ დღიდან შობისა ჩემისა, ყოველთა დღეთა შინა, ყოვლითურთ არარაჲ კეთილი მიქმნია.

საფლავში საკმეველს ნუ ჩამატანთ, რამეთუ ფუჭია ჩემთვის პატივი ესე. ნურც კეთილსუნელებათა დასდებთ ჩემთანა, რამეთუ ვერ მიხსნან მათ განკითხვისაგან.

საკმეველი საკურთხეველში აკმიეთ, ხოლო მე ლოცვითა განმიტევეთ. კეთილსურნელებანი შესწირეთ ძღვნად ღმერთსა, ხოლო მე ფსალმუნთმეტყველებით მიმაბარეთ მიწას.

ნაცვლად საკმეველთა და კეთილსურნელებათა ფუჭად ხარჯვისა, ლოცვათა შინა მომიხსენებდით; გარნა რას არგებს მკვდარს კეთილსურნელი, რომელს იგი ვერღა გრძნობს? საკმეველი საკურთხეველში აკმიეთ, რაჲთა მასში შემავალნი აღივსებოდნენ კეთილსურნელებითა.

ბალღამის სიმყრალეს ნუ შეჰხვევთ აბრეშუმის სამოსში, რაჲც არაფრის მაქნისია. უტიეთ ცხედარსა წოლად მწვირეზე, რამეთუ არღა აგრძნებს იგი პატივსა.

დიდებულება მდიდარსა შვენის, ხოლო მწირს – უპატიოება; მეფის ჩამომავალთა ხვედრია სამეფო, ხოლო უცხოსთვის – მიუსაფარობა.

ნუ დამფლავთ საფლავთა თქვენთა შინა; რამეთუ არას მარგებს მე მოსართავები თქვენნი; ხოლო მე ღმერთსა აღვუთქვი, რაჲთა დამმარხვიდნენ გლახაკთა თანა.

და მეცა მსგავს ვარ გლახაკთა და მათვე თანა განმისვენეთ, ძმანო! ყოველ ფრინველს თანაგვარი თვისი უყვარს, და კაცთაცა მსგავსნი თვისნი უყვარან.

დამდევით მე სამარხსა მათსა, საცა გულითა შემუსრვილნი განისვენებენ; რაჲთა ძე ღვთისამ ჟამსა მეორედ მოსვლისასა მაპკუროს მეცა და აღმადგინოს მათვე თანა.



მიძინება წმიდა ეფრემ ასურისა

მოხედე, ღმერთო, აღთქმათა ჩემთა და გარდამოავლინე მადლი შენი ჩემზედა; და გევედრები შენ, ძეო მოწყალებისაო, ნუ განმიკითხავ ცოდვათა ჩემთაებრ.

„უკეთუ უშჯულოებათაებრ მიაგებდე, უფალო, უფალო, ვინ-მე დაუთმოს?“ (ფს. 129, 3). დაღათუ მოჰკითხო, არვინ განმართლდეს წინაშე შენსა.

„ყოველი პირი დაიყოს“, ვითარცა წერილ არს, „და სასჯელსა თანამდებ იყოს ყოველი სოფელი ღმრთისაჲ“ (რომ. 3, 19). არათუ სასოწარკვეთითა ვიტყვი ესრეთ, არამედ, რაჲცა წერილ არს, მასვე ვზრახავ.

რაჲ მოიღო ძეო მოწყალებისაო, დაღათუ ცეცხლსა მივეცე? გარდამოავლინე ჩემზე-

და წყალობა შენი, რაჲთა განცხადნეს მადლი შენი.

დაღათუ მკაცრად განიკითხო, მაშინ ვითარღა გვაუწყა ჭეშმარიტებამან შენმან: არცა ერთი განმართლდეს ათასთაგან და არცა ორი – მრავალთაგანო? (ფს. 13, 3).

ნუთუ ის გამშვიდებს, ეფრემ, რომ არა განვიკითხავ კაცთა, რომ მართალნი უსჯულოთა თანა გატოლდებიან ანუ უმწიკვლონი და სათნონი – ბოროტთა თანა? – ნუ იყოფინ; არაოდეს იქნება ზიარება ნათლისა ბნელისათანა. ვითარ გატოლდეს აბელი და მკვლელი მისი კაენი? ანუ ვით შეიძლება წამებულთა და მაჭირვებელთა მათთა თანამკვიდრობა, ოდეს წამებულნი ჰღაღადებენ და სწამებენ მათთვის. იმას როდი ვამბობ და ვითხოვ, კეთილი ბოროტთან გასწორდეს; არამედ, შენ გევედრები ძეო სათნოებისაო, შემიწყალო მე და მეგობარნი ჩემნი და მსგავსნი ჩემნი.

ამას ვიტყოდი და ვიტყვი და არა განვეყენები სიტყვათა ჩემთაგან: უკეთუ შენ არა მოიღო მოწყალება უფალო, ვერვინ იხილოს სასუფეველი.

რამეთუ ყოველთა ხორცშესხმულთაგან, ერთია მხოლო უცოდველი. და არა ოდენ იმისთვის ვიტყვი ესრეთ, რომ თავად ცოდვილი ვარ, არამედ წერილიცა მასვე გვაუწყებს, ჭეშმარიტად.

„თავი ანებე ბრძნობასა, ეფრემ“, მეუბნება სიკვდილის ანგელოზი, – რამეთუ არას გარგებს შენ ღვლარჭნა გონებისა და წარმტყვენველნი შენნი ყურს არ გიგდებენ შენ“.

და კუალად რისხვითა მეტყვის მე ანგელოზი სიკვდილისა: – „პირი დაიყავ – ყოველი შენებრ არ მოკვდება; ცოდვილს ყოველი მსგავს მისა ჰგონია, ხოლო ბრმას – ყველა ბრმა“.

მოვედით, ძმანო ჩემნო და განმისვენეთ, რამეთუ აწ ძალი მერთმევა და მალე არღა ვიქნები შორის თქვენსა; ლოცვითა და ფსალმუნებითა და მოწყალებებით გამაცილებდით.

სიკვდილის ოცდამეათე დღეს აღასრულეთ, ძმანო ხსენება ჩემი. რამეთუ შესაწირავი ცოცხალთაგან შეეწევა მიცვალებულს (ბერძნულ და სირიულ წყაროებში ერთნაირად წერია 30-ე დღე; რაც იმას გულისხმობს, რომ სხვა დღეებთან ერთად, ძველ ეკლესიაში ამ დროსაც იხსენიებოდნენ მიცვალებულები – მთარგმნ.).

გარნა გულისხმაყავით, ოდეს ვენახში ცოცხალი ღვინო მოიწევა, მაშინ თიხის ჭურჭელშიც დუღილს იწყებს მკვდარი ღვინო.

და საყვარელნო, უკეთუ ხახვიც კი იჩენს გრძნობას და როცა ერთი მინდვრად აღმოცენდება, მაშინ მეორე – სახლში ღვივდება. და უფრო არ უნდა განიცდიდნენ მიცვალებულნი, ოდეს ხსენება მათი აღესრულება?

ბრძენი შემედავება: „ესე აღესრულება ბუნების კანონებით, ხოლო ბუნება მე ვერ მარწმუნებს, ვინემ მტკიცებას არას წარმოაჩენდეო“.

მაგრამ მტკიცებასაც აწვე წარმოვაჩენ წერილიდან: ოდეს მოსე რუბენს აკურთხევდა, უთხრა: „ცხონდნენ რუბენ და ნუ მოკუდებინ და იყავნ იგი რიცხვით მრავალ“ (2 სჯული. 33, 6). და თუ ჰგონებს ვინმე, რომე მიცვალებულნი არა აგრძნებენ, მაშინ პავლე მოციქულს მოუსმინეთ: „უკუეთუ ყოვლად მკუდარნი არა აღსდგებიან, რაისაღა ნათელსიღებენ მკუდართათვის?“ (1 კორ. 15, 29).

ვითარცა წერილს არს, მატათიას შთამომავალნი ჭეშმარიტების მხოლოდ გარეგნული სახით მპყრობელნი, მსხვერპლს შესწირვიდნენ და მით წარხოცდნენ ბრძოლებში დაცემულთა ცოდვებს. (2 მაკაბ. 12; 40-45) და მით უფრო არ ხელეწიფებათ ძე ღვთისას მღვდელთმსახურთ, წმიდა მსხვერპლითა და ლოცვით, ცოდვათა წარხოცვა?!

გარნა თუ ვინმე მოვიდოდეს ჩემი ხსენების აღსასრულებლად, მაშინ ნუვინ თქვენგანი ჰყოფს უსჯულოებასა და ცოდვას; არამედ, სიწმიდითა და უბიწოებით დაადეგით ლოცვას. ესრეთ ჯერ არს, არა თუ მისთვის, ვითარმედ მრუშება უმეტეს სხვათა ცოდვათაგანია, არამედ – რაჲთა მე არ მეკითხოს პასუხი; რამეთუ მეტყვის მე უფალი: „შენ შემოჰკრიბე ეფრემ მეძავნი და მემრუშენი ესე“. ხოლო წერილ არს, ვითარმედ განიკითხავს მათ უფალი სამსჯავროდ (ებრ. 13, 4).

კუალად მსურს ვთქვა, რომ ძლიერ მე-

შინია, საყვარელნო. არამედ ერთგზისცა ვიტყვი რაიც უწინვე მითქვამს: ღმერთი ვისაცა განსჯის, იგივ მოიღებს წყალობას სამსჯავროდ.

ხორციელი ვნება სხეულში იგივეა, რაიც საფუარი ფქვილში. ვნება ესე კაცისგან იშვება, ვითარცა ცეცხლი – რკინისგან და რაც მსწრაფლ აღეგზნება რკინაში ცეცხლი, მით უფრო ალღობს და შეშჭამს მას.

მომიახლოვდით, მოწაფენო და მოიღეთ კურთხევა კურთხეულისა მწყემსისა ძალით. მე ნოე არ ვარ, გარნა თქვენ იქნებით, ვითარცა სემი და იაფეთ. არცა მსგავს მელქისედეკისა ვარ, გარნა იყვენით თქვენ კურთხეულ, ვითარცა აბრაამი. და მე არც ისააკი ვარ, არამედ მიიღეთ თქვენ კურთხევა, ვითარცა იაკობმა. არცაღა მოსე არა ვარ, ხოლო თქვენ იყვენით მსგავსნი ისუსი ძისა ნავესი; არც ილია ვარ, არამედ მიიღეთ სული ჩემი მსგავსად ელისესა:

ქრისტემან აღამაღლოს გონება შენი, საკვირველო აბბა და განათლდეს ნათელი შენი ანგელოზთაებრ; გაბრწყინდი მსგავსად მოსესა დიდებითა, და დაე, გულისხმაჰყოფდნენ ყოველნი მხილველნი შენნი, ვითარმედ მონა ღმრთისა ხარი შენ.

ღმერთმან აბრაამისამან შეისმინოს შენი, კვალსა ჩემსა შემოდგომილო აბრაამ და ოდეს იზრახო ოდენ პირმეტყველებად, სიბრძნით აღგავსოს უფალმან შენმან, ვითარცა მასმიეს წინასწარმეტყველისაგან: „განავრცე პირი შენი და აღვავსო ეგე“ (ფს. 80, 11).

ღმერთმან შეისმინოს შენი, სვიმონ, ოდეს უხმობდე ლოცვასა შინა. და რომელ ქალაქშიაც შეხვიდოდე, აღგევსოს ეკლესია იქ, ვითარცა ფიალა! შენდა მოვლიან სასძლონი და ქალწულნი განდეგილნი, მაცხოვნებელის მოძღვრებისა და შეწევნის მისაღებელად და სულისა ცხოვნებისა მოსაპოვებლად; სიბრძნესა და სულისმარგებელს ისმენენ შენგნით და განითქუები სოფლად, ვითარცა მკურნალი.

უმწიკვლო, გულწრფელო და სანდოო მარავ, რომელი შენის ნების უბრალოებით იქმენ უმწიკვლო და უფლის სასოებით მეზიარე მე ტანჯვათა შინა, მოგიზღას შენ უფალმან სასყიდელითა მართალთა თანა, რომელთაც წმიდანნი მოიღებენ!

მხედარო და მებადურო, ზინობი მესოპოტამიელო, დაე, სიტყვა შენი იყოს ცეცხლოვანი და შესწვავდეს იგი მწვალებლობათა ყოველთა; ვითარცა ალი ტყესა, ესრეთ შესწვავდეს სიტყვა შენი მათ; სძლევდი, ვითარცა დავით და დაამხობდი ძეთა ცთომილთასა ნაცვლად გოლიათისა; შეიჭურვე წინასწარმეტყველთა საჭურველითა და აბჯრითა მოციქულთაჲთა; უფალი შენი გიძღვოდეს შენ უძლეველ მხედრიონად!

წყეულიმც იყოს მშობელი შენი, პავლონ! უბედურია საშო შენი გამჩენი! რამეთუ წილდებულხარ ყოველგვარ მწვალებლობისა, და მთხზველი ყოველგვარ დავისა, ამისთვის გაუქმდა ყოველი ღვაწლი შენი, მსგავსად იუდა – ვერცხლისმოყვარისა. შენგნით დატევებული სვეტი (1 ტიმ. 3, 15) გიჩინებს სასწაულს შენსავ სხეულზე; რამეთუ შემუსვრილ ლერწამზე დასდევ სასო და დაუტევე ძელი ჯვარისა.

მეამბოხე არვატ, დაე, აღიხოცოს სახელი შენი ცოცხალთა შორის, რამეთუ დაუტევე შენ ღვინო ქრისტესი და სმიდი მთხლესა ცოდვისასა. მოგეკითხოს შენ ძისაგან, რომელსაცა გმობდა პირი შენი!

წყეულიმც იყვნენ არიანელნი და მანიქეველნი, კათარები და ოფიტები, მარკიონელნი და ევდომინები.

წყეულიმც იყვნენ პავლიკიანელები და ვალენტიანელნი, მეშაბათენი და სხვანიცა ყოველნი უწმინდურნი მწვალებლობანი, მოძღვრებითურთ თვისითა.

კურთხეულ არს, ვინაც წმიდა ეკლესია ირჩია. ესე არს კრავი, რომელი ვერ წარიტაცა მგელმან; ესე არს მტრედი უმანკო, რომელსაც ვერ ეწია ქორი.

„რამეთუ სასუმელი ხელთა შინა უფლისათა ღვინისა ურწყოისა სავსე არს სხმულითა“ (ფს. 74, 8). შესვეს იგი განდგომილთა და დაითვრნენ და განდგნენ და აღსდგნენ იესოზე.

როგორც ცოფიანი ძაღლი ეღრინება თვის პატრონს, განდგომილნიც ასევე ანთხევენ გმობას თვის მეუფეზე.

დიდება მას, ვინც მათზე აღმაღლდა და ვინაც მიუწვდომელია! ხოლო უკეთუ უწმინდურთ ხელეწიფებოდეთ ზეცად აღსვლა, მაშინ იქაცა შეიტანდნენ შუღლსა

თვისსა, ძმათა მათთა ოდესმე შეჰბედეს და ისურვეს ზეცად აღსვლა; არამედ ჭეშმარიტებამ განიკითხა და ამხილა ისინი და შეიკდიმეს უწმიდურთა. დაღათუ ესრეთ განიკითხნენ ზეცად აღსვლის მსურველნი და დაისაჯნენ, მაშ ვითარ უფრო განიკითხვიან, ძმანო, ის კადნიერნი, რომელთაცა უგულვებიათ განყოფა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა?

მოძღვრება ჩემი დაიმარხენით და ნუ გარდახვალთ მას, მოწაფენო ჩემნო. ვინაცა იჭვნობს ღმრთისა მიმართ, ვითარცა კაენი იყოს იგი ქვეყნად „იწროებითა და ძრწოლითა“ (დაბ. 4, 12).

ვინაცა ძისა მცირობა სთქვას წინაშე მამისა, ცოცხლად შთანთქას იგი მიწამან. ვინაც სული წმიდისათვის იჭვობდეს, შენდობა ვერ მოიღოს მან.

რომელი აღუდგეს ეკლესიასა, კეთრმან დაფაროს ხორცნი მისნი მსგავსად გიეზისა. ვინც რწმენას ჩემსას განუდგეს, იუდასამებრ შეიშთვას იგი.

დიდი უსჯულოებაა გმობა, ივლტოდეთ მისგან, ძმანო! ცხოველსმყოფელი ღმრთისა მიმართ სცოდავს, ძვირის მთქმელი და მგმობელი. ხორციელი ცოდვანიცა კმა არს ჩვენდა და ნულა მივუმატებთ მას უწმინდურებას.

ამასა ოდენ ვსასოებ წინაშე ღმრთისა და ვნუგეშობ, რომ აროდეს მიძრახავს მე უფალი ჩემი და გმობა პირითგან არ ამომსვლია. რამეთუ მძაგდა, უფალო, მოძულენი შენნი და არ მიყვარდა მტერნი შენნი.

გულთა შინა დაიწერდით სიტყვათა ჩემთა და მომიხსენებდით მით; გარნა შემდგომად მიცვალებისა ჩემისა, მოვლენ თქვენთანა ბოროტმორწმუნე უსჯულონი "სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ" (მათე 7, 15). ტკბილია სიტყვა მათი, გარნა გული აქვთ სავსე ბალღამით. კეთილად ჩანან, გარნა სატანით წარმოსდგებიან. ივლტოდით მათგან და მათის მოძღვრებისაგან და ნუ შეეყოფით მათ.

უწყოდეთ, თუ იქ შეგიპყრეს, სადაც მეფეს განაქიქებენ, სამსჯავროზე წაგიყვანებენ და დაგკითხავენ. თუმცაღა შენ მეფე არ შეურაცხგიყვია, გარნა პასუხს გაგებინებენ და დაგსჯიან, რამეთუ შური არ იძიე მეფისათვის. ამისთვის, ნუ ეზრახვი ცრუმოძღვრებს და ნუ შეერთვი ცთუნებულთ.

ეშმაკთან ცხოვრება უადვილესია, ვინემ ცთუნებულთან. ეშმაკს აფუცებ და განივლტის, რამეთუ არა ხელეწიფება იესოს სახელის წინააღდგომა; გარნა კი, თუ ათასგზის აფუცო ცთომილს, არღა დაიშლის თვის ბოროტებას. ეშმაკის დამოძღვრა უფრო იოლია, ვინემ ცთომილძეთა მოქცევა. ეშმაკნი აღიარებდნენ და უწყოდნენ: „შენ ხარ ძე ღმრთისა“ (მარკ 3, 11); ცდუნებულნი კი ჯიუტად უარყოფენ, რომ არა არსო ქრისტე ძე ღვთისა.

მათში ჩასახლებული სატანა აღიარებს, ისინი კი, თავისაზე დგანან ჯიუტად. დაღათუ შიშველ ქვაზე შესაძლოა ბზე აღმოცენდეს, მაშინ გარდაგულარძნილიც შიეძლებს სწავლების მიღებას ანუ მოქცევას. გარნა წერილის მიხედვით, მთა უადვილეს ჩამოივაკებს, ვინემ განდგომილი სცნობს ჭეშმარიტს. დაღათუ ყორანი გათეთრდების, მაშინ უსჯულოც მართლად შეიქმნება.

თოვლიან ზამთარს, ოდეს ყვავს ფრთები დაეთოვლება მაშინ, თეთრადა ჩანს ყვავიც წამისყოფით. მსგავსადვე უსჯულონიც – ოდეს სამსჯავროს შესახებ ისმენენ ზოგჯერ ძრწოლა შეუდგებათ ხოლმე, მომავალი ტანჯვისათვის, მცირე ხნით სინანულს ეძლევიან და წამისყოფით სტოვებენ თვისი ცხოვრების წესს და კუალად მიიქცევიან თვის უსჯულოებაზედ.

მოწაფენო ჩემნო, ყურად იღეთ და დაიმარხეთ მოძღვრება ჩემი და ნუ გადრახვალთ რწმენისა და სიტყვისა ჩემისაგან.

ჟამი მოვალს, ოდეს აღსრულდეს ყოველი წერილი და აღესრულოს წინასწარმეტყველებაცა: „ვიდრემდის წარხდეს ცაი და ქუეყანაჲ, იოტა ერთი, გინა რქაი ერთი არა წარხდეს სჯულისაგან“ – ვითარცა ჰფუცა მოძღვარმან ჩვენმან (მათე 5, 18). ხოლო უწყით, ვითარმედ მართალ არს იგი.

აგერა, მოვალს, და ახლოსვეღაა წარმტყვენელი ჩემი. თავი ანებე, ეფრემ ბრძნობასა. და გევედრები შენ, უფალო იესო, ვითარცა ჰვედრის კაცი მეგობარს თვისსა:

ნუ დამადგინებ მარცხენით შენსა, ოდეს მოხვიდე სუფევითა.

კუალადცა გეტყვით რასმე და ვფიცავ სიცოცხლეს თქვენსას, რომ არა ვცრუობ. ოდეს ჯერეთ ყრმა ვიყავ და დედის კალთას ვესვენე, მაშინ სიზმრისეულად მეჩვენა ესე, რაჲცა შემდგომ აღსრულდა: ენაზე ვაზის რტო ამომეზარდა და აღმოცენდებოდა მაღლა და მაღლა და მაღლდებოდა ვინემ ზეცამდე; ...უთვალავი მტევნით იხუნძლებოდა, კვლავ აღორძინდებოდა ვაზი იგი და განივრცო ქვეყნად სრულიად; ნაყოფსა კრეფდნენ მისგან და ნაყოფი არ ილეოდა და რაც მეტსა კრეფდნენ – მეტად მრავლდებოდა.

მტევნები – საუბრებია, ფოთლები – საგალობლები, მომნიჭებელი ამათი – ღმერთი. დიდება უფალს, მადლისა მისთვის, რამეთუ კეთილნებითა თვისითა მომანიჭა მე ესე საუნჯეთაგან თვისთაგან.

მშვიდობით, მეგობარნო ჩემნო. ლოცვა ჰყავთ ჩემთვის, საყვარელნო! აჰა, ჟამი არს მიდრკეს მოვაჭრე თვისსაც ქვეყანას. მაგრამ ვაი, რომ მამული ჩემი მოოხრებულა და საგანძური ყოველი გაბნეულა. კეთილთათვის არავინ სტირის, რამეთუ ისინი სამარედ ცხოვრებისათვის დაიფლვიან. გარნა ჩემთვის, მახლობელთა ჩემთა და მსგავსთა ჩემთათვის დათხიენ ცრემლნი, ძმანო; რამეთუ ამაოებაში განვვლიეთ ჩვენ დღენი ჩვენი.

მშვიდობით სოფელო, სიხარულით ეგნენ ძენი შენნი და მშვიდობა იყოს ეკლესიას, უწმიდურთაგან დევნა აღხოცილიყოს და განწმენდილიყვნენ ცოდვილნი სინანულით!

მშვიდობა შენდა განმყვანებელო და განმაშორებელო სულისა ჩემისა ხორცთაგან, ვიდრე აღდგომამდის.

. . .

ოდეს ამას იტყოდა ეფრემ, და ერი ყოველი გოდებდა, იქავ მყოფი ქალწული ერთი, სახელად ლამპროტატა, ასული ედესის მხედართმთავრისა, მწარითა ხმითა მოთქმიდა და ესრეთ შესძახა: ედესა ილუპება! რამეთუ აწ იქცევა ზღუდე მისი და ქრება აწვე ნათელი მისიო; შემდგომ განაპო ქალწულმა კრებული და მივიდა სნეულთან და დაემხო მკერდსა მისსა და ცრემლითა ეტყოდა: გაფიცებ შენში დამკვიდრებულსა და მას, რომელიც იტყვის შენს მიერ; გევედრები, ნებამეც შევკრა კუბო ჩემთვის და ვითარცა მნებავს დავდვა ფერხთა შენთათანა, რათა არა განგეშორო სასუფეველში და თუნდ გეჰენიაშიც.

– განვედი ჩემგან, ქალწულო! უფალმა ადიდოს სახელი შენი! არამედ მარცხვენს მე ვედრება შენი და მწარეა ჩემთვის სასმენლად სიტყვანი შენნი. ჭეშმარიტადა გფერის მოთქმა, მაგრამ არ ხელმეწიფება შენის თხოვნის აღსრულება – ვშიშობ მე საცდურისათვის, რაჲთა შემდგომად ჩემი სიკვდილისა არა იტყოდიან, ვითარმედ: უყვარდაო იგი ეფრემს. წარვედ და აღასრულე რასაცა ითხოვ; არამედ სხვანიცა თანაზიარეყვნენ საქმესა შენსას. ხოლო ნუ შეთხზავ ძვირფას კუბოსა, რამეთუ პატივი არა შემფერის. მცნებასა ერთსა გაძლევ შენ და დედათა ყოველთა და მეგობართა შენთა: ნუ იხმართ ტახტრევანთა და ნუ მისცემთ უფლებას მამათა, თავზედ თქვენის ტარებისას, რამეთუ მასმიეს სიტყვანი მოციქულთანი, რომ „თავ მამაკაცისა ქრისტე არს“ (1კორ. 11, 3). გახსოვდეს, რომ გელის სამსჯავრო და რაჲთა არა შეიგინო წინაშე მსაჯულისა. წერილ არს – თვითოეულს მოეკითხება საქმეთა მისთაებრ (რომ. 2, 6).

მაშინ აღუთქვა ქალწულმა მოძღვარს და წინაშე ერისა წარსთქვა: ვფიცავ ღმერთს, რომელსა სიყრმითგან ვინემ სიბერემდის მსახურებდი, რომ არღა ვიხმარ ტახტრევანს და მამანი არღა შემიდგამდნენ მე; დაღათუ ცრუთა ვფიცავდე, დაემხოს ყმაწვილქალობა ჩემი; და თუ გარდავხდე მცნებასა შენსა, შეგინებულ ვიქმნე წინაშე ყოველთასა.

ნეტარმან მიუგო: მივიცვალები და მსურს გაკურთხო – არა განეშოროს სახელსა შენსა მეუფება უკუნისამდე, ვინემ არ მოვალს უფალი შემძრვად ცისა და ქვეყნისა.

თარგმნა მონოზონმა **ანამ (ნიაური)**
„სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“
ტ. III

# განგებაჲ
# წმიდისა დედისა ჩვენისა
# მოციქულისა ქალწულისა ნინოჲსი

## წინასიტყვაობა

წმიდისა მოციქულთასწორისა  და ქართველთა განმანათლებელის ნინოს, წეს-განგება შედგენილია სამი ხელნაწერის მიხედვით. ესენია: H 1349 (XIII ს.) – შიომღვიმის ნუსხა (შიომღვიმის ტიპიკონი გამოცემულია 2005 წ. ექვთიმე კოჭლამაზაშვილის მიერ); Ath. 65 (XI ს.) – წმიდა გიორგი მთაწმიდელის თვენი; S 1464 (XVIII ს.) – ანტონ I კათალიკოსის სადღესასწაულოს ავტორიზებული ნუსხა.

ხელნაწერებში ტექსტი წარმოდგენილია ტიპიკონური მითითების გარეშე (გამონაკლისია S 1464). ვინაიდან წინამდებარე გამოცემა განპირობებულია მისი საეკლესიო-პრაქტიკული დანიშნულებით, უმჯობესად მივიჩნიეთ და ტექსტი გავმართეთ. დღევანდელი ლიტურგიკული პრაქტიკის შესაბამისად. იმ ტიპიკონური მითითებებით, რომელთა მიხედვითაც აღესრულება ღვთისმსახურება საქართველოში.

წმიდა გიორგი მთაწმიდელის თვენში საცისკრო კანონი (გალობანი) წარმოდგენილია ავტორის გარეშე. შიომღვიმურ ნუსხაში მოცემული საცისკრო კანონის (გალობანი), პირველი ოდის ავტორია წმიდა არსენი დიდი, საფარელი, კათალიკოსი ქართლისა; ხოლო მომდევნო ორი ოდა კი მოყვანილია უავტოროდ. წმიდა ნინოს წეს-განგებაში შესაბამის ადგილზე, ცისკრად, პირველად მოცემულია შიომღვიმური ნუსხის გალობანი (ვოდა), რასაც მოსდევს Ath 65 – ხელნაწერის მასალა.

არქიმანდრიტი ბასილი (კაკიაშვილი)

## თვესა იანვარსა იდ წმიდისა მოციქულისა ნინოჲსი

**დიდსა მწუხრსა ზედა ვფსალმუნებთ ნეტარ-არს კაცსა. ა აღსავალსა. უფალო ღაღადვყავსა უქცევთ 7 მუხლთა ზედა. ხმაი დ.**

**მხნეონი.**

**ს**იტყუისა ღმრთისა მსახურსა, მოციქულთა დიდებასა, ებანსა სულიერსა ეკლესიისასა, ორღანოსა ხმატკბილად მძნობსა და ქნარსა პირმეტყუელსა, ვარსკულავსა დაუვალსა და მთიებსა ბრწყინვალესა,მზეებრ მნათობსა ნინოს უგალობდეთ დღეს, მორწმუნენო, და დაძინებასა მისსა ვდღესასწაულობდეთ სურვილით.

**ზ**ადითა მოძღრუებათაითა მონადირე სოფელი; სიღრმით უმეცრებისაით აღმოიყუანენ კაცნი და ეშმაკისა ძალთა თანა დაამხუ კერპთა ბომონი, არმაზ და ზადენისი საზორველნი დააქციენ; ამისთუის ხსნილნი მათთა მძლავრებათაგან, მადლობისა და ქებისა ყუავილითა შეგამკობთ, ნინო, დიდებულსა.

**ს**ასწაულთა შენთა ელვაი, ვითარ შარავანდი მზისაი, ქართუელთა ერსა მოგუეფინა, და მეორედ აღმოშობითა საბანელსა წმიდასა შენ მიერ, ბრძენო ნინო, შვილ ღმრთისა ვიწოდენით ჩუენ სვეტსა და კუართსა საუფლოსა წინაშე, განვცხრებით ჩუენ დღეს წმიდასა დღესასწაულსა შენსა სულიერად, ნეტარო.

**სხუანი, ჰოი სასწაულნი, დ გვერდი:**

ჰოი, სასწაული დიდებულ! ქალწული სანატრელი დედობრივითა ბუნებითა ქადაგად თუისისა ღმრთეებისა მოგავლინა ქრისტემან, დედაო, დიდებულო ნინო, და ადგავსო სულითა მოციქულებრითა, ნეტარო, და პირუტყუთ-სახენი ერნი, შენ მიერ ღმრთის მეცნიერებად განსწავლულნი, აწ სამებისა ნათლითა განათლდებიან.

ჰოი, სასწაული საკჳირველი! რომელი მოგუემადლა შენ მიერ, დიდებულო ნინო, მხევალო ქრისტეს ღმრთისაო, რამეთუ კერპთა საძაგელთა ნაცუალად ძელსა ჯუარისასა მივხედავთ და ნაკბენთაგან ეშმაკთაისა არა გუეშინის; ეჰა, წყალობაი შენი,სახიერო უფალო,რომლითა აცხოვნენ სულნი ჩუენნი, ვითარცა მოწყალე ხარ.

ჰოი, სასწაული საკჳირველი, რამეთუ სუეტი იგი ცხოველი დიდებული, დედაკაცისა ლოცუითა აღემართების; დღეს დიდების მეტყუელებს ქართუელთა ენაი, და ივლტიან არმაზ-ზადენთა ძალნი; ჰოი რავდენნი მადლნი მოგუმადლენ, ქრისტე, ნინოის მიერ,რომლითაცა აცხოვნენ სულნი ჩუენნი, ვითარცა მოწყალე ხარ.

ჰოი, სასწაული საკჳირველი, რამეთუ უძლური იგი ბუნებაი დედობრივი ქრისტეს მიერ საკჳირველად განძლიერდების, და სიმხნესა მეთევზურთასა მიემსგავსების, და ნინოის მიერ განათლდების ქუეყანაი, რამეთუ სარწმუნოებამან ულმრთოებაი განაქარვა და მზე იგი სიმართლისაი გამოგვიბრწყინვა – ქრისტე ღმერთი ჩუენი.

**დიდებაი... , ხმა ბ.**

მოვედით მორწმუნეთა კრებულნი,ქნარსა მას სულისა წმიდისასა შევასხმიდეთ, მოძღუარსა სოფლისასა და მკურნალსა ხელოვანსა სულთა და ხორცთასა,ყოველნი ქებით ყუავილთა მიერ სიტყუისათა შევამკობდეთ მოციქულსა, ქადაგსა და მახარებელსა, ქართველთა მზესა ბრწყინვალესა, მრავალ მნათობსა, ებანსა მას სულიერსა, საყუირსა ღმრთივმობერილსა ნინოს, ღმრთივგანბრძნობილსა, დედისა ღმრთისა მხევალსა, ათთა ცნებათა მოსეს მსგავსად მიმხუმელსა, ეშმაკთა ძალსა მიხედუით წარმდევნელსა, კერპთა საფუძველითურთ აღმომფხურელსა, ეკლესიისა საფუძუელსა და გოდოლსა შეურყეველსა, და ვღაღადებდეთ მისსა მიმართ: გიხაროდენ, ტრედო უმანკოო და გურიტო სიწმიდის მოყუარეო; გიხაროდენ შენ, ღმრთის მეცნიერებისა მასწავლელო; გიხაროდენ, პავლეს და ანდრეაის თანაზიარო, ქართველთა განმანათლებელო და ყოვლისა სოფლისა დიდებაო.

**აწდა, ღმრთისმშობლისაი ხმა იგივე-**

წარხდა სახე სჯულთა მათ პირველთა და გამოჩნდა მადლი დღეს და, ვითარცა მაყვალი არა შესწვა ცეცხლმან აღგზებულმან, ეგრეთვე, ქალწული ეგო ქალწულად უვნებელად შემდგომად შობისა; სვეტისა მის წილ ცეცხლისა-მზე სიმართლისა, მოსეს წილ ქრისტე გამოჩნდა მაცხოვრად სულთა ჩუენთათვის.

**შესვლად წარდგომაი დღისა და საკითხავი.და საკითხავნი გ-ნი ესაიასნი; პირუელი წერილ არს ე პარასკევსა მარხუათასა: ესრეთ იტყჳს უფალი ღმერთი წმიდაი ისრაელისაი; მეორეი წერილ არს ორშაბათსა ბზობისასა: ესრეთ იტყჳს უფალი მხსნელი შენი წმიდაი ისრაელისაი; მესამეი წერილ არს სამშაბათსა ბზობისასა: აჰა, ესე რა მიგეც შენ აღთქუმად ნათესავთა...**

**წინაისწარმეტყუელება ესაიასი საკითხავი**

ესრეთ იტყვის უფალი ღმერთი წმიდა ისრაელისა,რომელი იქმს ზედ მომავალთა: „მკითხეთ მე,ძეთ და ასულთა ჩემთათვის და საქმეთათვის ხელთა ჩემთასა მამცენით მე. მე შევჰქმენ ქუეყანაი და კაცი მას ზედა. მე ხელითა ჩემითა დავამყარე ცაი. მე ყოველთა ვარსკულავთა ვამცენ; მე აღვადგინებ სიმართლისა-თანა მეფედ და ყოველნი გზანი მისნი წრფელებენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს წმიდა ნაწილებიანი ხატი.**

შემოწირულია XIX ს-ის მეორე ნახევარში იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის მიერ: „მე მეფის გიორგ XIII შვილის შვილის შვილმან იოანე გიორგის ძემ დედით და დებითურთ შემოჰვსწირე წმ(იდა) ხატი ესე სამთავროს დედათ მონასტერს; ჩუენის სულის განსასვენებლად. ჩყო წელსა ს. პეტერბურღი.“

ამან აღაშენოს ქალაქი ჩემი და ტყუეობაი ერისა ჩემისა მოაქციოს, არა სახსართა მიერ, არცა ქრთამითა ჰსთქუა უფალმან საბაოთ“. ესრეთ იტყვის უფალი საბაოთ: „დაჰშურა ეგვიპტე და ვაჭრობა ეთიოპელთა და საბაიმელნი კაცნი მაღალნი შენ ზედა გარდაჰხდენ და შენდა იყუნენ მონებ და უკანა შენსა შეგიდგენ შეკრულნი ხელბორკილებით და თაყუანისგცემდენ შენ და შენდამი ილოცვიდენ, რამეთუ შენ შორის ღმერთი არს და ჰსთქუან: არა არს სხუა ღმერთი თვინიერ შენსა. სირცხვილეულ და კდემულ იქმნან ყოველნი წინააღმდგომნი შენნი და ვიდოდენ სირცხვილსა შინა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი და არა უწყოდით ღმერთი ისრაელისა მაცხოვარი. განახლდებოდეთ ჩემდამო ჭალაკნი, რამეთუ ისრაელი ცხოვნდების უფლისა მიერ მაცხოვარებითა საუკუნოითა, არა ჰრცხვენეს-ყე, არცაღა ჰკდემეს ვიდრე საუკუნოდმდე“, იტყვის უფალი ყოვლისა მპყრობელი.

## წინაისწარმეტყუელება ესაიასი საკითხავი

ესრეთ იტყვის უფალი ღმერთი მხსნელი შენი, წმიდა ისრაელისა: „მე ვარ ღმერთი შენი, გიჩუენე შენ პოვნად შენდა გზაი, რომელსა შინა ხვიდოდე მას ზედა და უკეთუმცა გესმეს მცნებანი ჩემნი, ქმნილიყომცა, ვითარცა მდინარე მშვიდობა შენი და სიმართლე შენი, ვითარცა ღელვანი შენნი, და იქმნამცა, ვითარცა ქვიშა, თესლი შენი და ნაშობნი შენნი, ვითარცა მიწა ქუეყანისა; არცა აწ არა მოისრას, არცა წარწყმდეს სახელი შენი წინაშე ჩემსა. გამოვედ ბაბილონით მლტოლუარე ქალდეველთაგან, ხმა სიხარულისა მიუთხართ და სასმენელ იქმენინ ესე, მიუთხარ დასასრულადმდე ქუეყანისა და სასმენელ იქმენინ ესე, იტყოდეთ, ვითარმედ: „იხსნა უფალმან მონაი თვისი იაკობი“ და უკეთუ ჰსწყუროდეს, უდაბნოთა მოიყვანნეს იგინი, წყალი კლდისაგან გამოიყუანოს მათდა, განიპოს კლდე და სდიოდეს წყალი და ჰსმიდეს ერი ჩემი; არა არს სიხარული უთნოთა, იტყუის უფალი. ისმინეთ ჭალაკთა და მოიხილეთ წარმართთა, მრავლით ჟამითგან ჰსდეგით, იტყუის უფალი – მუცლითგან დედისად გიწოდა შენ სახელი ჩემი და დაჰსდუა პირი ჩემი, ვითარცა მახვილი მკუეთრი და საფარუელსა ქუეშე ხელისა მისისასა დამფარა მე,;დამდუა მე ვითარცა ისრაელი რჩეული და კაპარჭსა შინა მისსა დამფარა მე, და მრქუა მე: „მონა ჩემი ხარ, ისრაელ და შენ შორის ვიდიდო“ და მე ვჰსთქუ: „ცუდად დავშუერ ამაოთა მიმართ და არა რათა მიმართ მივეც ძალი ჩემი ამისთვის საშჯელი ჩემი უფლისა მიერ და შრომა ჩემი, წინაშე ღმრთისა ჩემისა“.

## წინაისწარმეტყუელება ესაიასი საკითხავი

ამას იტყვის უფალი: „აჰა, დაგდევ შენ აღთქმად ნათესავთა, ნათლად წარმართთა, ყოფად მაცხოვარებად, ვიდრე უკანასკნელადმდე ქუეყანისა“. ესრეთ იტყვის უფალი მხსნელი ღმერთი ისრაელისა: „წმიდა ჰყავთ, რომელი ბიწიან ჰყოფს სულსა მისსა, მოძაგებული წარმართთა მიერ მონათა მთავართასა, მეფეთა იხილონ იგი და აღჰსდგენ მთავარნი და თაყუანის ჰსცემდეს უფალსა, რამეთუ სარწმუნო არს წმიდა ისრაელისა და გამოგირჩიე შენ“. ესრეთ იტყვის უფალი: „ჟამსა შეწყნარებულსა შევისმინე შენი და დღესა შინა მაცხოვარებისასა შეგეწიე შენ და მიგეც შენ აღთქმად წარმართთა, დაწყნარებად ქუეყანისა და დამკვიდრებად სამკვიდრებელთა უშენთა. მეტყუელად წარმართთა, საკრუელთ შინანი გამოვედით და ბნელის შინანი გამოჰსჩნდით, შორის ყოველთა გზათა ჰსძოვდენ და შორის ყოველთა ალაგთა საძოვარი მათი. არცა მოემშიოს, არცა მოეწყუროს, არცა დაჰსცნეს იგინი სიცხემან, არცა ავნოს მათ მზემან, არამედ რომელსა ეწყალიან იგინი, ნუგეშინის ჰსცემს მათ“.



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლიტანიასა ზედა დასდებელნი წმიდისა ნინოისი მჳდომარე... ხმაი გ გვერდი.**

მოვედით დღეს, კრებულნო მორწმუნეთანო, დასაბამსა შობისა ჩუენისასა; წმიდასა მოციქულსა, განმანათლებელსა ჩუენსა ნინოს, უძნობდეთ ერთხმობით, და ბრწყინვალითა გალობითა სიტყუათა ყუავილისა მიერ ეკლესიასა შინა, მის მიერ წმიდა-ქმნილსა, შევამკობდეთ და ხსენებასა მისსა აღმასრულებელნი მისსა მიმართ ვხმობდეთ: ქრისტეს მოციქულო, ნერგსა ამას, რომელ დაჰნერგე, ოხათა შენთა მიერ მოჰრწყევდ მარადის.

მრავალბრწყინვალე არე გამოგუიჩნდა ჩუენ, სულნელ-მყოფელი ყოველთაი წარმოგუიდგა, მტერთა საძლეველი და ეშმაკთა მაოტებელი, შუენიერებაი, წმიდამყოფელი ქართუელთაი, ნეტარისა ნინოის წმიდაი სახსენებელი, რომელსა შეიმოსს დღეს ზოსტერად ეკლესიაი, მღდელთმოძღუარნი მღდელთა თანა – სიმართლედ და მეფენი – ძლევად წინააღმდგომთათუის, და ყოველი ერი – ხსნად ყოველთაგან საძნაურთა, მხმობელნი ესრეთ: ღმერთო, დიდებაი შენდა!

**სხუანი: ზეცისა განწესებულთ...**

დღეს შვილნი სიონისანი, ვითარცა რაი კრავნი მწუანვილოვანსა ზედა, აღიმღერებდით ძნობად დედისა თუისისა; უგალობდით, რომელმან წყლითა აღმოგვშვა და სულითა სრულ-ქმნილნი მეუფესა ქრისტესა მიგუიძღუანნა ცხოვნებად.

იხარებდინ ეკლესიაი შვილთა თუისთა თანა კრებასა დიდებულსა ნინო ნეტარისასა, და შეჰმზადე მწყობრი სულიერი, მაქებელი ქადაგისა, მოციქულისა და მახარებელისა ჩუენდა ქრისტეს სასუფეველსა.

მოვედით, ახალნო ნაყოფნო, ახლისა ვენახისანო, მკუიდრნო ქართლისანო, და ვდღესასწაულობდეთ დღესასწაულსა ამას გუირგუინოსანსა, და მოწაფესა ქრისტესსა და მოციქულსა მაცხოვრისასა და სულისა წმიდისა სადგურსა ქართლისა მზესა დაუვალსა, მხევალსა დედისა ღმრთისასა ნინოს გალობითა სულიერითა შევასხმიდეთ, ხოლო ღმერთსა ყოველთასა ვაქებდეთ, რომელმან ნინოის მიერ გუიხსნა საცთურისაგან.

**დიდებაი...**

წმიდისა ქალაქისა ქრისტეს აღსადგომელისა ნაყოფად გამოსჩნდი შენ, ძირთაგან კეთილთა წმიდაი და შუენიერი, საზრდელი ზეცისაი, გამომზრდელი სულთა, მახარებელი ეგე მშიერთაი, რომელი ღმრთივაღძრვით მოიწიე განბიცებულთა ერთა ჩრდილოისათა მომართ, ვითარ მზე მრავალ-მნათობი, ნინო ნეტარო, და განანდვნენ და ჩჩვილ ჰყუენ სულითა და ბეჭდითა ქრისტესითა აღჰნიშნენ და ძღუნად მიუპყრენ შენ ღმერთსა სულნი აურაცხელნი.

**აწდაი...**

სიტყუისა ღმრთისა ზეშთა თქუმისა მშობელო, ღმრთისმშობელად შენთა აღმსარებელთა ლოცუანი შეიწირენ და გუიხსნენ ცოდვათა ჩუენთა პატიჟისაგან, ჰოი, კურთხეული მარიამ, ღმრთისა სამკუიდრებელო.

**სტიქარონად. ნათელნი**

ქალწულისა შობილსა ქრისტე ღმერთსა ქალწული ეტრფიალა, რაითა ქადაგოს სახელი მისი მაღლად, ერთა წინაშე; ამისთუის მიჰფინა სიძემან სული იგი სიონს გარდამოსრული, და თუისად მოციქულად შეჰმზადა, ვითარ ორღანო შუილთა მათ სულთა ღირსთა მადლთა, ნინო ნეტარი, და მის მიერ გუაცხონა კაცთმოყუარემან.

**ყოველსა ქუეყანასა განხდა ხმაი მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი.**

ნელსაცხებელსა კუალთა შენთასა ქრისტე, სიძეო შუენიერო, მისდევდა წმიდაი და უმანკოი მხევალი და ტრედი წმიდაი, გურიტი შუენიერი და მერცხალი ხმატკბილი, და სულნელებაი შენი იყნოსა და უქადაგა ერთა სახელი შენი ხმამაღლად, უშიშითა სულითა, ნინო ნეტარმან და ყოველთა ღმრთეებაი შენი არწმუნა.

**ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულთა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყაროი.**

იგლოვს ძალი ბნელისაი შემუსრვილ-ებული, ეშმაკი დაემხუა და არმაზ დაეცა, სატანა მოუძლურდა, ზადენს ეწია რისხუაი ზეგარდამოი, ჯუარი აღემართა და ემბაზი წმიდა იქმნა, წინაშე სუეტსა ცხოველსმყოფელსა შვილნი ღმრთისანი ვიხარებთ, აღმოდაბადებულნი შენ მიერ, ნინო, და ქრისტესა უგალობთ სრულნი სულითა.

**დიდებაი... ხმაი დ.**

დღეს ცხორებისა დღესასწაული გამოგუიბრწყინდა შენ მიერ, ღირსო; დღეს ახლისა შობისა გენეთლიაი წარმოგუიდგა – სახსენებელი შენი, რომელსა შინა ბრწყინუალედ კრებულნი განვნათელდებით სულით და ხორცით; ხოლო შენ, ვითარ მიზეზსა მაცხოვრებისასა, გაქებთ და სულიერად შეგასხამთ ესრეთ: ტრედო წმიდაო, გიხაროდენ, რომელმანცა დასავალით ჰქადაგე მაცხოვრებაი და აღმოსავალისათა აღმოგუიბრწყინვე მრავალშანთი ქრისტეს განგებულებისა მზე, წმიდამყოფელი ჩუენდა; გიხაროდენ, ჰოი ნინო, რომელი მოციქულებრთა შრომათა მიერ შეიმკუე და ემბაზისა მიერ სულნი ურიცხუნი აღმოჰშუენ.

**აწდა...**

**ღმრთისმშობლისაი ხმაი დ.**

**მოხედენ ვედრებასა მონათა შენთასა, ყოვლად უბიწოო, და დააცხრე ბგირთა აღდგომა ჩუენ ზედა და ყოვლისა მწუხარებისაგან გვიხსნენ ჩუენ, რამეთუ შენ მხოლოი გვაქუ მტკიცედ და შეურყეველად სიმტკიცედ და შენსა შეწევნასა შევვედრებით: ნუცა სირცხვილეულ ვიქმნებით, დედუფალო, შენნი მვედრებელნი, ისწრაფე მეოხებად ჩუენდა, რომელნი სარწმუნოებით გხმობთ შენდამი: გიხაროდენ, დედუფალო, ყოველთა შემწეო, სიხარულო და მცველო, სულთა ჩუენთაო.**

**კურთხევასა ზედა პურისასა ოხითაი წმიდისა ნინოისი ბ გზის.**

**ოხითაი**

**სიტყუისა ღმრთისა მსახურთა მოსაგრეო და ანდრიაის ქადაგებისა წარმმართებელო, ქრისტეს მოციქულო და ქართლისა განმანათლებელო, სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ქრისტესა ღმერთსა ევედრე მონიჭებად ჩუენდა დღეს დიდი წყალობაი.**

**ღმრთისმშობელო ქალწულო ა გზის.**

**ცისკრად ღმერთი უფალსა ზედა, ოხითაი წმიდისა ბ გზის, დიდებაი და აწდაი ღმრთისმშობელისაი. რომელი საუკუნითგან დაფარულ იყო...**

**ოხითაი**

**სიტყუისა ღმრთისა მსახურთა მოსაგრეო და ანდრიაის ქადაგებისა წარმმართებელო, ქრისტეს მოციქულო და ქართლისა განმანათლებელო, სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ქრისტესა ღმერთსა ევედრე, მონიჭებად ჩუენდა დღეს დიდი წყალობაი. (ბ გზის)**

**დიდებაი...აწდაი...**

**რომელი საუკუნითგან დაფარულ იყო და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთისმშობელო, შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, ღმერთი შეურევნელად შენგან განხორციელდა, ჯუარცუმა ნებსით თავსიდვა, რომლისათვისცა აღადგინნა პირველ დაბინებულნი და იხსნნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი.**

**წარდგომაი შემდგომად ა ფსალმუნისა, მომიხსენე ჩუენ ქრისტე...**

სამოციქულოსა მას დიდებულისა, სვიმონ კანანელისასა ნაწილსა ერსა, ღირს იქმენ, წმიდაო ნინო, მაღლისა მიერ მოქცევად მისსა სარწმუნოებად, და მი-რაი-ხუედ შენ ქართლისა საზღუართა, ღირსო, ვითარცა კრავი უმანკოი შორის მხეცთა, მსწრაფლ განსდევნე

საცდური კერპთა მაცდურთაი და არწმუნე მათ სამება წმიდაი.

**დიდებაი... აწდაი... იგივე.**

**წარდგომაი შემდგომად ბ ფსალმუნისა. ყოველი სასოებაი...**

დასავალით აღმოხუედ, ვითარ მთიები ცისკრისაი, აღმოსავალს განჰბრწყინდი და განანათლე სიბნელე ჩრდილოისა ერთა, დიდებულო ნინო, საღმრთოითა სულითა მოციქულებრ რაი აღგძრა ღმერთმან, და კერპნი შეჰმუსრენ და ეშმაკისა ტყუეობისაგან განარინენ შენ ქართველთა ერნი, სწავლათა შენთა ნათლითა, და ღმრთისმეცნიერ ჰყუენ, და სულითა განანათლენ და სამებისა წმიდისა მსახურებაი ასწავე.

**დიდებაი... აწდაი... იგივე.**

**და აღვიღებთ აქებდითსა და გჳგალობთ სადიდებელსა წესისამებრ.**

**ესრეთ წარდგომაი შემდგომად სადიდებელისა:**

მადლთა ტაკუკნი მდიდრად განზავნა ეკლესიასა შინა, ფიალთა მათგან სულისა წმიდისათა მოციქულებრნი, ნინო ნეტარმან და მოუწოდს მორწმუნეთა წდევად ყოველთა, რომელნი მიიღებდენ ემბაზსა შინა, ვითარცა აღმოშობილნი სულისა მიერ და მადლისა, და ქრისტე-შემოსილნი ღმერთსა აქებდენ და გალობით ძნობდენ დღესასწაულსა ამას შინა ღმრთივბრწყინვალისა სამებისა მორწმუნენი და ესრეთ ხმობდენ: ღმერთო საკჳრველთმოქმედო, ყოველთა განმგებელო, დაგჳიცჳენ შენნი აღმსარებელნი.

**დიდებაი... აწდაი... იგივე.**

**აღსავალი ა მეოთხის ხმისა.**

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძვანან მე არაწმიდანი ვნებანი; ამისთვის გევედრები, შემწე მეყავნ და მიხსენ სახიერ.

დიდება შენდა ღმერთო ჩუენო, დიდება შენდა.

რომელთა გძულთ სიონი, სირცხჳლეულ იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა განხმელი თივაი შეგჭამნეს გეჰენიამან.

**დიდებაი... აწდაი...**

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცხოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლდების და განბრწყინდების სამებისა მიერ ერთარსებისა ღმრთივ-შუენიერად და საიდუმლოდ.

**წარდგომაი სახარებისა, ხმაი 8:**

ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი.

**დასდებელი**

ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო.

**ყოველი სული აქებდით უფალსა.**

აქებდით ღმერთსა წმიდათა შორის მისთა, აქებდით მას სამყაროთა ძალისა მისისათა.

**სახარება მათესი თავი ი, მუხლი ა. - მას ჟამსა შინა მოუწოდა იესუ, ათორმეტთა მოწაფეთა თჳსთა... დასასრული მუხლი წ. უსასყიდლოდ მისცემდით.**

**ფსალმუნი 6**

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უშჯულოებაი ჩემი. უფროის განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე. რამეთუ უშჯულოებაი ჩემი მე უწყი, და ცოდვაი ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ: რაითა განჰმართლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო შჯასა შენსა. რამეთუ ესერა უშჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან; რამეთუ ესერა ჭეშმარიტებაი შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. მასხური მე უსუპითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და

**უფროის თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაი და სიხარული, და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უშჯულოებანი ჩემნი აღხოცენ. გული წმიდაი დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაი და სულითა მთავრობისაითა დამამტკიცე მე. ვასწავლნე უშჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მოიქცენ. მიხსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხორებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაი ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნე, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკუეთუმცა გენება, მსხუერპლი შემცამეწირა; არამედ საკუერთხნი არა გთნდეს. მსხუერპლი ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხჰყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენნენ ზღუდენი იერუსალემისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაი შესაწირავი და ყოვლად დასაწუველი; მაშინ შეწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.**

**დიდებაი...**

**მეოხებითა წმიდისა მოციქულთასწორისა ნინოისითა, მოწყალეო აღხოცენ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.**

**აწდაი...**

**მეოხებითა ღმრთისმშობელისაითა მოწყალეო აღხოცენ ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.**

**მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უშჯულოებაი ჩემი. და შემიწყალე მე, ღმერთო.**

## შემდგომად ნ ფსალმუნისა დასდებელი ესე:

მოვედით ყოველნი უგალობდეთ მოციქულსა ნინოს, ვითარცა მენავეთ-მოძღუარსა და წინამძღუარსა, რამეთუ კერპთა საცდური განიოტა, ნათლად ცხორებისად აღმოგუიყუანნა და სამებისა დიდებაი გუასწავა; ამისთუისცა ყოველნი მორწმუნენი სახსენებელსა მისსა დიდებულსა სარწმუნოებით აღვასრულებთ, და მაცხოვარსა ვადიდებთ.

## კანონი ღმრთისმშობელისაი სძლის-პირითა მუხლი 6 და მოციქულისაი კანონი ორი მუხლი 8.

### გალობანი ღმრთისმშობელისანი ხმაი ბ უგალობდითსა (გალობა 1). სძლის-პირი.

ღელვათა დაანთქა პირველად ფარაო ეტლებითურთ, და აღჭურვილნი ძლიერად სპარაზენნი, სიტყუამან მამისამან, რომელი განხორციელდა ჩუენ ცოდვილთა-თვის, რომელსა უგალობთ, უფალო, დიდებულო, დიდებულ-ხარ.

ვითარცა ბრწყინვალე და ყოვლად-შუენიერი გამოგირჩია შენ შორის დედათა ღმერთმან, და დაემკვიდრა შენ შორის უბიწოო, რომლისა მიმართ ვედრებად ნუ დასცხრები, რათა მიხსნეს ბრალთაგან შემსხმელნი შენნი.

დასდეგ, მარჯუენით ძისა და მეუფისა შენისა სძალო, ვითარცა დედოფალი, ძისა მისებრ დავით მგალობელისა, მისგან მითხოვე, რათა ღირს-მყოს მარჯუენით მისსა დღესა მას განკითხვისასა ღირსო.

საქმეთა მიერ უჯეროთა უქმ-ქმნილი კაცთა ბუნება ყოვლითურთ განაახლე, ცუარი ზეცისა შევ-რა ღმრთისა დედაო, დაკორდებულნი ორნატნი ჩემნი, სძალო, ნაყოფიერ-ჰყუენ შეწევნითა შენითა.

ქალწულთა განწყობილი საღმრთო, ყოვლად-პატიოსანი, შენ შუენიერსა დედათა შორის გიგალობს, ღმრთისმშობელო ქალწულო, საღმრთოთა სიკეთითა განშუენებულსა, რამეთუ უაღრეს სიტყუისა ჰშევ კეთილისმყოფელი სიტყუა.

რომელმან ღმერთი მუცლად-იღე ჩუენთვის განკაცებული, მას ევედრე, უბიწოო, დღესა მას სასჯელისასა, შეწევნად

ჩუენდა, მრავალთა მცოდველთა მისდა მიმართ.

### გალობანი წმიდისა ნინოისნი. თავნი იტყუიან: ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი. უგალობდითსა ხმაი ა (გალობა 1)

**ს**ასწაულითა იხსნა ერი უფალმან და ზღუაი მღელვარეი სიტყუით განახმო პირველ, და დღეს უხრწნელად იშუა ქალწულისაგან და წარმიძღუა ჩუენ ზეცად, ბუნებით სწორი მამისა თანა, რომელსა უგალობდეთ.

**ქ**რისტე, აღახუენ ძნობად ბაგენი ჩემნი ქალწულისა დედისა მოციქულისა და ქადაგისა შენისა ნინოის შესხმად. განმინათლე გონებაი, რაითა მიუზღუნე ღირსსა მას ღირსი სიტყუათა ყუავილითა.

**ე**ნაი, რომელი არა იცოდა ესმა, სულმან განაპოხა რაი ქადაგი თუისი, იქმნა ღმრთის მხილველ, ურჩისათუის ერისა ეკლოვანსა ფიცხელსა სულითა მოძრავმან ბრძენმან ნინო თუისი თუისსა უმსხუერპლა.

**ბ**არბაროზნი და უჟიკნი ქედფიცხელნი ტრედმან წმიდამან, დასავალითა მხმობელმან, სიტკბოებათა თუისთა მიერ დუმილით ხელთუსხნა შემოქმედსა, სძალმან წმიდამან სიძესა თუისსა, განბანილნი მადლითა. **ღმრთისმშობლისაი**: იქმნა ორღანო მადლთა შენთა, ქალწულო, ქალწული, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, და წილხუდომილთა შენთა განმანათლებელ, ნინო, ამისთუის აღვსძრავთ მას შენდა მომართ მეოხად ჩუენთუის; იღუაწე სამწყსოი შენი.

### სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ხმაი დ. ზღუაი უგალი, რომელი...

**გ**ანმინათლენ ცნობანი, ყოველთა განმანათლებელო სამებაო წმიდაო, რაითა ნათელ-მყოფელსა შენ მიერ ჩუენსა ნინოს სიტყუანი ღირსნი სულიერნი მიუძღუანნე გალობისანი.

**ს**ულნელებითა სავსე დღე აღმობრწყინდა, დიდებული დღესასწაული ელვარე ხსენებისა შენისაი, ქრისტეს ქადაგო ნინო, სამგზის ნეტარო, რომელსა შინა მგალობელნი განმაძლიერენ.

**დ**ასავალისა ტრედმან აღმოსავალს სამოთხე ჩუენი განაშუენა ბუდეთა თუისთა მიერ, ნეტარმან ნინო, და ხმა-ჰყო: გიხაროდენ, ქართველნო, მოიწია აწ თქუენდა ზაფხული წმიდაი.

**ღმრთისმშობლისაი**: გურიტმან, სულით და ხორცით განწმედილმან, ნინო, მოგიძია შენ, ტრედი, სულთა ცხორებაი, მახარებელი გულთაი, ღმრთისა დედაო, და შეგიყუარა და წილხუდომილი შენდა ქუეყანაი განანათლა.

### სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ქუეყანასა მწყურნებსა...

**უ**წყი ტრფიალებაი სულისა ჩემისაი და სურვილი დაუპყრობელი შენდა მომართ, ნინო, მიითუალე სავედრებელი გალობაი ჩემი და მეოხ მექმენ ქრისტეს მიმართ.

**ც**ითარცა-იგი მოგიღებიეს ღმრთისაგან კადნიერებაი მეოხებად ცოდვილთა, წმიდაო, აწ გევედრებით, რაითა გუიხსნნე ცოდუათა ჩუენთა პატიჟისაგან.

**ლ**ოცუანი ჩუენნი შეიწირენ და შეწირენ წინაშე მეუფისა შენისა ქრისტესსა, ღმერთშემოსილო ნინო, დიდებულო, და გუიხსნენ ლოცუითა შენითა განსაცდელთაგან. **ღმრთისმშობლისაი**: ღმრთისმშობელო დედუფალო, სასოო ყოველთა განწირულთაო, მოგუხედენ წყალობით მონათა შენთა და რისხუაი ღმრთისაი თანა-წარგუხადე, ცოდუათა ჩუენთა მიერ აღძრული ჩუენ ზედა.

### სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ხმაი დ გვერდი. უგალობდეთ უფალსა, რომელმან განიყუანა...

**მ**ოვედით, უგალობდეთ შესხმითა ქებისაითა მხნესა ნინოს, ტაძარსა მას წმიდასა, და შევამკობდეთ გალობითა საღმრთოითა.

**ი**ხარებს ეკლესიაი და გონიერად დღესასწაულობს დღეს ხსენებასა ნინოისსა

ბრწყინუალითა ქებითა შუილთა თუისთა თანა.

**დ**ღეს ნათლითა საღმრთოითა განვბრწყინდეთ, მორწმუნენო, სულიერად და ვდღესასწაულობდეთ ხსენებასა მოღუაწისა ნინოისსა.

**ღმრთისმშობლისაი**: შენ, უქორწინებელო ღმრთისმშობელო, რომელმან გუიშუენ სიტყუაი დაუსაბამოი ხორცითა, უზეშთაეს ბუნებათა, გიგალობთ.

## კატავასია

**უქმი ქუეყანაი სამკუიდრებელი ზღუათაი იხილა მზემან პირველ: რაჟამს აზღუდნეს ღელვანი და შეჰყინდეს ორკერძო და ერი ღმრთისაი წიაღსრული სიხარულით დაღადებდა: უგალობდეთ უფალსა, რომელიცა დიდებულ არს.**

## ღმრთისმშობელისანი. განძლიერდასა ზედა (გალობა 3). სძლისპირი.

**ა**ღყუავილნა შროშნის სახედ მოსლვითა შენითა, ქრისტე, რომელ არს ბერწი წარმართთა, ეკლესია და იქმნა იგი შვილ მრავალ, რომელსა შინა განაძლიერე გულნი ჩუენნი.

**დ**ამბადებელმან შემიმოსა მე კაცი, ყოვლადუხრწნელო საშოსა შენისაგან და სამოსელი უხრწნელებისა მომცა განშიშვლებულთა ბოროტთა საქმეთაგან მრავალ-სახეთა, ქალწულო კურთხეულო.

**წ**მიდა წმიდათა სიტყუა ჰშევ სძალო, რომლისა მიმართ ვედრებად ნუ დასცხრები, გულის-თქმათაგან შეურაცხ-ქმნილსა გლახაკსა სულსა ჩემსა, მოწყალებით მოხედვად და შეწყალებად და ხსნად განსაცდელთაგან.

**დ**ავრდომილისა გონებისა ჩემისა გული, მოწყლული გესლისაგან გუელისა და სული ჩემი დაცემული განკურნე ყოვლადწმიდაო, წამლითა ძლიერითა მადლთა შენთათა იღუაწე და აცხოვნე.

**ვ**ითარცა დედამან, მქონებელმან კადნიერებისამან ძისა მიმართ შენისა, დედოფალო, გვითხოვე შეწევნა ერთა განბოროტებულთა, ხოლო უშჯულოთა დაამხო აღძრვაი.

**შ**ენ მხოლოსა ქალწულად და დედად გქადაგებთ, ვითარცა ცხოვრების მომატყვებელსა სოფლისასა, ჰოი, ყოვლად უბიწოო, დიდებულითა მით მეოხებითა შენითა.

## განძლიერდასა ზედა (გალობა 3). ნინოისნი.

**ღ**მერთო, მოხედენ მონათა გალობასა და დაამდაბლე სიმაღლეი მაცთურისაი, და ზეშთა აღამაღალე დღეს ეკლესიაი, და შეუშფოთებელად დაამტკიცენი მოსავნი შენნი მართლმადიდებლობასა.

**თ**უისთათუის თუისნი მოიხსენნა წყალობით, ერთგული მახარებელ-გყო ღმერთმან, არაო მდედრი, არცაღა მამაკაცი, გარნა ვინ-იგი სულმან ჩემმან აღავსოს, მოგავლინა და მოგვიწოდნა სახედ თუისად.

**უ**ცნობელთა და მძიმეთა საბურველი გულთაი აღგუეხსნა და ლოდები აღელო სამარეთაგან, დაყროლებულნი მკუდარნი საყუირთა მიერ შენთა აღვემართენით, წმიდაო ნინო, მოციქულო ქრისტესო.

**გ**ანღებულ იქმნა ქუესკნელისა ბჭეები, მკუდარნი, მას შინა პყრობილნი სატანაისნი, განვთავისუფლდით შემოსლვითა შენითა; არმაზ შეედვა ძრწოლაი მეხის ტეხითა და ზადენისნი უხმარ იქმნნეს სიცბილნი.

**ღმრთისმშობლისაი**: აღვემართენით შენ მიერ გამოხსნილნი, ჰოი, ღმრთისმშობელო, რაჟამს სათნო-იჩინე დედაკაცისა მიერ განბანაი ჩუენი, და ემბაზითა სრულ-ქმნაი მეცნიერებად ძისა შენისა ნინოის მიერ ღირსისა.

## სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ბუნებით ღმობ...

**ს**აღმრთოითა წამისყოფითა აღიძარ შენ, ვითარცა მზე მრავალმნათობი, და უჟიკთა ქედფიცხელთა განყინულებაი განადნვე, ჩრდილოის რაი განუტევენ შენ შანთნი ელვისანი, ჰოი, ნინო.

სულისა ქნართა მიერ მორთულმან, განაღუიძენ დამძიმებულნი და მედგარნი გონებანი უსმენელნი, და დაუტკბენ გონებანი მათნი სიტყუათა მიერ შენთა.

ვითარცა დიდსა მოსეს, ღმრთისმხილველსა, მოგეცნეს საღმრთონი ფიცარნი და ათნი იგი მცნებანი, რომელთა მიერ განჰნათლდი, და განანათლენ შენ სულნი აურაცხელნი, მოციქულო.

**ღმრთისმშობლისაი**: შენთა სულნელებათა კუალსა მისდევდა, დედაო ღმრთისაო, შენ მიერ გამორჩეული სამგზის სანატრელი ნინო, რომელი დედა მექმნა ჩუენ ემბაზისა წმიდისა მიერ.

### სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისნი შენ, დამამყარებელო...

შენ, დიდებულო ნინო, ქრისტესაგან მოგიღებიეს მადლი ეშმაკთა ოტებად და უძლურთა კურნებად, ჩუენცა მვედრებელთა შენთა თანა-წარგუხადენ განსაცდელნი, ეშმაკისა მიერ აღძრულნი, რამეთუ შენ ხარ სასოი ჩუენი.

ჰოი, დედაო ღმრთისაო, სალხინებელო ყოველთა ცოდვილთაო, შენ განმიღე ჩუენ კარი წყალობისა შენისაი და მწუხარებანი ჩუენნი სიხარულად შეცუალენ, კურთხეულო, ვითარცა ხარ მხიარულებაი ყოვლისა სოფლისაი, მიმადლებულო.

### სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისნი შენ ხარ დამამტკიცებელი...

მოვედით სარწმუნოებით, მორწმუნენო, და ქებით შევამკობდეთ ღირსსა და უბიწოსა ნინოს შესხმითა სულიერითა.

დღეს გამოჩნდა მხნედმოღუაწე ნეტარი ნინო, ქრისტეს მიერ დიდებული, ყუდროი ნავთსაყუდელი და სასოი მორწმუნეთაი.

ყოველნი მორწმუნენი ღირსად ვდღესასწაულობდეთ დღეს ხსენებასა ნინოისსა, რომელნი მადლითა მისითა მოწოდებულ ვართ.

**ღმრთისმშობელისაი**: ჩუენ ყოველნი მოგიგებთ შესავედრებელად, ქალწულო, ზღუდე მექმენ ქრისტიანეთა მორწმუნეთა, სძალო ღმრთისაო.

### კატავასიაი

**მოსავთა შენთა დამამტკიცებელო ღმერთო: დაამტკიცე ეკლესიაი შენი, რომელი მოიყიდე სისხლითა შენითა წმიდითა.**

### იპაკოი ხმაი ბ

**მზეებრ დაუვალი, მზე მზისა ქადაგი, სანთელი ელვა შარავანდედი, ვარსკულავი მთიები, მთოვარე, ეთერი ნათელი, სოფლით ოქრო მიწით, საუნჯე დღეს ნინო საფლავით სულნელებს, მოძღუარი ჩუენი, ქრისტეს მოციქული.**

### ღმრთისმშობელისანი. მესმასა ზედა (გალობა 4). სძლის-პირი.

მოხვედ ჩუენდა ქალწულისაგან არა ანგელოზი, არამედ თვით უფალი განხორციელებული ღმერთი და მიხსნენ ჩუენ ყოვლითურთ, რომელნი ვღაღადებთ დიდება ძალსა შენსა.

სინანულისა ცუარი მაცუროე სძალო, განმწმედელი სახმილსა გულის-თქმათასა და ცთომილთა მათ მწუხარებათა ჩემთა საქანელსა დაცხრომად და მედგრობათა ჩემთა უჩინოყოფად, დედაო ღმრთისაო.

მოწყლულთა მახვილითა გულის-თქმათათა და დაცემულსა სენითა წრტიალითა ყოვლადწმიდაო, ნუ უგულებელსმყოფ მე, არამედ ჯუარცმულისა ძისა და ღმრთისა შენისა სისხლთა და ლახურითა განმკურნე.

ყოველთა დაბადებულთა დედოფალო, მე ბოროტად დაგლახაკებული ესე, მადლთა საღმრთოთა ღირს-მყავ, ჰოი ყოვლად უბიწოო, რათა გადიდებდე შენ, ვითარცა ტკბილსა და სახიერსა ხელის-აღმპყრობელსა ჩემსა.

აღმობრწყინდა საშოსაგან შენისა ყრმაო, ქორწილისა გამოუცდელო, ცისკარი იგი მამისა ქრისტე და ჯუარცმითა თვისითა განანათლა ყოველი სოფელი და ბნელი იგი საეშმაკო განაქარვა.

პირველისა მის გარდასლვისა განმკურნებელი შენ ყოვლად უბიწოსა შორის დაემკვიდრა, ყოვლითურთ განახლებად

ჩუენდა, დაცემულისა კაცისა, ზეშთა სიტყუისა.

**უფალო მესმასა (გალობა 4). ნინოისნი**

**პ**ირველ აუწყა წინაისწარმეტყუელებით ცხორებაი კაცთაი ამბაკუნ და იტყოდა: რისხვასა შინა მოვიხსენი წყალობაი, ჩრდილოით მაღნართაით მო-რაი-ხვედ შენ, მაცხოვარ, ერისა ამის სიტყუაი დამბადებელი.

**ლ**ომებრ ახოვან-იყავ ბრძენო გულითა, არა გრცხვენოდა ქადაგებად ქრისტესა, პართნი ადავსენ სასწაულთა ელვითა, გაიანე და რიფსიმე ძღუნად მიუპყრენ ქრისტესა, ხოლო მან დაგმარხა შენ.

**ო**რბებ გუგასა შინა მხედველობითსა, შეიკრიბე შენ სივრცე სოფლისაი, ნინო, და განიცადენ უჯმნი საჭმლად კეთილად, და მიმართე ვიდრემდის ბრჭალსა შენსა ხელთ უსხენ წმიდად სანოვაგედ მოქმედმან.

**ბ**ნელი განყარე, ბნელისა მოხვევითა ბრძენსა მეფესა მსგავსსა კონსტანტინესსა,ჰოი, ხელოვანო მკურნალო და მოძღვარო, ვლიტანიობთ პირსა შენსა ქალწულო, ქრისტეს ქადაგო და დიდო მოციქულო.

**ღმრთისმშობლისაი**: საცთურთაით ხსნილნი შენ მიერ,ღმრთისმშობელო,წილად ხუდომილნი შენნი ქართველთა ერნი, ნინოის ღირსისა მიერ ქადაგებითა ვხმობთ შენდა მომართ: ჰოი, მაცხოვარებაო ჩუენო, გვაცხოვნენ, ქრისტეს ღმრთისა დედაო.

**სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისი. მესმა, უფალო...**

**ვ**ითარცა-იგი აცხოვნე დედოფალი, სენთაგან ფიცხელთა დაცემული, ეგრეთვე ჩუენცა თანა-წარგუხადენ ჭირნი, ჰოი,შემწეო ჩუენო, ნინო ნეტარო.

**ვ**ითარ-იგი პირველ მეფე ლოცუათა შენთა ძალითა განათლდა, ჩუენნიცა გულნი განანათლენ, ნინო, რამეთუ ოხათა შენთა მოსავ-ვართ.

**ვ**ითარ-იგი ძე ქურივისაი მომკუდარი აღადგინე ლოცუითა,ჩუენცა აღგუადგინენ, ჰოი, ნინო,მწუხარებათგან დაღონებულნი.

**ღმრთისმშობლისაი**: რომელმან გუიშვა მეუფე ტკბილი, სახიერი და ძვირუხსენებელი,მარიამ ღმრთისმშობელო,ღირსო,აწ მოწყალე ყავ იგი ჩუენ ზედა.

**სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისი. განზრახუაი...**

**დ**იდისა ანდრიაისნი შჯულდებულნი შჯულნი საღმრთონი განიხილე შენ, და მოძღურებანი იგი მისნი საღმრთონი განამტკიცენ,და უსმენელთა იგივე უქადაგენ, ნეტარო.

**ს**ამეუფოდ ქალაქად რაი შეხუედი,შეიძრნეს ყოველნი მკუდრნი მისნი,ჰოი,დედუფალო და მაცხოვარო ჩუენო,რამეთუ ვერ თავს-იდებდეს ეშმაკნი დადგომად შენ წინაშე.

**ს**ენნი იდევნებოდეს,ვერ მხედუელნი განათლდებოდეს, ხოლო მომკუდარნი მყის აღდგებოდეს ბრძანებითა შენითა, დიდებულო ქრისტეს მოციქულო, და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა.

**ღმრთისმშობლისაი**: ყოვლისავე სოფელი რაი აცხოვნე,არაი გუიტევებ ჩუენ ბნელსა შინა,ღმრთისა დედაო,არამედ ნინოის მიერ გამოგუიხსენ წარწყმედისაგან,ამისთვის გადიდებთ,დედუფალო.

**სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისი.**

**ა**შმაღლდი შენ,მოღუაწეო,სიმრავლითა სათნოებათა შენთაითა და ტაძარი შენი უბიწოი საღმრთოითა მადლითა განახლებულ არს.

**წ**არმავალი დაუტევე და მიიწიე წარუვალსა მას, ღირსო, მოუკლებელსა ცხორებასა, ღვაწლითშემოსილო, მკუიდრად გამოსჩნდი.

**ჭ**ეშმარიტად იქადიან წმიდანი დიდებითა და იხარებენ სახსენებელსა ზედა მათსა,ვითარცა ქადაგა საღმრთომან დავით.

**ს**აკუირველებანი შენნი, ნეტარო ნინო, ქადაგებენ ღირსებით სათნოებათა შენთა ძალთა, რომელსა ქრისტესთუის აღასრულებდი.

**ღმრთისმშობლისაი**: ღმერთი, რომელი

გუიშევ ჩუენ, უბიწოო მარიამ, ვედრებად მისსა ნუ დასცხრები ჩუენთუის, ქალწულო, რაითა მოგუანიჭოს ჩუენ დიდი წყალობაი.

### კატავასია

**ქრისტე ღმერთო, ცანი კეთილთა შენთა დაფარნეს, რაჟამს კიდობნისა მისგან სიწმიდისა მოხუედი სოფლად სიმდაბლით, ჩუენთუის, და ვითარცა ჩვილი გიხილეს შენ, ღმერთო, ყოველთა დაბადებულთა. აღივსო ყოველივე დიდებითა შენითა.**

### ღმრთისმშობელისანი. დამითგანსა (გალობა 5). სძლის-პირი

**შ**უამდგომელ-იქმენ ღმერთისა და კაცთა, ქრისტე ღმერთო ჩუენო და შენ მიერ განვერენით ბნელისაგან ღამისა წყვდიადისა და ღირს-ვიქმენით ნათელსა მამისა შენისასა.

**რ**ომელმან გვიშევ გზა ცხოვრებისა ქრისტე, წარმიძღუ მე გზასა წრფელსა, ღმრთისმშობელო, რომელი ესე უგზოთა და კაპანთა და მთხრებლთა ბოროტთა შთავიბნევი, ვითარცა პირუტყვი უგულისხმო და შევიმუსრვი.

**უ**ცხო ვყავ თავი ჩემი უგუნურებით ღმრთისაგან და უდებებით ვსცხონდებოდი მარადის, შეცთომილი შორსა სოფელსა, არამედ მომაქციე და მაცხოვნე მეოხებითა შენითა, ღმრთისმშობელო.

**მ**დინარეთაგან შენთა ცხოველსმყოფელთა მონა შენი დამათრვე ქალწულო უხრწნელო, ცეცხლითა გულისთქმათათა განლეული და დაბნელებული კვეთებითა მტერთათა და აღმავსე მადლითა ზეგარდამოითა.

**ა**ჰა, გაქუნდა მუცელსა შინა შენსა ღმრთისმშობელო, ყოვლადუბიწოო, ქრისტე ღმერთი უაღრეს სიტყუისა, ვითარცა წინათ ხმა-ჰყო ესაია და უაღრეს ბუნებისა ჰშევ ესე, ღმრთისმშობელო.

**ს**იტყუათა მათ შენთა მოხსენებითა გნატრით შენ საღმრთოთა ნეტარებითა და დაუბერებელითა მით ცხოვრებითა, ქალწულო, ჭეშმარიტებით მდიდარ-ქმნილნი შენ მიერ.

### დამითგანსა (გალობა5). ნინოისნი

**ს**აცთურთა ბნელთა ღამისათა შენდობად მოხუედი შენ, ქრისტე. აღმსთობილნი შევსწირავთ შენდა გალობასა, ვითარცა ღირს-ხარ, რაითა წარმიძღუენ გზასა მშუიდობისასა, შესულად სასუფეველსა, რომელ აღმითქუ ჩუენ.

**ა**ღიფხურნეს კერპნი საფუძველითურთ მათით და აღემართნეს ქრისტეს ეკლესიანი ჯუარსა ქრისტესსა, კუართსა თანა და სუეტსა, ნაცვალად არმაზ ბილწისა უგალობენ შუილნი სიონისანი, შენგან განათლებულნი.

**ს**იონისანი შუილნი, პირველ ბაბილონ შერევნისა ტყუენი, საცთურებითა ვერ მგალობელნი უფლისა გალობასა, აწ აღმოსლვისასა ემბაზით იტყუიან: ქრისტე შევიმოსეთ ქრისტეს ნათლისღებითა, წმიდისა ნინოის მიერ.

**ო**დეს მთავრობდა ფარაო შვილთზედა ღმრთისათა, ბნელსა ეგუიპტისასა მსხემნი არა უფლებდეს უფლისა დამონებად, არამედ დღეს ნინოისგან გამოხსნილნი, ჩუენ შუილნი სიონისანი ღმერთსა უგალობთ.

**ღმრთისმშობლისაი**: სენით, ჩემზედა მდებარით, აღვემართე, რაჟამსა მომეც მე მკურნალი, ღმრთისმშობელო; ვიხსენ საცთურით ნინოის მიერ ღირსისა კერპთაწილ ბილწთა; გიძნობ სასოსა ჩემსა, გიხმობს ერი ქართველთაი, ღმრთისა დედაო.

### სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ნაწილ ჩემდა...

**შ**უილნი სიონისანი წინაშე ჯუარსა და კუართსა ქრისტესსა, სუეტსა წმიდასა, ნიშებითა საკუირველსა, ნაცვალად ბილწისა არმაზისსა უგალობენ შენ მიერ, ნინო, ქრისტესა ღმერთსა, ქრისტე-შემოსილნი წყლითა და სულითა.

**ს**აოცრებანი ეშმაკთანი მყის მიხედუითა შენითა დააკუეთენ, და შეჰმუსრენ კერპნი მათნი მაცთურნი ზენაით მეხის ტეხითა საშინელითა, ნინო, მხევალო ქრისტეს ღმრთისაო, და ღმრთის მეცნიერებად მოუძღუ ყოველთა.

**მ**ეფესა მას ნეტარსა ბნელისა მოხუევითა განჰყარე ბნელი იგი ღმრთისა უმეცრებისაი, და შენთანა ქადაგ-ჰყავ ღმრთისა მადლისა, და შუილ-ნათლისა და ძე-მაღლისა, ამისთუის ვითარცა მხსნელსა ჩუენსა, გადიდებთ.

**ღმრთისმშობლისაი**: ცოდვისა ბნელსა მდებარენი წმიდამან ღმრთისმშობელმან ქალწულმან, ქალწულისა ნინოის მიერ აღმოგუიყუანნა, და ქრისტეს, ძისა ღმრთისა მხოლოისა ცხოვართა-თანა ერთსამწყსო მყვნა ჩუენ, ამისთუის ვადიდებთ, ვითარცა მიზეზსა ცხორებისა ჩუენისასა.

### სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისნი განგუანათლენ...

**გ**ანმანათლებელ ბნელსა შინა მყოფთა მოგუეცი, ნინო ნეტარო, და შენ მიერ ცხოვნებულნი გიგალობთ, ვითარ მხურვალესა ზედა მდგომელსა.

**ვ**ითარცა-იგი ბრმანი განანათლენ ლოცუითა, ეგრეთვე აწ ჩუენცა მწუხარებისა სიბნელე განგუძარცუე, ნინო, საკუირველებათა უფსკრულო.

**ვ**ითარცა-იგი მკელობელი ხელის დადებითა განჰკურნე, აწ ჩუენცა აღგუმართენ დაცემათაგან, ნინო, რომელნი შეგივრდებით მხურვალედ.

**ღმრთისმშობლისაი**: განგუანათლენ ჩუენ, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, რომელმა მჭმუნვარებაი იგი ევაისი დახსენ და მოგუეც წყალობაი შენი მვედრებელთა შენთა.

### სხუანი გალობანი წმიდისა ნინოისნი რაისათუის განმიშორებ პირისაგან შენისა...

**ბ**უნებათა ქრისტესთა ჰქადაგებ, ღირსო ნინო, ღუაწლითშემოსილო, თუითებითა თუისითა ღმრთეებასა და კაცებასა სრულსა, შეურევნელად და განუყოფელად ასწავებდ ყოველთა, და ამას მეცნიერჰყუენ მორწმუნენი.

**ტ**აძართათუის საღმრთოთა გამოსჩნდი მოღუაწედ, ნინო, ყოვლად უბიწოო, და მსახურებაი კერპთაი ამაოი წარწყმიდე ქუეყანით ჩუენით, და ერსა ასწავე თაყუანისცემაი სამებისა წმიდისაი, რომელმან დაჰბადა ყოველივე.

**ბ**უნებაი დედობრივი უძლური განაგდე, ყოვლადსანატრელო ნინო და ახოვნად გამობრწყინდი და აჩუენე სიმხნე მამაკაცობრივი და გუნდნი ეშმაკთაი განიოტე ძალითა ჯუარისაითა, და საცთურთაგან იხსნენ მორწმუნენი.

**ღმრთისმშობლისაი**: კადნიერებაი დედობრივი ძისა შენისა თანა-მოიგე, ყოვლად უბიწოო, და შეწევნასა ჩუენსა ნუ დააცადებ მისსა მიმართ, გევედრებით, რამეთუ გაქუს შენ მისსა მიმართ მეოხებაი და მოტევებაი ცოდვათა ყოველთა ქრისტიანეთა.

### კატავასია

**ჩუენებით ესაია იხილა რაი ღმერთი, საყდართან მჯდომარეი და გარე-შეცული ანგელოზთა მიერ, ღაღად-ჰყო: ვაი უბადრუკსა, რამეთუ ვიხილე ღმერთი ხორცითა, ნათელი ბრწყინვალეი და მთავარი მშუიდობისაი.**

### ღმრთისმშობელისანი. ღაღადყავსა (გალობა 6). სძლის-პირი

**ღ**ელვამან ცოდვისამან მომიცუა მე და მრავალსა მოწყალებასა შენსა მოვივლტი, აღმომიყვანე სახიერ დანთქმისაგან, ღმერთო ჩემო, გევედრები.

**ნ**უმცა ვიქმნები მტერთა სიხარულ და საცინელ სამსჯავროსა მას საუკუნესა, არამედ წყალობით მომხედენ სძალო; მსაჯულსა სახიერსა და ძესა შენსა ევედრე ცხოვრებისათვის სულთა ჩუენთასა.

**გ**ულის-სიტყუათა მიერ განგარისხებ უფალო და უწესოთა საქმეთა მიერ და სალხინებელად აღუსძრავ მეოხებასა დედისა შენისასა, მიხსენ და მაცხოვნე და შემიწყალე შეცოდებული ესე.

**დ**ასჯისაგან მიხსენ მე ყოვლად-საგალობელო ღმრთისა დედაო, რომელი ესე თვითდასჯილ ვარ, ცოდვათა მიერ დღესა

მას საშინელსა სასჯელისასა, ვითარცა დედამან მსაჯულისამან.

იესუ მაცხოვარსა ევედრე, რომელიცა ჰშევ უაღრეს გონებისა ხორცითა, ქალწულო, ღმრთისა დედაო ყოვლად უბიწოო, ხსნად განსაცდელთაგან მონათა შენთა.

ცათა გარდამრთხმელმან ჯერ-ჩინებითა ცად ახლად ქუეყანასა ზედა გამოგაჩინა, ღმრთისა დედაო უხრწნელო და შენგან გამობრწყინვებულად იხილვა.

## დადადყავსა (გალობა 6) ნინოისნი.

შთახდა იონა სიღრმესა მას ზღვისასა, და ღაღადებდა ღმრთისა მიმართ ვედრებით: აღმომიყუანე დანთქმისაგან, უფალო; ხოლო მე, ქრისტე, შენდა მიმართ ვღაღადებ: უგულებელს-ჰყავ ბრალთა ჩემთა სიმრავლეი.

აღმოსავალო, დასავალსა პატივ ეც, ხოლო ჩრდილოო თემანსა უკუნ-ჰრიდე, რამეთუ ბნელსა განქარვებად მზე მოვალს და ყინელისა განდნობად – მცხინვარებაი; ქრისტეს ქადაგი ზედა შემოვალს ნინო.

ჩრდილით, უფროისღა ბნელით უკუნმომცუელით, შენ მიერ ხსნილნი, ჰოი ქრისტეს მოციქულო ნინო, ყოველი ერი ქართველთაი გიძნობთ და ვედრებით ვხმობთ: ძვირნი თანა-წარგუხადენ, დასცენ ეშმაკნი მაჭირვებელნი ჩემნი.

ემბაზი წმიდაი, შენ მიერ აღმოქმნილი, წინაშე სვეტსა და კვართსა საუფლოსა, არღა სრავს ჩუილთა, არამედ აღმოჰბადებს, საცხებელითა წმიდითა შემზღუდველი; იხარებდ, ნინო, ქალწულო მოციქულო.

**ღმრთისმშობელისაი**: მარიამ, ქრისტეს, ძისა ღმრთისმშობელო, შენ მიერ ხსნილნი ძუირთაით სამწყსონი შენნი, ნინოის წმიდისა მიერ სამადლობელთა შევსწირავთ შენდა და მის მიერ განსწავლულნი განატრით ყოველი თესლები.

## სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ღაღადებდა...

გიხაროდენ მეფობაო ქართველთაო, ქრისტეს ჯუარითა და ღაღადებდ: აწ გამოვიხსენ სისხლთა ნაზორევთაით და სისხლი აღთქუმისაი, ქრისტესი, მებკურა მე ნინოის მიერ.

ერი ღმრთისაი, გამოხსნილი შუილთა კვლისაგან არმაზისათუის, ღაღადებდი: აწ გამოვიხსენ სისხლთა ნაზორევთაით და სისხლი აღთქუმისაი, ქრისტესი, მებკურა მე ნინოის მიერ.

გიხაროდენ, დიდებულო დედაქალაქო ღმრთისა მიერ და ღაღადებდ: დღეს გამოიხსნნეს შუილნი ჩემნი სატანაისგან, რამეთუ მეპკურა მე სისხლი ქრისტესი აწ ნინოის მიერ.

**ღმრთისმშობელისაი**: ერი შენი, ღმრთისა დედაო, ხსნილი მონებისაგან, თაყუანის-გცემს და აღმოსლვისა გალობასა მროკვალი ხმობს: მე სისხლი აღთქუმისაი ქრისტესი მეპკურა აწ ნინოის მიერ.

## სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი მომიტევენ, სახიერ...

მოგავლინა შენ ღმერთმან ქართველთა მნათობად, დიდებულო ნინო, ყოვლად ნეტარო, სამწყსოსა შენსა ჰფარევდ ყოველთაგან ვნებათა, მაჭირვებელთა და ეშმაკისა საცთურთა.

ვითარ-იგი შეჰმუსრე არმაზის კერპი საძაგელი, ეგრეთვე აწ შემუსრენ მტერნი ჩუენნი მართლუკუნ, და ლოცუათ მათ შენთა მეხისტეხითა დაწუენ, ჰოი დიდებულო ნინო.

ვითარ-იგი განხადე ეშმაკთა გუნდი სამწყსოით შენით, აწცა თანა-წარგუხადენ მზაკურებანი მათნი, დიდებულო ნინო, და მათ მიერნი განსაცდელნი წარდევნენ ჩუენგან.

**ღმრთისმშობელისაი**: ღმრთისმშობელო, სასოო ყოველთავე განწირულთაო, ცოდვილნი გიღაღადებთ: მოწყალე-ყავ ძეი შენი ჩუენზედა და დააცხვრენ მწუხარებათა ჩუენთა ურვანი, დიდებულო.

## სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ვედრებასა ჩემსა განმჰფენ...

დააფუძნე ეკლესიაი წარმართთაი, ნინო, შესავედრებელი ერისა მორწმუნი-

საი, ვითარცა გამოსახა კარავი წამებისაი პირველ მოსე, ქრისტეს მიერ სიბრძნით ჭეშმარიტად, და შეჰკრიბენი მას შინა სამებისა მგალობელნი, ნეტარო.

**ფ**რიად დიდნი საკუირველებანი გამოჩნდეს ვედრებითა შენითა, ნინო უბიწოო, მისსა მიმართ, რომელმან განწმიდა ეკლესიანი მორწმუნეთაი სისხლითა თუისითა, და აჩუენე წარმართთა ერსა საღმრთო ძლიერებაი კაცთმოყუარისა მიერ.

**ნ**ათლად ბრწყინვალედ გამოუჩნდი შენ ქართუელთა ერსა, დაბნელებულსა კერპთა საცთურითა, და განანათლენ იგი, ღმერთშემოსილო ნინო, სწავლითა შენითა შუენიერითა, რომელნი სიხარულით სახსენებელსა შენსა დღითი-დღე ბრწყინვალედ აღასრულებენ.

**ღმრთისმშობლისაი**: ნუ დასცხრები ვედრებასა ჩუენთუის, ქალწულო, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო მარიამ, რამეთუ სიმტკიცე ხარ ჩუენ, მორწმუნეთაი, და სასოებითა შენითა განვძლიერდებით, და სარწმუნოებით შენ, და ძესა შენსა, გადიდებთ და თაყუანის-გცემთ

### კატავასია

**ხმა-ყყავ შენდამი დამძიმებულმან ტვირთითა ცოდვათა ჩემთაითა, და შეისმინე ჩემი და წყალობა ჰყავ, მაცხოვარო.**

### იპაკოი, ხმაი ბ გუერდი

**მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, ქადაგი სიტყუისა ღმრთისა განსწავლული, მახარებელი ცხორებისაი, წინამძღუარი ქართუელთა ერისაი გზათა სიმართლისათა, დედისა ღმრთისა საკუთარი მოწაფე, ნინო, შევამკოთ დღეს ყოველთა ძნობითა, მეოხი მხურვალე, მცველი დაუძინებელი.**

### იკოსი

**ხსენებაი მართლისაი ქებითა აღესრულების; მართალნი საუკუნოდ ცხოველ არიან, სულნი მართალთანი ხელთა შინა ღმრთისათა, ხოლო მართალი ფინიკებრ აღყუავნეს, დანერგული სახლსა შინა უფლისასა, სულისა ქნართა მიერ იქებოდი ბრძენი, ქადაგი ქართლისა განმანათლებელი, დედისა ღმრთისა წილხუდომილთა ემბაზი, სძალი ქრისტესი, მოციქული ჩუენი, ათთა მცნებათა ღმრთისმხილველებრ მომღები; მოვედით, შევამკოთ დღეს ყოველთა ძნობითა ნინო, მეოხი მხურვალე, მცუელი დაუძინებელი.**

### ღმრთისმშობლისანი. კურთხეულარსა (გალობა 7). სძლის-პირი

**ბ**რძანებამან უშჯულოსა მის მძლავრისაგან უფროსად მოტყინარე აღაგზნა სახმილი ყრმათა-თვის და ღმერთმან ყოველთამან ასხურა ცუარნი ზეცით სამთა მათ მგალობელთა, რომელ იგი არს კურთხეულ უკუნისამდე.

**მ**ალ და ცხოვრებად ჩემდა და საგალობელი, შემწე უბრძოლველ და ზღუდე სიმტკიცისა ხარ დედოფალო, ებრძოლე მბრძოლთა ჩემთა, გევედრები შენ, რომელნიცა მარადის მეძიებენ მე მოკლვად და მაცხოვნე მე.

**ქ**ალწულებრივთა სისხლთა შენთაგან სძალო, ღმერთი განკაცებული ჰშევ და განაღმრთუე კაცთა ბუნება, აწ მეცავნებათაგან შეგინებული და განფრდილი მტერისა საბრხეთა მიერ მიხსენ ყოვლადწმიდაო.

**ყ**ოვლადწმიდაო დედოფალო სახმილმან წინასწარვე გამოსახა შობა შენი, რამეთუ ყრმანი შეუწუელად დაიცუნა, ვითარცა ცეცხლმან საღმრთომან საშო შენი და გევედრები მიხსენ მე ცეცხლისაგან.

**უ**თესლო მუცლად-ღება და უხრწნელი შობა შენ მხოლომან აჩუენე ქალწულად რა ეგე, რამეთუ ყოველთა ღმერთი ჰშევ ყოვლადუბიწოო, განკაცებული მორწმუნეთა მაცხოვრად და გამომხსნელად.

**გ**აკურთხევთ შენ ყოვლადუბიწოო, მშობელსა კურთხეულისა უფლისასა, რომელმან საღმრთოთა კურთხევითა დაარღვია წყევაი ბუნებისა კაცთასა და განმაახლნა ჩუენ ხრწნილებით დაძუელებულნი.

**კურთხეულარსა (გალობა 7). ნინოისნი**

**ს**იყუარულითა ყოველთა მხსნელისაითა, არად შეჰრაცხეს ყრმათა რისხუაი მძლავრისა ღმრთისმოძულისაი, და ცეცხლსა შეთხეულნი არა შეიწუნეს და ესრეთ ღაღადებდეს: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

**ს**ამეუფოთა გზათა შეგიწყნარეს, ვითარცა ტყუეი და უცხოი, რომელმან განგუათავისუფლენ საუკუნოისა ტყვეობისაგან, და ძე ღმრთისა გუყვენ, ჰოი ნინო, მოციქულო ქრისტესო, მახარობელო ცხორებისაო.

**ა**ღემართა რაი სვეტი წმიდაი შენ მიერ აღპყრობითა ხელთაითა, დაეცნეს ძალნი ეშმაკისანი და ქოთებით ლტოლვილნი გოდებდეს მწარედ, ხოლო ჩუენ, მღაღადებელთა ხმავყავთ: შენ, ქრისტე, კურთხეულ ხარ უკუნისამდე.

**ნ**ესტუთა სიტყუათა შენთასა იოხრეს რა განიფხურნეს ერნი, ვითარ სამეუფოთა საყვირთა ხმამან, და შეძრწუნდეს მეფენი სამეფოთურთ, და ხმა-ჰყვეს: ტყვეო და ტყვეთა მხსნელო, კურთხეულ არს შემოსლუაი შენი:

**ღმრთისმშობელისაი**: იგავთა მიერ მოსწავებულმან, ცხადად ეგუიპტის ბომონნი დასცენ, და ძირითურთ აღმოფხურენ, ღმრთისმშობელო მარიამ, და ნინოს მიერ ქართლისა კერპნი წარწყმედად მისცენ, კურთხეულ ხარ შენ, ჰოი, ქალწულო.

**სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი არა ჰმსახურეს...**

**ს**ულითა ღმრთისაითა აღივსე და მოციქულთა მადლი მიიღე მდიდრად, და ქედფიცხელი ერი ღმერთსა მიუძღუანე, ნინო, და ხმობენ: ამაღლებულო ღმერთო მამათა ჩუენთაო, კურთხეულ ხარ შენ.

**ს**ანატრელნი იგი დედანი, რომელნი შეგიდგეს შენ ყოვლითა გულითა მონებად ღმრთისა, ხედვიდეს სასწაულთა შენთა და ღაღადებდეს: ამაღლებულო ღმერთო მამათა ჩუენთაო, კურთხეულ ხარ შენ.

**ჯ**უარი აღემართებოდა შენ მიერ, ქრისტეს მოწაფეო ნინო, და სატანაისნი ძალნი დაემხობვოდეს და მორწმუნენი ხმობდეს: ამაღლებულო ღმერთო მამათა ჩუენთაო, კურთხეულ ხარ შენ.

**ღმრთისმშობელისაი**: დედისა ღმრთისა წილხუდომილი სამეუფოი და ერი აცხოვნე, ნეტარო ნინო, და შენ მიერ განათლებულნი ღმერთსა ვუღაღადებთ: ამაღლებულო ღმერთო მამათა ჩუენთაო, კურთხეულ ხარ შენ.

**სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ყრმათა ღმრთისმსახურთა...**

**პ**ირად-პირადთა ჭირთა მოწევნულთა და მოწევნადთა ხსნასა გევედრებით, ნინო, მსახურო მეუფისა დიდისაო, გუიოხენ წინაშე ქრისტესა ღმრთისა ჩუენისა, რამეთუ შენ ხარ სასოი და მხსნელი ჩუენი მარადის.

**მ**უხლდადგმით მტირალნი შეგივრდებით და შეწევნისა შენისა მოქენე ვართ, ჰოი, ქრისტეს მოციქულო სანატრელო ნინო, გამოგუიხსნენ ყოველთა ურვათაგან სამწყსონი შენნი ესე, რომელნი მპოვნეს ჩუენ ჭირთა მრავალთა.

**ს**ასოდ, სიმტკიცედ და სიქადულად ყოვლადწმიდაი პატიოსანი ხატი შენი მოგუიგიეს, ვითარ კიდობანი პირველ ისრაიტელთა ერსა, და ვლიტანიობთ წინაშე მისსა, რაითა საცნაურთაგან გამოვიხსნეთ ჩუენ მის მიერ.

**ღმრთისმშობელისაი**: ყოვლისა სოფლისა სალხინებელო და სიხარულო მოსავთა შენთაო, ღმრთისმშობელო, ნუ მიგუაქცევ ჩუენ ცუდად ცოდვილთა, არამედ მოწყალებანი შენნი აღძრენ და მოწყალე-ყავ ღმერთი წყალობის მოყუარე ჩუენზედა.

**სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ქუეყანით იუდაისით...**

**ტ**აძარნი საკერპონი დაამხუენ და ქრისტეს სარწმუნოება განჰფინე, და წმიდათა ადგილთა ეკლესიანი დააფუძნენ, ნინო, და იტყუიან: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ მარადის.

**გ**ანახლება მადლისაი მოეცა წარმართთა შენ მიერ, ნინო, ნეტარო, და კურნებათა

ნიჭნი სნეულთა მოემადლნეს და მადლობით იტყოდეს: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ მარადის.

**მ**ეფენი წარმართთანი, დაბნელებულნი მსახურებითა მით კერპთაითა, მხიარულ ჰყვენ ნათლითა ღმრთისმეცნიერებისაითა, ნინო, და ღაღადებდეს: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ მარადის.

**ღმრთისმშობელისაი**: თაყუანის-ვსცემთ მამასა, აღვიარებთ ძესა და ვადიდებთ სულსა წმიდასა, სამებასა წმიდასა ერთღმრთეებად აღვიარებთ და ვღაღადებთ: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ მარადის.

## კატავასია

**ღმრთისა სიტყუასა, რომელმანცა ცეცხლსა შეაცურინა სამნი ყრმანი ღმრთისმეტყუელნი, და ქალწულმა შუა, შევამკობდეთ ყოველნი და ესრეთ ვღაღადებდეთ: კურთხეულ ხარ შენ უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო.**

## ღმრთისმშობელისანი. აკურთხევდითსა (გალობა 8). სძლის-პირი

**ხ**ახმილი იგი ცეცხლისა ბაბილონს პირველად განიზოგა ღმრთისა მიერ, რამეთუ ქალდეველნი ალისა მისისაგან შეიწუნეს, ხოლო ყრმანი შეცურეულნი იტყოდეს, აკურთხევდით საქმენი უფლისანი უფალსა.

**მ**ოშურნე იქმენ კეთილთა, სულო ჩემო მოღვაწებითა და ბოროტთა განეშორე, რამეთუ გაქუს შენ მეოხად დედა ღმრთისა, სასო ყოველთა და ურცხვენელი შემწე და მწყალობელი და კეთილთა მოყვარე.

**დ**ახსენ საკრუელი პირველისა დაშჯისა ჰოი, ღმრთისმშობელო, ადამის ნათესავთა, დახსენ კრულებაიცა გულისა ჩემისა და საკრველისა სიყვარულისა ღმრთისათა შემკარ მე მტკიცედ, რათა გადიდებდე შენ.

**გ**ამოსჩნდა შენგან, ღმრთისმშობელო, ჩუენდა მზე სიმართლისა ჭეშმარიტი, განმანათლებელი ყოველთა შარავანდედითა ღვთაებისათა, მაღალი იგი განხორციელებული, რომელსა გალობის-ვმეტყველებთ.

**რ**ათა პირველი წყევა უჩინო-ჰყო და სიკუდილისა იგი დაშჯილება პირველისა დედისა, ქალწულისაგან ღმრთისა დედისა იშევ სიტყუაო ღმრთისაო, ყოველთა მონიჭებად უკუდავებისა და ხსნისა.

**ი**ესუ მაცხოვარი, რომელი ხორცშესხმულ-ჰყავ განწმედილთაგან სისხლთა შენთა ღმრთივ-სახარულევანო, გვითხოვე შეწყალებად ჩუენ მონათა შენთა და ხსნა საუკუნეთაგან სატანჯველთა.

## აკურთხევდითსა (გალობა 8). ნინოისნი.

**ყ**რმანი ბაბილონს შეუწველნი პირველად სახე გექმნეს შენ, ქალწულო დიდებულო, რაჟამს შენგან იშუა ცეცხლი ღმრთეებისაი, და დაგიცუას შენ უვნებელად, უბიწოდ. ყოველი ერი მარადის გაკურთხევს შენ.

**ნ**ინოის ხსენებაი სიხარულისა ღირს არს; ხოროი განვაწყოთ, მორწმუნენო ქრისტესნო, აღვიტყუელნეთ დღეს ერნო, და შუილნო სიონისანო, ხმობდით ჩუენთანა, ქრისტეს ქადაგსა შევამკობდეთ.

**ჰ**ოი, მეფობაო ქართველთაო, იხარებდ, რამეთუ ნინო დაგადგა შენ გუირგუინი ქრისტეს მიერი; ზოგადი კრებაი ჰყავ დღეს, რამეთუ მოციქული ჩუენი მოგუიწოდს და ტაკუკითა წმიდითა გუისტუმრებს ჩუენ.

**ს**არწმუნოება, რომელი გუასწავე ჩუენ, ითხოვე დაცუად საუკუნოდ ჩუენ შორის, ჰოი, ნინო მოციქულო, და მარადის იღუწიდ ნერგთა ამათთუის, რომელ დაასხენ სამწყსოსა შინა შენსა.

**ღმრთისმშობელისაი**: არსთ-მოქმედისა ქრისტეს ღმრთისა დედაო, არს-ქმნილი შენგან საუკუნოდ ცხორებად ქართველთა ერი დაჰმარხე, ვედრებითა ნინო ნეტარისაითა, და ბარბაროზნი დაუმორჩილენ მორწმუნესა ერსა ამას შენსა.

## სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ყრმანი ბრწყინვალენი...

**ნ**ათელშემოსილი ერი ქრისტესი, შენ მიერ განათლებული, ჰოი ნინო, ქებისა სიტყუებითა და გალობათა ყუავილი-

თა შეგასხამთ შენ, და ქრისტეს ღაღადებთ: უფალსა უგალობდით ყოველნი და უფროისად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

**მ**ზისა უბრწყინვალესი ხსენებაი შენი დღეს ეკლესიასა ქრისტესა მოეფინა, სულად სულნელებისად, ვითარ წმიდაი საკუმეველი, სანატრელო ნინო, და ქრისტესა უღაღადებს: უფალსა უგალობდით ყოველნი და უფროისად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

**ა**ღივსე შენ, ვითარცა მზე მიმწუხრი, განთიად აღმომავალი, სრულ-ჰყავ რაი სარბიელი შრომათა ქადაგებისა შენისათაი, და ანგელოზთა თანა მგალობელი შეერთე: უფალსა უგალობდით ყოველნი და უფროისად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

**ღმრთისმშობელისაი**: ყოვლადწმიდაო ქალწულო ღმრთისმშობელო, რომელმან ნინოის მიერ ნათელი მოგუფინე და ცხორებად მიმიძღუ, მხიარულებითა მისითა გუიხსნენ განსაცთელთაგან ესრეთ მღაღადებელნი: უფალსა უგალობდით ყოველნი და უფროისად აღამაღლებდით მას უკუნისამდე.

## სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი მთასა ზედა...

**ღ**ხინებისა წყაროდ მოგუიგიე ჩუენ,ჰოი, ნეტარო ნინო,და ვხმობთ შენდამი: ჭირნი შემაწუხებელნი განდევნენ ჩუენ მოსავთა შენთაგან, და ნუმცა უფლებს ხელი მოშურნეთაი ჩუენზედა.

**მ**ოციქულებრ ჰქადაგე სამებაი წმიდაი, და განაქარვე საცთური ღმერთთა ტყუართაი, ხოლო წარმართთა ერნი შესწირენ ღმრთისა და ჰმონებენ მას სარწმუნოებით მღაღადებელნი ესრეთ: ყრმანი აკურთხევდით, მღდელნი უგალობდით, ერნი უფროისად აღამაღლებდით ღმერთსა ჩუენსა უკუნისამდე.

**ა**ღმოაცენებენ დღეს ნაწილნი შენნი წმიდანი კურნებისა წყაროსა უხვად, და რომელი მოვლენან შენდა, მიემთხუევიან სულთა და ხორცთა გამოხსნასა, მღაღადებელნი ესრეთ: ყრმანი აკურთხევდით, მღდელნი უგალობდით, ერნი უფროისად აღამაღლებდით ღმერთსა ჩუენსა უკუნისამდე.

**ღმრთისმშობელისაი**: მიუწდომელი ღმრთეებითა, დამბადებელი და მხსნელი ჩუენი, სიტყუაი საღმრთოი ჰშევ, ზეცისა სძალო, ამისთუის ყოველნი გაკურთხევთ.

## სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი შუიდწილ აღაგზნა სახუმილი...

**მ**ოღვაწეო უბიწოო,ქალწულებისა სიქადულო და მონაზონებისა ყუავილო და სიმტკიცეო, განცხადებულად ნიშნი და სასწაულნი უაღრეს ცნობათა, შენ მიერ მოენიჭებიან მორწმუნეთა და ხმობენ: ვაკურთხევდეთ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, რომელსა აქუს დიდი წყალობაი უკუნისამდე.

**გ**უნდი მართლმადიდებელთაი განწყობილი შუენიერებით,დამტკიცებულნი უბიწოითა სარწმუნოებითა, მეფეთა და მთავართა, მღდელმოძღუართა და მღდელთა, კრებულითურთ დღესასწაულობენ სახსენებელსა შენსა და ხმობენ: აკურთხევდით ყრმანი,მღდელნი უგალობდით,ერნი უფროისად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**გ**ანწყობილსა წმიდათასა შეერთე შენ, მოღვაწეო ნინო, და კრებულსა-თანა ანგელოსთასა იშუებ ღირსად ცათა შინა მარადის, გუირგუინშემოსილი სათნოებითა და მეოხ ხარ ჩუენ მორწმუნეთათუის ქრისტეს მიმართ და ვიტყუით: აკურთხევდით ყრმანი, და მღდელნი უგალობდით, ერნი უფროისად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**ვაკურთხევთ მამასა, და ძესა, და სულსა წმიდასა უფალსა.**

**ღ**მრთეებასა სამებასა, ერთარსებასა დიდებულსა, არსებით მიუწვდომელსა სამგუამოვნებასა, მამასა უშობელსა და მშობელსა, ძესა შობილსა დაუსაბამოსა და სულსა წმიდასა თანაარსსა სამარადისოსა აკურთხევდით ყრმანი,და მღდელნი უგალობდით, ერნი უფროისად ამაღლებ-

დით მას უკუნისამდე.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.**

**კ**რებული უსხეულოთაი და ნათესავი ადამეანთაი გიგალობენ შენ, ღმრთისმშობელო, ვითარცა ხარ უზეშთაესი ყოველთა, მეოხ გუეყავ ჩუენ.

**გაქებთ, გაკურთხევთ, თაყუანისგცემთ უფალსა, უგალობთ და აღვამაღლებთ მას უკუნისამდე.**

## კატავასია

**მონებად ღმრთისა აღდგომილნი ყრმანი შეითხინეს ცეცხლსა მიუახლებელსა, და ალისაგან არაი ევნო, და გალობით იტყოდეს: აკურთხევდეთ ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა, და ამაღლებდით მას უკუნისამდე.**

## ვგალობთ უპატიოსნესსა

### ღმრთისმშობელისანი. ადიდებდითსა (გალობა 9). სძლის-პირი

**დ**აუსაბამოსაგან მამისა ძე ღმრთისა გამოსჩნდა ქალწულისაგან, მხსნელად ჩუენდა განხორციელდა, განგუანათლებს დაბნელებულთა და შემოჰკრებს ერთად განბნეულთა, რათა სარწმუნოებით მშობელსა მისსა ვადიდებდეთ.

**გ**ემოს ხილვითა უჯეროთა სიკუდილი მოისთულო ადამ მწარედ ძელისა მიერ, ხოლო ძელსა რა დაემსჭუალა ძე შენი და სიტკბოება უკუდავებისა მოგვმადლა, ღმრთისა დედაო, ამისთვის გადიდებთ შენ.

**ჰ**ოი, დედოფალო, მეუფისა მშობელო ზეშთა სიტყუისა, რომელმან მეუფება ჯოჯოხეთისა დახსნა და განაქარვა, მას ევედრე, რათა მგალობელნი შენნი სასუფეველსა ცათასა დააწესნეს.

**დ**აატკბე გული ჩემი საწყალობელი, ჰოი, დედოფალო, განბოროტებული გემოთა მიერ, ვითარცა სახიერმან, და ყოვლად-სახიერისა ღმრთისა მშობელმან და ღირსმყავ მე სლუად ბჭეთა ცხოვრებისათა.

**მ**კუდარქმნილმან, რომელი ამაღლდი ჯუარსა ზედა და მოაკუდინე გუელი ჯვარისა მიერ, ამისთვის გიხმობ შენ, მომკუდარი სული ჩემი საქმითა ბოროტისათა შეიწყალე სიტყუაო და განაცხოველე, მეოხებითა მშობელისა შენისათა.

**ხ**მასა შევსწირავთ შენდა სამადლობელსა, ღმრთისა დედაო, ბრწყინვალედ და გიღაღადებთ, გიხაროდენ საყდარო ყოვლად უმაღლესო, გიხაროდენ ღრუბელო ნათლისაო, გიხაროდენ სამოთხეო, რომლისა მიერ სიტკბოებასა სამოთხისასა ღირსვიქმნენით.

### ადიდებდითსა (გალობა 9). ნინოისნი

**ჯ**ერ არს დუმილი, ვინაითგან ვერ შევუძლებთ ღირსებით ქებად შენდა დღეს, ღმრთისმშობელო, ხოლო არავე დავდუმნეთ შიშისათუის, არამედ მსგავსად უძლურებისა ჩუენისა შევკრიბოდ შესხმაი, რომლითა გადიდებდეთ.

**რ**აბამ რაიმე არს ხსენებაი ესე შენი, რაბამ საკუირველ მოქალაქობაი შენი, რაბამ შუენიერ მოციქულებაი შენი და ყოველივე სიკეთითა აღსავსე, ქალწულებითა შემკობილო, ჰოი, ნინო.

**ს**ოროი ნაწილთა შენთაი სავსე მადლითა, უპყრიეს ზღუდედ ქართველთა მეფობასა; ხმობენ შენდამი: უკუნ-აქციენ მტერნი და დასცენ ჯუარისა ქრისტესისა მგმობარნი, ჰოი ღირსო ნინო, და სცევდ სამწყსოსა შენსა.

**ჰ**ჰა ქადაგო და განმანათლებელო ჩუენო, ნინო, მოხედენ ლმობიერად ლოცუათა ჩუენთა და მოწყალე ყავ ღმერთი; ითხოვე ჩუენთუის ხსნაი ყოველთა ჭირთაგან და განსაცთელთა.

**ნ**ინო, შესხმისა შენისა სურვიელსა, ნუ დამიტევებ ძუირთა შინა წარწყმედად, ნივთთა ამათგან ჯმნილსა, მეოხებანი ნიავ სუნელად დამასხენ, დიდებულო და ნავთსაყუდელსა ქრისტესსა მიმაწიე.

**ღმრთისმშობელისაი**: ისმინე ჩუენნი ლოცუანი ღმრთისმშობელო, მეოხებითა წმიდისა ნინოისითა, თანაწარგუხადენ ყოველნი განსაცთელნი და მოგუმადლე

ჩუენ წყალობაი შენმიერი, და ძლევაი მტერთა ერსა ჩუენსა მოეც.

## სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ყოველნი ტომნი...

**მ**ოციქულთა და წმიდათა ბანაკი აღივსო შენ მიერ, სარკენი რაი დაიხსნნეს და განმამხნობელსა შენსა წარმოუდეგ, ნინო ყოვლად ქებულო, და გუირგუინნი მიიხუენ შრომათ მათ წილ, რომელნიცა თავს-ისხენ, ქალწულო წმიდაო და მოციქულო.

**ვ**ითარცა სდგა შენ კადნიერი წინაშე სამებისა წმიდისა, მოციქულთა გუირგუინო ნინო, სამგზის ნეტარო, მოიხილევდ ნერგსა, შენ მიერ დასხმულსა, და ეკლესიაი ღმრთისაი შეურყეველად დაიცევ, რომელიცა ზღუდედ შენ მოგიგებს, ღმერთშემოსილო.

**ნ**უ დაივიწყებ ხმასა მვედრებელთა შენთასა, წმიდაო, არამედ სამწყსოი, რომელი გერწმუნეს, დაიფარე მადლითა შენითა, და მორწმუნე ერი ჩუენი მოსახელე ქრისტეს ძალისაი, აგარიანთა ზედა მძლედ გამოაჩინე, ნეტარო ნინო.

**ღმრთისმშობლისაი**: ღმრთისა დედაო, რომელმან წყალობით ინებე გამოხსნაი ჩუენი კერპთა საცთურისაგან, წმიდისა ნინოის მიერ, მოციქულისა და მხევლისა შენისა, დაგუიცუენ ერნი შენნი, აღმსარებელნი და დასცენ ბარბაროზნი ძალითა შენითა უხილავითა.

## სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი ღმრთისმშობელად...

**ხ**სენებაი შენი წმიდაი კმა-არს ურვათა დამაცხრობელად, ხოლო მიხედუაი წმიდასა ხატსა შენსამოსალოდებელ საუკუნოისა სიხარულისა.

**ჰ**ოი, სანატრელო ნინო, რომელნი-ესე მხურვალედ მეოხად მოგიგებთ, ნუ მიგუაქცევ აწ სირცხუილეულთა, არამედ დაგუიფარენ ვნებათაგან შეწუხებულნი.

**ჰ**ოი, დიდებულო ნინო, რომელთა-ესე შევჰმზადეთ მცირე გალობაი, გულსმოდგინებაი მიითუალე და გუიხსნენ საცნაურთაგან ოხითა შენითა.

**ღმრთისმშობლისაი**: ღმრთისმშობელად თაყუანის-გცემთ, რომელნი შენ მიერ ვიხსნენით განსაცდელთა, ჭირთა და მწუხარებათაგან, განწირულთა სასოო, იყავნ წყალობაი შენი ჩვენზედა.

## სხვანი გალობანი წმიდისა ნინოისნი შენ, რომელი უქორწინებელ ხარ...

**გ**ანათლებული ქუეყანაი შენ მიერ ქადაგებითა, დღეს მიცუალებასა შენსა, ნინო, დღესასწაულობს, და კრებული მორწმუნეთაი გევედრებით შენ, სძალო ქრისტესო, ითხოვე ჩუენთვის წყალობაი.

**ა**ღსავსე არს ტაძარი შენი, ნინო, საკუირველებითა და, ვითარცა წყაროი დაუწყუედელი, აღმოდის მას შინა მადლი კურნებათაი სნეულთა უძლურებისაი, და ადიდებენ მადიდებელსა შენსა ქრისტესა.

**ნ**უ დასცხრები ვედრებად ქრისტეს მიმართ, ნინო, ნეტარო, მშუიდობით დაცუად ეკლესიათა და ხსნად განსაცთელთაგან, რომელნი სახსენებელსა შენსა აღვასრულებთ, რამეთუ მლხინებელ-გვექმნეს მრავალთა ცოდვათა ჩუენთა.

**ღმრთისმშობლისაი**: შენ, უქორწინებელო და ყოვლად წმიდაო ქალწულო, ითხოვე მისგან, რომელი ჰშევ, რაითა მოსცეს მეფესა ძლევაი და ხსნაი ერისა თუისისაი ულლისაგან მტერთაისა, რომელნი დაუცხრომელად გადიდებენ.

## კატავასია

**წერილთა მიერ შჯულისათა მოგუესწავა ჩუენ მორწმუნეთა, ვითარმედ ყოველი წული პირველ საშოისა განმღებელი წმიდა უფლისა იწოდოს. აჰა დღეს ვიხილეთ ჩუენ, პირმშოი ზეცით და ქუეყანით, და სარწმუნოებით გადიდებთ.**

## გამოავლინე დ გუერდი: მოიხილა ჩუენ ზედა...

მოციქულო ქრისტესო, ქადაგო და მახარებელო ჩუენდა მწუხარებისა დახსნისაო, შენ დაღაცათუ საფლავმან დაგფარა, არამედ ცხოველ-ხარ ქრისტეს თანა მარა-

დის: მეოხ გვეყავ სურვილით მედღესას-წაულეთა შენთა. (3 გზის)

**სხუაი, ხმაი იგივე: ყოველნი სასოებანი...**

განსაცდელთა, შფოთთა და მწუხარებათა, ცილისწამებისა, ძრვისა და მავნებელთა წყლისათა და განმხრწნელთა მხეცთაგან და სიკვდილითა უეცარითა დაგვიცვენ გვითხოვე ნინო, მოციქულო ქრისტესო, შემწე ჩუენო და სასოებაო ღმრთისა მიმართ.

**დიდებაი... აწდა...**

ხილვისა ღმრთისა ზეცით თქუმისა მშობელო, ღმრთისმშობლად შენთა აღსარებელთა ლოცვანი შეიწირენ და გვიხსენ ცოდვათა ჩუენთა ბრალისაგან, ამათ კურთხეულო მარიამ, ღმრთისა საშუამდგომელო.

**აკათისტო ზედა დასდებელნი, ხმაი დ გვერდი**

ვითარცა არსმან ზეგუნებისამან აღმოაცენნის ფერად-ფერადნი სულნელებანი, ეგრეთ განმშვენდა ნინოის მიერ ქუეყანაი ესე ქართლისაი, კერპთა მიერ დაბნელებული.

ქრისტეს ქადაგ იქმენ, წმიდაო ნინო, და განაბნიე ძალი ეშმაკთაი ქრისტეს ძალითა და ვითარცა ვარდი სულნელი, აღყვავილე, ნეტარო, სარწმუნოებაი ქრისტეს ღმრთისაი.

კრებულსა მას თანა მოციქულთასა განწესებულ ხარ, ნეტარო ნინო, მომიხსენენ ჩუენ, რომელნი ვდღესასწაულობთ დღეს მიცვალებასა შენსა, და გვითხოვე ქრისტესაგან წყალობაი.

ცხორების მომცემელითა ვნებითა მით შენითა, ქრისტე ღმერთო, დამდაბლდეს ბორცუნი მაღალნი და დადნეს არმაზ-ზადენნი, რაჟამს გზანი საუკუნენი გვიუწყნეს ჩუენ ნინოის მიერ.

ასულმან ზაბულონისამან ძესა მას მაღლისასა შუილ-უსხნა წარმართნი, კერპთაგან დაბნელებულნი, ნინო, ქართველნი შეცთომილნი, ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა რაითა ადიდებდენ.

**დიდებაი... აწდა... ხმაი ბ. დღეს ქრისტე...**

დღეს მანაკი წმიდა ზეცისანი ქუეყანისა თანა იხარებენ. დღეს ქართველთა მეფობა გვირგვინოსან-იქმნების. და ჯუარითა შეჭურვილი ძალსა შეიმოსს. დღეს მღდელთ-მთავარნი მღდელთა თანა განმშვენდებიან. და რქაი ეკლესიისა ზეშთა ამაღლდების. დღეს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა ტაძარი ნინოის ხსენებითა ბრწყინვალედ შეიმკობის. და ჩუენ მორწმუნენი კელ-ქმნილსა ღმერთსა უგალობთ: დიდებაი მაღალთა შინა ღმერთსა.

**დიდებაი მაღალთაი გრძლად და განსრულებაი ცისკრის გალობისა.**

**საცისკრო მოსახსენებლისა ზედა:**

აღზრდილი უბიწოებით, მტკიცე სარწმუნოებითა, მოძღუარი ქართლისაი, სანატრელი ნინო, მხედველი ყოველთა მხსნელისაი, რომელი კუალსა მისსა შეუდგა სიხარულით და უქადაგა ყოველთა ძალი ღმრთეებისაი, და ასწავებდა ერსა განყენებად კერპთა მათგან უსჯულოთა, და უჩუენა გზაი ჭეშმარიტი.

აღმოცენებული მორჩი ნაყოფთაგან ვენახთაისა, რომელი-იგი აქუნდა ხელთა სასწაულად სანატრელსა წმიდასა ნინოს, ცხოველმყოფელი ჯუარი, და მის მიერ იქმოდა ყოველთა მათ სასწაულთა ქალაქსა მას შინა მცხეთისასა; რომელთა შეიწყნარეს მოძღურებაი მისი, სენთაგან განიკურნნეს და ღმერთსა აქებდეს.

რომელი მზის დასავალით აღმოსავალად მოვიდა, და დაბნელებული ერი განანათლა ნათლითა სწავლათა მისთაითა, ყოველნი მოიხიდნა: მეფენი და მთავარნი, დამონებულნი კერპთანი განათავისუფლა შეწევნითა საღმრთოითა, და აქებდეს, რომელმან იხსნა იგინი მონებისაგან საცთურისა.

იხარებდინ ეკლესიაი შუილთა თუისთა თანა, კრებასა დიდებულსა ნინო ნეტარისასა, და შემზადე მწყობრი სულიერი მაქებელი ქადაგისა, მოციქულისა და

მახარებელისა ჩუენდა ქრისტეს სასუფეველისა.

**დ**ღეს შუილნი სიონისანი, ვითარცა რა კრავნი მწვანვილოვანსა ზედა, აღიმღერებდით ძნობად დედისა თუისისა, იგალობდით, რომელმან წყლითა აღმოგუშუნა, და სულითა სულ-ქმნილნი მეუფესა ქრისტესა მიგუიძღუანნა ცხორებად.

**ნ**იში საღმრთო ჯუარი წმიდაი ქრისტეს მეუფისაი აღგუბეჭდავს, რომელთაცა შევიწყნარეთ მოძღურებაი ნინო ნეტარისაი, რომელნი ვხმობთ, ქრისტესგან განათლებულთა ქრისტე შეგვიმოსიეს, და ქრისტე გუიცხოვნენ შენნი ერნი.

**დიდებაი...**

**მ**ადლისა ზიარსა მას ნინოს მოვედით, მორწმუნენო, ერთობით პატივს-ვსცემდეთ, რამეთუ ესე არს მსგავსი მოციქულთაი, რომელი მოივლინა ჩრდილოისად ქუეყანად და მადლითა საღმრთოითა განაბრწყინვა; ჰოი, შრომათა მათ შენთა, სანატრელო, რომელი ჰყუენ ჩუენდა მომართ; მეოხ-გუეყავ უფლისა მიმართ.

**აწდაი...**

**ჰ**ოი, დედაო ღმრთისაო, სალხინებელო ყოველთა ცოდვილთაო, შენ განმიღე ჩუენ კარი წყალობისა შენისაი და მწუხარებანი ჩუენნი სიხარულად შეცუალენ, კურთხეულო, ვითარცა ხარ მხიარულებაი ყოვლისა სოფლისაი, მიმადლებულო.

**სამხრად წარდგომაი ფსალმუნი დავითისი:**

**ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი.**

**დასდებელი**

**ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნულსა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო.**

**სამოციქულო კორინთელთაი. დასაწყისი რლა. ღმერთმან ჩუენ მოციქულნი... დასასრული: გლოცავ თქუენ, მობაძავ ჩემდა იქმენით. (1 კორ.4:9-16).**

**ალილუია, ხმა ა.**

**აღიარებენ ცანი საკვირველებათა შენთა უფალო და ჭეშმარიტებასა შენსა ეკლესიასა შინა წმიდათასა.**

**დასდებელი**

**ღმერთი დიდებულ არს ზრახვასა შინა წმიდათასა.**

**სახარება მათესი. დასაწყისი რდ. ემსგავსა სასუფეველი ცათა ათთა ქალწულთა... დასასრული: იღვიძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღეი იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაი მოვიდეს. (მათე25:1-13). განიცადე: ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმიდა თეოდორე სტუდიელი

## პოვნა იოანე ნათლისმცემელის თავისა

(ქუთაისის მუზეუმის ფონდში, K1 ნომრით დაცული ხელნაწერი მოიძია და ტექსტზე იმუშავა **არქიმანდრიტმა ბასილმა** (კაკიაშვილი))

თებერვალსა კდ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებელისა, სტოდელთა წინამძღურისა სიტყუა შესხმისა პოვნისა პატიოსნისა თავისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა **ი ო ა ნ ე ს ს ა**

მამაო, გვაკურთხენ!

მესამე არს წოდებაჲ ესე, რომელი მოაქუს ჩუენდა ხსენებისათვის წინამორბედისა დღეინდელსა ამას დღესა და მოგვიწოდს ჩუენ, ჰოი, ქრისტეს მოყვარენო; რამეთუ უკუეთუ საუნჯესა რაჲსამე მეყსა შინა უცნაურად პოვნილსა ზედა დაესხმიან ყოველნი კაცნი და მხიარულებით ეძიებიენ ხილვასა სასურველისასა, რაჲოდენისა არა უფროსისა მხიარულებით დღესასწაულობისა ღირს იყოს ყოვლად პატიოსანი ესე თავი ნათლისმცემლისაჲ, ფრიად უმეტეს აღმატებული მრავალ სასყიდლობითა, ყოვლისავე ოქროისა და ქვისა პატიოსნისა, რომელი ესე აწ გამოჩნდა სათნო ყოფად ღმრთისა ყოველისავე საცხორებელად ჩუენდა განმგებელისათა.

ვიხარებდეთ უკუე და ვიშუებდეთ ამას შინა, რაჲოდენი რაჲ შეეტყუების სიხარულსა ღმრთის მოყვარეთასა და შუებასა ესე ვითართა სულიერთა ნიჭთა მიმთხუეულთასა, ეგულებოდეთ მხიარულებით და ვაქებდეთ შუენიერებით. სხუაჲ არს დღესასწაული ესე, სხუაჲ არს დიდებისმეტყუელება ესე; რამეთუ პირველი იგი დღესასწაული შობისა მისისა, რეცა აღმოსავალსა მიემსგავსების, რომელმან იგი საცნაური ესე მთიები, საშოსაგან დედისა მისისა აღმოაბრწყინვა, სასწაული საკვირველი ყოველსა სოფელსა აუწყა; ხოლო მეორე იგი დღესასწაული თავის კუეთისა, დასავალსა მიემსგავსების, რომელსა შინა ღმრთივსაჩინომან ამან ლამპარმან, საცნაურისა მის დღეყოველ მგზავრობისა სლვაჲ დაასრულა და ქუეშე კერძო ქუეყანისა იქმნაჲ. რაჲთა მუნცაჲ წინაჲ გამოუბრწყინვოს ნათელი ქრისტეს მოსლვისა მყოფთა ჯოჯოხეთისათა; ხოლო აწინდელი ესე დღესასწაული პატივცემული, პატივითა სამებისათა – უღრმესსა რაჲსმე და უდიდებულესსა საიდუმლოსა გუახარებს, რომელ არს კუალად განცხოველება ჩუენი საუკუნესა მას ცხორებასა. რამეთუ აწ აღმობრწყინდა და რეცა სიკუდილით ცხორებად მოიწია, კუალად გამოცხადებაჲ ესე, პატიოსნისა მის თავისაჲ. ეჰა, საკვირველი, არღარა თავს იდვა ქუეყანამან მრავალჟამ თავსა შორის თვისსა დაფარვითა ესევითარისა ამის საუნჯისათა. ზღვევაჲ და ჭირვებაჲ ჩუენი; არამედ ჟამსა თვისსა, ვითარცა ახალ აღყუავებული და ჟამიერად დამწიფებული ნაყოფი, მოგუანიჭა ჩუენ ნაყოფი თვისი. იხილა ესე ცამან და მხიარულ იქმნა და მოხედნა ნათესავმან კაცთამან და მაქებელ იქმნა, ხოლო ეშმაკთა იცნეს ესე და მიმოდაიბნინეს, რამეთუ იხილა მზისა უბრწყინვალესად, ნათლითა ჭეშმარიტებისათა და მთოვარისა უშუენირეს იქმნა, ჰაეროვნებითა ღმრთისმსახურებისათა თითოფერებისა ვარსკულავთასა, უმრავლეს რაჲბამობითა და რაჲოდენობითა მრავალთა მათ საკვირველებათათა. რაჟამს მეყსა შინა აღმოაცენა მდინარე

კურნებათაჲ, ყოვლისავე შროშნისა უშუენიერესი სახილველად და შესაკრებელად. რამეთუ ფშოდა იგი მადლთა სულისათა, უფროს ყოველთა შროშანთა ველისათა, უსურნელესთა, და უსარგებელესთა, რომელი იგი იყნოსა საცნაურად ყოვლმან სოფელმან და განიხარა, მიემთხვივნეს ყოველნივე და მოისთულეს მისგან, რაჲოდენი უხმდა თითოეულსა, რაჲსა იგი ეძიებდეს; რაოდენ სურვიელ იყვნეს და ვითარითაცა გულსმოდგინებითა წადიერიყუნეს. რამეთუ მადლი უშურველ არს და ესოდენ მიიმძლავრების. რაჲოდენ ნებაჲ მორწმუნისაჲ უმდიდრეს სხუათა იყოს. თავი შესაკრებელისა მათისა, ესე იგი არს ცოდვილთასა, შრომა არს ბაგეთა მათთა, ვითარცა ხმობს დიდი იგი წინასწარმეტყველთა შორის დავით; ხოლო ჩუენდა, თავი ესე იქმნა – დამხსნელ შრომათა, მაოტებელ ვნებათა, მდევნელ ეშმაკთა და მომატყუებელ ყოველთა საღმრთოთა ნიჭთა. რამეთუ თავი არს საშოსა შინა დედისასა კრთომით აღმღერებულისაჲ; საშოსა შინა ქალწულისასა განხორციელებულისა ღმრთისა მქადაგებელისაჲ; რომლისათვის იტყვის იგივე საღმრთო დავით: „გამოვიდეს კაცი და სიღრმითა გულისათა და ამაღლდეს ღმერთი.“

მისი არს თავი ესე, რომელი იგი მიერვე, დედის მუცლითგან აღივსო სულითა წმიდითა; რომლისათვის იტყვის დიდი ზაქარია: „და შენ ყრმაო, წინასწარმეტყველ მაღლის იწოდო, რამეთუ წარსძღუე წინაშე პირსა უფლისასა, განმზადებად გზათა მისთა.“ მისი არს თავი ესე, რომელი მიერვე სახუეველთაგან უდაბნოს მოქალაქე იქმნა, ვიდრე ჟამადმდე გამოჩინებისა მისისა ისრაელისა მიმართ, რომლისათვის იტყვის წინასწარმეტყუელი: „ხმა ღაღადებისა უდაბნოსა ზედა, განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ჰყვენით ალაგნი მისნი“.

მისი არს თავი ესე, რომელი ქადაგებდა ნათლისცემასა სინანულისასა, მისატევებელად ცოდვთა. რომლისათვის აღმოგვიკითხავს წმიდათა წერილთა შინა: „აჰა ესერაჲ, მე წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა. და რაჲდღა სახმარ არს მრავლისმეტყველებაჲ.

მისი არს თავი ესე, რომელი იგი ღირს იქმნა შეხებად თხემსა სახმრთოსა. რომლისა მიმართ თქუა უფალმან: „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ ჰშუენის ჩუენდა, აღსრულებად ყოველი სიმართლე“. და ვინ კაცთაგანმან შეუძლოს ღირსებით ქებად ყოვლად სანატრელისა ამის, ანუ რომელი ენაი ნაშობთა ქუეყანისათა შემასხმელ ექმნეს, ფრიად ყოვლითურთ ყოვლად გასაკვირვებელსა ამას და შარავანდედთა მიერ უხრწნელებისათა ელვარე ქმნილსა.

არამედ, ჰოჲ, საღმრთოო და წმინდაო თავო, სამკვიდრებელო ყოველთა უვნებელობისა და სიწმინდისა გრძნობათაო, სასაკუმევლეო საცნაურთა მათ სულისა სულნელებათაო, საუნჯეო, მცველო მრავალსასყიდლისათა მათ სიმდიდრის მოქმედთა საკვირველებათა მადლისათაო; ვაქებ ღმრთივთხზულსა მას უთხზველობასა თმათა შენთასა, რომელი იგი უპატიოსნეს არს ოქროსა მის სოფირით მოღებულისა და უშუენიერეს სასძლოდ შემზადებულისა მის მანიაკისა; რომლსა ზედა არა აღვიდა საპარსველი სიბოროტისა, რომელ არს საცთური შეცოდებისა, ვითარ იგი პირველ სამფსონის ზედა ბორგნეულისა მის დალლაჲს მიერ. ვადიდებ – სამღდელოსა მას და აჰრონის უზეშთაესსა თხემსა შენსა; ვინაჲ ეგე გარდამოვალს ცუარი კურნებათა, ზესთა მის აერმონით გარდამომავალისა მთასა ზედა სინაჲსა, რომელ არიან სულნი მორწმუნეთანი; შევამკობ ნათლის სახელთა მაგათ თუალთა ტრედისათა, და რაბამ რაჲმე უჰაეროვნეს მრავალ სასყიდლისათა მათ ქუათა სამარაგდოსათა; ვადიდებ, ღმრთივხმოვანთა მაგათ სასმენელთა შენთა, ვითარცა ზეცისა საიდუმლოთასა; ჟამიერად ვიხუმევ შენ ზედა სახის მეტყველებით მოპოვნებულთა მათ სიტყუათა წერილისათა და ვიტყვი: ვითარ განშუენდეს ღაწუნი შენნი უფროჲს გურიტისა, სიტყვისაებრ ქებათასა და ვითარცა ყუავილი ვარდისა – შუანი შენნი, და ვითარცა ქლამინდი მეწამული

— ბაგენი შენნი, და ვითარცა გოდოლი ლიბანისა — ხორხი შენი და სიტყუაჲ შენი ტკბილ და შუენიერ; ვაქებ — ზღუდესაცა მაგას კბილთა შენთასა, უფროს სძისა განსპეტაკებულისა. ვინაჲ იგი განხდა სიტყუაჲ საღმრთოსა ქადაგებისაჲ, ვიდრე დასასრულადმდე ქუეყანისა. და დასასრულსა ამის ყოვლისსა უგალობ ვეცხლის სახესა მაგას ქედსა შენსა, რომელი განიკუეთა მახვილითა მკვლელთათა, რომლისაგან გარდამოჰხდა, ნაცვალად სისხლისა, ნაკადული საკვირველებათაჲ.

რაჲსა იტყვი, ჰოი, ჰეროდე, რამეთუ შენდა მიმართ არს მოქცევი სიტყვისა ჩემისაჲ, გაქუსმეა, რაჲსა იგი ეძიებდი, დამეადუმეა ნათლისმცემელი? მიგიღებიესა გულის თქმაი შენი? — არა სადა. არა, აჰა, კუალადცა შენზედა მოწამე ჭეშმარიტებისა, მხილებითი იგი მახვილი სულისაი, კეთილად კადნიერი იგი ენაჲ ღმრთის მსახურებასა, ცხოველ არს და არა მომკუდარ, განხსნილ და არა შეკრულ და უფროს აბელის სისხლისა ხმობს შენდა მომართ. არა ჯერ არსო იტყვის: — არა ჯერ არს, ვითარმცა ცოლად გესუაჲ, ცოლი ფილიპეს, ძმისა შენისა. ჰნებავს, რათა განგაყენოს საწოლისაგან ბილწებისა; წადიერ არს, რათა გიხსნეს რისხვისაგან უღმრთოოთათვის აღზავებულითა. გულის ხმა ჰყავა? — არა სადა. განჰბრძნდია? — არა. ყოვლად არა განეყენე ვნებათა და გემოვნებათა, ყოვლითურთ სული შენი დაუკალ მეძავსა მას. ნაცვლად ძღუენისა, სამღერელად ლაკნითა შემოიყვანე წმიდა იგი თავი ნათლის მცემლისაჲ, რომელსა ჯერეთ და მწთოლვარედ აქუნდეს ნაკადულნი სისხლთანი.

ჰოი, კაცთმოყვარებასა ამას, ვაჲ ბილწებასა ესე ვითარისა სიბრძნისასა და სეირობისასა, რომლისა მსგავსი ჯერეთ აწცა მრავალგზის იქმნების და დაღაცათუ არა ნათლისმცემლისა თავი მოეკუეთების, არამედ ასოები ქრისტესი ასოებ მეძვის იქმნების. რამეთუ რაჲსა სხუასა და არა ამას მოქმედებენ მომთვრალეობანი და ბილწებანი, ხმისა მისაებრ სამოციქულოსა.

მომიგებდ შენცა, ჰოჲ, უბადრუკო ჰეროდია, მოგიყიდა რაჲა კადნიერმან მაგან ხელყოფამან? შთააგდეა ნათლისმცემელი მთხრებლსა დავიწყებისასა? ანუ არღარა ვინ არსა, რომელმან ჯერეთ წინააღდგომით სიტყუა გიგო შენ? გარნა ამაო არს სასოება შენი და უძლურ ღონისძიებაჲ შენი. ურგებ გექმნეს მზაკუარებანი და წინაჲუკუნ გექცეს სივერაგეთა მოპოვნებანი. რამეთუ რაოდენ ჰგონებდ დაფარვასა, ეგოდენ განაქიქე ბილწებაჲ შენი; რაოდენ აზმნობდ დაფარვასა, ეგოდენ ნათესავითი ნათესავად მიეთხრობვის არაწმიდება შენი, ვინაჲცა შენ მიგიღიეს მწარე სიკუდილი, თანა მემრუშით მეუღლითურთ, და სამარესა შინა განხრწნილნი და დაყროლებულნი ზოგად აღმოაცენებთ სიმრავლესა მატლთასა. ხოლო თავი ესე, რომელი თქუენ მოჰკუეთეთ, ზესთა ქუეყანისა ქმნული მხიარულებით კრთების და ხელითა ღირსთა და წმინდათათა, ვითარცა ძღუენი სამეუფო შემოიყვანების, წინა ძღვანებული დასისაგან მღდელთასა და ლიტონობით ვედრებული კრებულისაგან მონაზონთასა; იდიდების სიმრავლისაგან მსოფლიოდ ქორწინებულთასა და შემოჰკრებს მწყობრსა ერმრავალსა დღესასწაულთა ღმრთივ გამორჩეულსა. ამის ყოვლად ქებულისათვის, ვითარ იგი შეჰგავს თქმად, ანგელოზთაცა წესნი შემოკრებულ არიან და შესხმასა ამას ჩუენსა თანა ზიარ, მაქებელ, და მგალობელ მისსა არიან. რამეთუ მეგობარ არიან თანამოსახელისა ამის მისისა, რომელი იგი ანგელოზი იყო ხორცთავე შინა და მათ თანავე სწორ, სიქადულითა ხორცთა შინა უხორცოებისათა.

ამის ყოვლადსანატრელისა ესე, ყოვლადსაგალობელი დღესასწაული აღმოაცენებს მირონსა მადლისასა, უფროს ნარდისა, უფროს ყუავილთა მათ საღებავთასა, უფროს კინამოჲსა, უფროს ყოვლისა სულნელებისა საკუმეველთას ღაღადებს და ხმობს და მარადის უსიტყუელად შემასმენელ ექმნების მზაკვრებათა შენთა. ესევითარ უკუე არს აღსასრული უსჯულოებისა და ესოდენითა უშუერ იქმნების განქიქებითა, რომელი ესე

ცანთ და ისწავეთ. მეფეთა ქუეყანისათა, ხელმწიფეთა და ძლიერთა, მთავართა და სამთავროთა და ყოველნივე, რომელნი ცხოვნდებით სოფელსა ამას და ხორცთა შინა, რათა სჯულკეთილობდეთ, ვითარ იგი სხუას, ყოველსა ზედა; რათა არა თქუენცა შეგემთხვიოს განქიქებაჲ შესწორებული, პირველ მოხსენებელთა ამათ მემრუშეთაჲ.

არამედ, ჩუენ ვითარ ესე მგონიეს თავი იგი ოქროს სახე, ზოგებით გვირგვინოსან ჰყავთ ოქროჲსა უპატიოსნესთა მათ ყუავილთა შესხმათათა; მოვედით უკუე და სხუათა მათცა ასოებასა შევეხნეთა, რათა არა ზოგებით ვიყვნეთ შემასხმელ ქრისტეს წინამორბედისა და ესე იყოს ჩუენდა მიზეზ ნაკლულევანებისა, და რაჲმცა იყო უნათლეს და უბრწყინვალეს ხელისა მის, რომელი იგი ღირსიქმნა ხელისა დადებად ქრისტესა, ჟამსა მას ნათლისღებასასა. რამეთუ უკეთუ ერთ არს ცეცხლი ღმრთეებისა, გულისხმაყავ შესახებელიცაჲ იგი თავისა მისისა, ვითარმედ ცეცხლისფერჰყოფს შემხებელთა მათ მისთა, ნებთა წინა მორბედისათა; რომელნი იგი არა თუ თვისისაგან ბუნებისა შეიცვალნეს, არამედ თვისი იგი ხორცთა არსებაჲ დაიცვეს უცვალებელად და ძალი საღმრთოსა მის ცეცხლისა შეიმოსეს უვნებელად და კუალად ბეჭთსაშუვალიცაჲ მისი, სიტყვისა მისებრ მგალობელისა, ფერითა ოქროსათა განშუენებელ არს, ტვირთვითა მით ქრისტეს ჯუარისათა მხართა ზედა; მუცელი მისი არს სუეტ პილოს ძუალისა, დამყარებულ ქვასა ზედა საფიროვანსა, ვითარცა თქმულ არს. და არა შეირყევის გულისთქმათაგან თირკუმელთა და უპისა. არამედ გარე მიაქცევს ყოველთა გემოვნებათა მუცლისათა, და კუალად წელნი მისნი სიწმიდითა და სიბრძნითა, სიმხნითა და სიმართლითა მორტყმულარიან და გარე-შეცვულ ნიჭითა მით ქალწულებისათა. ქმნულებაჲ წყვილთა მისთა მსგავს არს მანიაკისა და გარეშეურტყამს მახვილი უვნებელობისა, წვივნი მისნი სუეტ მარმარილოსა დამყარებულ სადგომელთა ზედა ოქროჲსათა, რომელ არიან სათნოებანი.

ხოლო ფერხნი მისნი საღმრთოდ ვლენან და გზათა უფლისათა დაამტკიცებენ. ყოველნივე ასონი მისნი არიან საჭურველ სიმართლისა, პატიოსნნისა მის და ყოველთა უვნებელობითა აღსავსისა გუამისა მისისა, რომელი იგი არს ჭურ რჩეულ, ორღანო განმწმენდელ, კეთილად შეწყობილ და ერთხმა მადლთა სულისათა, აღზრდილი მარხვისა და გამომზრდელ უბიწოებისა და სრულქმნილი ლოცვისა მოუკლებელისა. ხოლო მე არც ამათ ყოველთაგან ხუებულვჰყოფ სამოსელსა მას და სარტყელსა მისსა; რამეთუ დაღაცათუ მამათმთავარმან იაკობ სამოსელი ჭრელი შეუმზადა საყვარელსა მას შვილსა თვისსა იოსებს, არამედ, დიდმან მახარებელმან მათე, შეუმკობელად და განუშუენებლად გამოგვიწერა სამოსელი ნათლისმცემელისა, რამეთუ იტყვის, ვითარმედ იყო „სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისა ერტყა წელთა მისათა“, რამეთუ მიერითგანვე გამოაჩინებდა მოკუდინებასა ცოდვისასა, დაღათუ ვიეთაგანვეფრიად უშუერად საგონებელ იყოს.

გარნა რაჲბამ კმაიყოს გონება და ენაჲ ჩემი მოპოვნებად შესხმასა თითოეულისა ასოსა შენისასა. ჰოჲ, დიდო სამკაულო წინასწარმეტყველთაო, ამისთვისცა ვინაჲთგან ყოვლითკერძო გლახაკ და უღონო არს, უწყი, ვითარმედ მომიტევო, ვითრცა კაცთმოყვარემან და დამამტკიცო უპირატეს უკუე მე უღირსი და უნდო მონაჲ შენი, თანა სულიერით მამითურთ და ყოვლით შენდა შევედრებულით სამწყსოთ.

და ამისსა შემდგომად დაიცვნე უვნებელად ყოველნივე, საღმრთოსა მაგის დიდებულებისა შენისა მგალობელნი, ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომელსა ჰშუენის ყოვლივე დიდებაჲ და სიმტკიცე ,თანა დაუსაბამოთ მამით და ყოვლადწმიდით და სახიერით, ცხოველსმყოფლით სულითურთ, აწ და მარადის და საუკუნეთა საუკუნეთასა. ამინ.

# არქიმანდრიტი ბასილი (კაკიაშვილი)

## მონაზვნობისათვის

IV საუკუნეში, მას მერე, რაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და ქრისტიანთა ოფიციალური რბევა, ხოცვა-ჟლეტა შეწყდა, თავს იჩენს და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის მონაზვნობა. მოწამეთა დასს ანაცვლებს მოღვაწეთა დასი. წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: დღითი-დღე მრავლდებოდნენ ძმები... და ისინი პირველ მართალთა და წმიდა მოწამეთა თანაზიარნი ხდებოდნენ, რადგან მონაზვნები წმიდა მოწამეების მსგავსად და მათზე მეტად მხნეობდნენ; რადგან მარტვილები ერთგზის (ერთხელ) ეწამნენ, ხოლო ესენი კი განუწყვეტლივ ეწამებოდნენ ქრისტეს სახელისათვის როგორც ამბობს დავითი: „შენთვის მოვწყდებით ჩვენ მარადღე...“ და პავლე იტყვის: „მე მარადღე მოვკვდები“.

წმიდა მოღვაწეთა ცხოვრება დაუცხრომელი ბრძოლა რომ არ ყოფილიყო,ამ ბრძოლას ყოველდღიურ სიკვდილად არ მოიხსენებდნენ. ამდენად, მონაზვნობა არის აღთქმებით განმტკიცებული მოწამეობრივი ღვაწლი, რომელსაც ნებაყოფლობითა და შეგნებულად ირჩევენ, ღმერთის მსგავსების მოსაპოვნებლად. ჭეშმარიტი მონაზონი შეძლებისდაგვარად უნდა ცდილობდეს მისთვის განკაცებული ღმერთის მსგავსებას და ბაძვას. წმიდა იპოლიტე რომაელი ბრძანებს: „ნუ გაიკვირვებ, ვით ძალუძს კაცს ღმრთისადმი ბაძვა. თუკი ინებებს – ძალუძს კიდეც“. მონაზვნობა პირდაპირ მიჰყვება უფლის მოწოდებას: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“. მონაზვნობა არის განღმრთობის, სრულყოფილების პირდაპირი და ღმრთივგამოცხადებული გზა. განღმრთობის ანუ თეოზისის შესახებ სწავლება, ღრმად არის დაკავშირებული პირველქმნილი ცოდვისათვის მართლმადიდებლურ სწავლებასთან.

ცნობილია, რომ დასაბამში ადამიანი ღმრთის ხატისაებრ შეიქმნა, და რომ პირველქმნილი ადამიანი ყოვლითურთ იყო შემკობილი სათნოებებითა და ღმრთის მსგავსებით. წმიდა ბასილი დიდი ბრძანებს: „ღმერთმა ადამიანი შექმნა სულად ცხოველად, რომელმაც მიიღო ბრძანება, გახდეს ღმერთი“.

ადამიანი ღვთის მორჩილების და მცნებების დაცვის გზით უნდა განღმრთობილიყო. მაგრამ პირველქმნილმა ადამიანმა ბოროტად გამოიყენა მინიჭებული თავისუფლება და „ურჩ ექმნა“ ღმრთის მცნებას – რომ კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხიდან არ შეეჭამა ნაყოფი. ნაყოფი შეიჭამა. სამყაროში ცოდვა და სიკვდილი შემოიჭრა და როგორც წმიდა კირილე ალექსანდრიელი ამბობს: „ცოდვამ გააუჩინარა ღმრთის სახოვანი ხატის მშვენიერება“. ცოდვის შედეგად კი ადამიანი „მამისეული კეთილდღეობიდან“ განვარდა და დაჰკარგა მადლისმიერი ძეობა და უხრწნელება; ხოლო ადამიანში დარჩენილი ღვთაებრივი ნაპერწკალი, მასში დაკარგული ნეტარების ხსოვნას აღვიძებდა და აღძრავდა მას, რათა იგი ყოველგან და ყოველი საშუალებით კვლავაც მოეძია.

ეკლესიის მამები, ძველი აღთქმის კაცობრიობის სულის კვნესას ადარებენ, დაკარგული ნეტარების გამო კაცობრიობის სულის კვნესას და სიზმარივით მის ბუნდოვან ხსოვნას, აგრეთვე – საქმროს მოღალატე პატარძლის ჭმუნვა-ხეტიალს, რომელიც მის ძიებაშია; აი, ათასწლოვანი

ძიების შემდეგ კი, მთელ სამყაროში გაისმა მშვიდი და მოსიყვარულე ხმა, რომელიც ყველას მოუწოდებდა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ“; „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება“; „სადაც მე ვიყო, მუნცა თქვენ იყვნეთ“. ეს იყო ხმა განკაცებული ღმრთისა – ყველაზე სასურველი და მიუღწეველი სასიძოსი; გამოჩნდა იგი, ადამიანური ბუნების განმაახლებელი და განმაღმრთობელი. ღმერთი გახდა ადამიანი, რათა ადამიანი განიღმრთოს.



გელათის ოთხთავი. მინიატურა (XII ს.).

როგორც ბასილი დიდი შეგვაგონებს: „ადამიანის შესახებ ჩვენი ღმრთისა და მაცხოვრის განგებულება, ესაა – განგებულობიდან აღმოწოდება და ურჩობის შედეგად ქმნილი გაუცხოებიდან, ღმრთის მოთვისეობაში უკუმობრუნება“. ამისთვის არის ქრისტეს ხორციელი მოსვლა, სახარებისეული აღწერა: უფლის მოღვაწეობაზე, ვნებებზე, ჯვარცმაზე, დაფლვასა და აღდგომაზე, რათა ცხონებულმა ადამიანმა, ქრისტეს ბაძვის გზით, დაიბრუნოს „დასაბამისმიერი ძეობილობა“.

ამდენად, განხორციელებულმა ძე ღმერთმა ადამიანს ის ხატება და ძეობა აღუდგინა, რაც ცოდვით დაცემამდე ადამიანური ბუნებისათვის იყო ნიშანდობლივი – ადამიანს კვლავ დაუსახეს მიზნად განღმრთობა; ხოლო განღმრთობისა და სასუფევლისკენ მიმავალი გზა ეკლიანია. გოლგოთაზე ჯვარცმული ღმერთკაცი ყველა თავის მიმდევრისაგან მოითხოვს, რომ მოთმინებით ზიდოს საკუთარი ჯვარი: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე“. პირველნი, ვინც ისმინეს უფლის სიტყვანი და შეუდგნენ, მოციქულები იყვნენ. პეტრე მოციქული ეუბნება მაცხოვარს: „აჰა, ესე რა, ჩვენ დაუტევეთ ყოველი და შეგიდექით შენ“; წმიდა პავლე მოციქული ღაღადებს: „ვინ განმაშოროს ჩუენ სიყუარულსა მის ქრისტესსა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, ანუ ურვამან, ანუ მახვილმან? რამეთუ შენთვის მოვწყდებით ჩვენ მარადღე და შევირაცხენით ჩვენ, ვითარცა ცხოვარნი კვლადნი“.

მოციქულთა კვალად, ქრისტესთვის დარაზმულია მოწამეთა დასი, რომელიც უტკბესი იესოს სახელით შეიტკბობდა სიკვდილს და ისინიც, მოციქულთა მსგავსად, ქრისტესთვის ცოცხლობდნენ და ქრისტესთვის კვდებოდნენ... ამ გზას მიჰყვება მონაზვნობა.

მონაზვნობა არის აღთქმებით განმტკიცებული მოწამეობრივი ღვაწლი; რომელსაც ნებაყოფლობითა და შეგნებულად ირჩევენ ღმერთთან მსგავსების მოპოვების მიზნით. ჭეშმარიტი მონოზონი შეძლებისდაგვარად უნდა ცდილობდეს, მისთვის განკაცებული შემოქმედის ბაძვას და მსგავსებას. და როგორც წმიდა

იპოლიტე რომაელი ბრძანებს: „ნუ გაიკვირვებთ ვით ძალუძს კაცს ღმრთისადმი ბაძვა. თუკი ინებებს – ძალუძს კიდეც“, მონაზვნობა პირდაპირ მიჰყვება უფლის მოწოდებას: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“. ხოლო ვისაც სრულყოფა უნდა, მაცხოვარი მათ მოუწოდებს: „უკეთუ გნებავს სრულყოფაი... წარვედ და რაოდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა, აღიღე ჯვარი და მოვედ და შემომიდეგ მე“.

მონაზონი დებს აღთქმას, რომ განეშორება ახლობლებს, ოჯახის წევრებს, სოფლის შფოთს, სიმდიდრეს და შეუდგება ძესა კაცისასა, რომელიც უპოვარებაში ცხოვრობდა და „არა აქვნდა სადა თავი მიედრიკა“. მონაზონი დებს აღთქმას, რომ დაიცავს მორჩილებას მოძღვრისას და სულიერი მამისას. მონოზონი ღმრთის კვალს მიუყვება, რომელიც „მორჩილ იქმნა მამისა სიკვდილამდე“; მონაზონმა სრულად უნდა მოიკვეთოს ეგოცენტრული „მე“ და ამპარტავნებით გაჟღენთილი საკუთარი ნება. მონაზონი ღმერთს აღუთქვამს, რომ დაითმენს: „ყოველსავე მწუხარებას, ჭირს, შიმშილს, წყურვილს, გინებას, ყვედრებას, სიყვარულისათვის უფლისა და სასუფევლისათვის ცათასა“, – რომელმაც „ჩვენთვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის“ დაითმინა: დევნა, ნერწყვა, გვემა, ჯვარცმა და სიკვდილი. მონაზონი დებს უქორწინებლობის აღთქმას, რომ დაიცავს თავს ქალწულებით, სიწმიდით და კრძალულებით... ხოლო ყოველივე თქმული შეუძლებელია, ვინმესთვის იტვირთო თუ იგი არ გიყვარს. სიყვარულის გარეშე ვერავინ შეძლებს „თავის უარყოფას“, ჯვრის აღებას და ღმერთის შედგომას. მონაზვნობა კი ღვთის სიყვარულის მტკიცე და კლდოვან საფუძველს ემყარება. მონაზვნურ ცხოვრებას განამტკიცებს: სინანული, სიმდაბლე, მორჩილება, სიწმიდე, მარხვა, მღვიძარება. მონაზვნის ჯვარცმა – ნებაყოფლობით სიკვდილად განმზადებაა. ეს არის მონაზვნის ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოვლინება და მისთვის სიკვდილი არად მიიჩნევა. მონაზვნობა ჯვარცმაა და უსისხლო მოწამეობაა, რომლისთვისაც პავლე მოციქული ამბობს: „ხოლო ჩემდა ნუ იქნებიან სიქადულ, გარნა ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისათვის სოფელი ჩემდამო ჯვარცმულ არს და მე სოფლისა“. მონაზვნის ჯვარცმა და სიკვდილი ნებაყოფლობითია და იგი ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოვლინებაა. მონაზონს არ აშინებს და ნებით „ჯვარს ეცმის“; რამეთუ ჯვრის გარეშე სიკვდილი არ უქმდება და მხოლოდ ჯვარცმით გვენიჭება აღდგომა; რადგან დაეფლა უფალი, ჯოჯოხეთი შემუსრა და მით აღდგა და აღგვადგინა მისთანა.

მონაზონი ყოველდღიურად უნდა აკვდინებდეს ძველ კაცს, „გულისთქმითა და ვნებითურთ“, რათა ამქვეყნადვე გაბრწყინდეს ღვთის მსგავსებით და შეძლოს თქმა: „გუშინ ქრისტესთან ერთად ჯვარს ვეცვი, დღეს მასთან ერთად ვიდიდები...“ გუშინ მასთან ერთად ვკვდებოდი, დღეს მასთან ერთად განვცხოველდები; გუშინ მასთან ერთად დავიფლვი, დღეს მასთან ერთად აღვსდგები“. ათანასე დიდის თქმით: „რადგანაც მაცხოვარი აღდგა მკვდრეთით, სიკვდილი შიშს აღარ გვგვრის. მორწმუნენი სიკვდილს, კნინს, ფეხქვეშ თელავენ. მხოლოდ მაცდური ეშმაკი, რომელმაც ადამიანი წაბილწა სიკვდილით, ნამდვილად მკვდარად დარჩა“. „ქრისტემდე არაფერი იყო სიკვდილზე ძლიერი და ჩვენზე უძლური. ახლა კი მასზე უძლური და ჩვენზე ძლიერი არაფერია“. მას მერე ადამიანი გახდა სიკვდილისათვის საშიში. მას მერე ადამიანი ცოდვას და სულიერ სიკვდილს ამარცხებს.

აღდგომილი მაცხოვრის მიერ ადამიანში უხრწნელება იმკვიდრებს და იგი განიღმრთობა.

# მონაზვნური სულის აღორძინება

(ბერის ჩანაწერებიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადამიანები ხშირად კითხულობენ თუ რა არის მთავარი ქრისტიანისთვის, რითაც იგი სულიერ ცხოვრებაში წარემატება. მამათა სწავლების მიხედვით, უმთავრესი მიზანი არის საკუთარი თავის დანახვა ანუ თავის შეცნობა; რითაც ადამიანში ჩნდება სინანული და განცდა ცოდვათა, რასაც დავით მეფსალმუნე ღვთისათვის აღვლენილ მსხვერპლად მიიჩნევს: „მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსვრილი გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს“ (50 ფს. 17 მხ.).

ქრისტიანის გარდაქმნა იწყება სინანულით, საკუთარი თავის განსჯით და ყვედრებით. ეკლესიაში მოსული ადამიანი ხშირად გარეგნულ მცნებათა დაცვით შემოიფარგლება; რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის სულის კურნების გზას დადგომია, რომელიც რთული და ხანგრძლივი პროცესია. თუ ადამიანი საკუთარ ვნებებს არ გააშიშვლებს და მათ აღმოფხვრას არ შეუდგება, თუ არ უარყოფს საკუთარ სურვილებს და არ აღუდგება საკუთარ „მეს“ „ეგოიზმს“,– ის ვერ შეიცნობს საკუთარ თავს და ვერც სინანულს მოიპოვებს, საკუთარი თავის უცნობელი.

ეკლესიაში მოსული ადამიანი,რომელიც ღვთისკენ ნაბიჯებს დგამს, ღვთისმოსაობის საფუძვლების ათვისებასთან ერთად, აუცილებლად უნდა გაერკვეს საკუთარ სულიერ ცხოვრებაში. საჭიროა, მიუკერძოებლად დავინახოთ ყოველივე ის ნაგავი და ცოდვათა სიმყრალე, რაც ჩვენში დაგროვდა განვლილი წლების მანძილზე.

უეჭველია, ეს ერთჯერადი პროცესი არ არის, და რაც უფრო სიღრმისეული და გულწრფელია სინანული, მით უფრო წმიდაა მის თვალში ყველა ადამიანი და მთელი გარესამყარო; რის შედეგადაც მდაბლდება სული და ხდება მორჩილი; და წარემატება იგი სულიერ ცხოვრებაში, საკუთარი თავის უნდობლობით და ღვთის მიმართ სრული ნდობით.

წმიდა მამა ნიკოდიმოს მთაწმიდელი, წიგნში „უხილავი ბრძოლა“, გვასწავლის, რომ ადამიანის უმთავრესი მიზანი არის განღმრთობა, რაც ღმერთმა მცნებად მისცა ადამიანს: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“. პავლე მოციქული გვამცნებს – „ბოროტისათვის ყრმა იყვენით, ხოლო გონებითა სრულ იყვენით“; ძველ აღთქმაში ვხვდებით აგრეთვე ღვთის მოწოდებას, როდესაც უფალი მიმართავს ისრაელს: „სრულ იყავ შენ წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა“(II რჯული), წმიდა დავით მეფსალმუნეც მცნებად უდებს თავის ძეს, სოლომონს: „და აწ სოლომონ, ძეო ჩემო, იცან ღმერთი მამათა შენთაი და ჰმონებდე მას სრულითა გულითა და სულისა ნებითა შენითა“ (I ნეშტთა 28-9).

აქ მოყვანილი სწავლებებითაც შევნიშნავთ, რომ ღმერთი ქრისტიანისაგან მოითხოვს სათნოებებში სრულყოფილების სავსებას. და უდიდეს საქმეთა შორის,რომელიც შეიძლება ისურვოს ადამიანმა – არის ღმერთთან მიახლება და მასთან ერთობაში ყოფნა. წმიდა გრიგოლ ნოსელის თანახმად, „ის, ვინც ზეციური მამისადმი ბაძვას ბრძანებს, ამით მიწიერი ვნებებისაგან განწმედას განაჩინებს; ხოლო ვნებებისაგან განწმედა მარტოდენ ნებაყოფლობითი არჩევანის გზით ხდება “ – ესაა გზა ასკეზისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ადამიანის ღვწა, იმისათვის, რომ მან ღმერთის შეწევნით, საკუთარი თავი, როგორც დაუმუშავებელი და უხეში მასალა, საღმრთო ჭურჭლად შეამზადოს. ადამიანი მცნებათა დაცვით ადასტურებს, რომ იგი მოკვდა საკუთარი თავისათვის და ცოცხლობს მხოლოდ ღმერთისთვის ანუ ღმერთის ნების აღსასრულებლად. და როგორც ერთგული მონა, ან უმჯობესია ითქვას, მეგობარი, იგი ღირსი ხდება საღმრთო ნიჭების მიღებისა; რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია, მანამდე მძინარე გონების გამოღვიძება, უგრძნობელობისა და უგუნური საწყისისადმი სამარცხვინო მონობის ღრმა ძილისაგან და ცოდვათა მონობისაგან გამოფხიზლება (განფრთხობა).

წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ამ ვნებათა წარმოშობის მიზეზებზე საუბრობს და მათ ასე აჯგუფებს: „ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულისთქმაი ხორცთაი და გულისთქმაი თვალთაი და სილაღე ამის ცხოვრებისაი. და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგან არს“ (1 იოანე 2, 15-16). ასე რომ, ქრისტიანული ასკეტიკა ღმერთთან ადამიანის სულიერ ერთობას და ამდენად, სოფლის უარყოფას გულისხმობს. უფალიც ხომ შეგვაგონებს: „ყოველი, რომელი არა იჯმს მონაგებისა თვისისაგან, ვერ ხელეწიფების მოწაფე ჩემდა ყოფა“; „რომელსა უყვარდეს მამაი ანუ დედაი უფროის ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს და რომელსა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროის ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათე 10. 37-38). ამასვე შეგვაგონებს სახარება, როდესაც მაცხოვართან მივა ჭაბუკი და ეკითხება: რაი ვქნა, რომ ცხოვრება საუკუნო დავიმკვიდროო, უფალი მიუთითებს მცნებების დაცვისკენ; ხოლო ჭაბუკი მიუგებს, რომ მცნებებს ყრმობიდანვე გულსმოდგინედ იცავდა და რაღა აკლდა მას? მაშინ უფალი ეუბნება – „უკეთუ გნებავს სრულ-იყო (ანუ სრულყოფილების გზას შედგომა, რაც მამათა სწავლებით, განღმრთობას გულისხმობს), წარვედ და განჰყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მათე 19. 21.).

სწორედ ამიტომ, ასკეტიზმი, როგორც სულიერი მოსაგრეობა, ყველაზე სრულყოფილად, მონოზვნური მოღვაწეობით ვლინდება. ამა სოფლის საცთურთაგან სულიერ განდგომას, ფიზიკური განდგომაც ემატება. ესაა ნებსით გლახაკობა, სასუფევლის დამკვიდრების მოსურნეთათვის, შინაგანი თანადაფლვა მაცხოვართან ერთად. წმიდა გრიგოლ ნოსელი შეგვახ-

სენებს: „რა არის ქრისტიანის სახე და აღთქმა გული გონიერი“ – „ნუ გიყვარნ სოფელი ესე, ნუცაღა რაი არს სოფლისაი ამის. უკეთუ ვისმე უყვარდეს სოფელი ესე, არა არს სიყვარული მამისა მის თანა“ (I იოანე. 2.15). უფალიც ხომ ბრძანებს: „უკეთუ სოფელი გძულობს თქვენ, ნუ გიკვირთ, რამეთუ არა ამის სოფლისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ სოფლისაგან; ამისათვის სძულთ თქვენ სოფელსა“ (იოან. 15, 18-19), ამიტომაც, სოფელს განდგომილი ადამიანი არა ვნებათაგან ძლევის შიშით ან სილაჩრის გამო განეშორება სოფელს, და არა იმიტომ, რომ ვერ ებრძვის ვნებებს და ცდილობს გაექცეს მას (რასაც წაიღებს მონასტერშიც და მცირეში თუ არ არის ერთგული, ის დიდშიც ვერ შეიქმნება ერთგული); არამედ ქრისტიანი მამაცურად წინაღუდგება ყოველივე იმას, რაც მას ახარებდა – თვით საყვარელ ადამიანებს და ყოველივე მონაგებს მისას. მას მამაცურად მიაქვს თავისი თავი სამსხვერპლოზე, სადაც მოწამეობრივი გზით ანუ თვითგვემის, თავის უარყოფის გზით, შეიწირება უფლისათვის, რასაც მონაზვნად აღკვეცა ჰქვია და რაც სიკვდილს ნიშნავს ამ სოფლისათვის.

მონაზვნად შემდგარ ადამიანს ანთებული აქვს სულში ცეცხლი, რომელიც უფლის სიყვარულის და მასთან ერთობის სურვილით იწვის. და მისი მზერა მიპყრობილია უფლის შეწევნას, რითაც სურს მასთან ერთად ავიდეს გოლგოთაზე და საკუთარი თავის ჯვარცმით აღდგეს უფალთან ერთად საუფლოში. ადამიანის სრულყოფა ყველაზე მეტად მონასტერშია შესაძლებელი. მართლმადიდებლური სწავლებით, ადამიანის სულის მკურნალობა ანუ ვნებათაგან განწმენდა, ტრადიციულად, ბერებს, სულიერ მოძღვრებს ეკისრებათ. თვითშემეცნებისა და სულიერ ცხოვრებაში ხელის შემშლელი, შინაგანი წინააღმდეგობების, გააზრების საუკეთესო ადგილად კი მონასტერი ითვლება. მონაზვნობა სულის გადარჩენის, მისი მკურნალობის თვალსაზრისით დიდ ცოდნას და პოტენციალს ფლობდა; რითაც მონაზონი ვნებთაგან განიწმიდება და სულიერი ნიჭებით აღვსილი, ათასობით ადამიანთა მკურნალი ხდება. მონაზონი განეშორება სოფელს, არა იმიტომ, რომ სძულს სოფელი, არამედ იმიტომ, რომ უყვარს ღმერთი და სოფელი მისთვის ამ სიყვარულის ხელის შემშლელი ხდება; რადგანაც სიყვარულით ანთებულ სულს სურს, მთლიანად მიუძღვნას საკუთარი თავი უფალს – ამით ის სოფელსაც შეეწევა, თავისი ლოცვით და უფლის წინაშე მოპოვებული კადნიერებით.

ამრიგად, მონაზვნები არიან დედაეკლესიის მეკავშირეები და შესაბამისად, თუკი ისინი გადიან შორს ამა სოფლისაგან, ამასაც სიყვარულით აკეთებენ, რათა მეტად დაეხმარონ სოფელს; რადგანაც „ეს სოფელი ბოროტსა ზედა ძევს“. მონაზონს სოფლისგან განშორებით შეუძლია ათასობით ადამიანს დაეხმაროს, რისი მაგალითებიც მრავლადაა მამათა ცხოვრებებში. სწორედ მათგან აღორძინდებოდა არა მარტო სულიერი ცხოვრების წესი, არამედ განათლების არაერთი კერა, სადაც ითარგმნებოდა და იწერებოდა წიგნები და ნარჩუნდებოდა უამრავი სულიერკულტურული სიმდიდრე, რაც დღემდე შემორჩენილია.

მონაზვნები ლოცულობენ ყოველი სნეულისათვის, რათა მათ მიეცეთ სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობა. სახიერი უფალი შეიწყალებს თავის ქმნილებას და დაეხმარება მათ განსაცდელსა და გაჭირვებაში.

მონაზვნის უმაღლესი დანიშნულება, ადამიანურ ქველმოქმედებაზე უფრო მნიშვნელოვანია; ვინაიდან მან, სანამ მონაზონი გახდებოდა, უკვე აღასრულა თავისი საქველმოქმედო საქმეები: გასცა ყოველივე, რაც ებადა, როგორც უფალმა მოუწოდა ჭაბუკს და რომელმაც საკუთარი თავიც კი მიუძღვნა ქრისტეს; ამგვარად, მონაზონს, ახლა უკვე, როგორც მის შვილს, კადნიერება აქვს უფლის წინაშე მოპოვებული, როგორც შვილს მამის წინაშე. და თუკი შვილი გულით სთხოვს თავის მოწყალე მამას, მამაც უხვად აძლევს წყალობას, თუკი ეს არ ავნებს მის საბრალო შვილს.

ხშირად, ხორციელ მამას არ ესმის შვილისა, რომელსაც მსხვერპლად მიაქვს თავი უფლის სამსხვერპლოზე და ამით

იგი ჭეშმარიტი მამის ძე ხდება; მამისა, რომელიც მას სულიერად შობს და კუთვნილ ძეობას უბრუნებს. ხორციელი მამა კი ამ დროს ხელს უშლის და აბრკოლებს ხშირად შვილს სულიერ გზაზე; სამწუხაროდ, ერში მოღვაწე სასულიერო პირებშიც შეინიშნება მსგავსი ქმედებანი; მათ, ქრისტეს გზის ნაცვლად, თავისკენ მიჰყავთ სულიერი შვილები და არ უშვებენ მონასტერში – სულის მაკურნებელ სასნეულოში; მაგრამ საკითხავია, შეძლებენ კი ისინი სულიერი შვილებისათვის სასუფევლის დამკვიდრებას თუ მხოლოდ ნივთიერი იქმნება მათი შეწევნა?

ამდენად, ადამიანთა სულების გადასარჩენად მზრუნველი მონაზვნები, უფრო მეტად მოსიყვარულე მამები არიან, ვიდრე ხორციელი მამები. და მათ მრავალშვილიან მამებზე მეტი შვილი ჰყავთ; რადგანაც მონაზვნები ღვთის ყველა ქმნილებას საკუთარ შვილებად და ძმებად თვლიან. და ლოცულობენ მათთვის, რათა ყველა ადამიანმა მიაღწიოს თავის დანიშნულებას – შეძლებისდაგვარად ღმერთთან სიახლოვეს.

მონაზვნები ადამიანებს ამბიონიდან სახარების ოდენ ქადაგებით კი არ შეეწევიან, რათა განათლდეს დიდი და პატარა, არამედ თავად ცხოვრობენ სრულად სახარებით, რადგან პირადი მაგალითით უკეთ იქადაგება სახარება. ერის ხალხი გარკვეულ დღეებში დადის ტაძრებში და ღმერთს უძღვნიან კელაპტარს; მონაზონი კი ყოველდღამე ტაძარში ანთებს და მთლიანად უძღვნის თავის თავს ქრისტეს და იწვის უფლის სიყვარულით; ადიდებს და მადლობს უფალს, საკუთარი თავისა და მთელი სამყაროსთვის. გიორგი მერჩულე, დავით მეფსალმუნის და პავლე მოციქულის სიტყვებზე დაყრდნობით, ბერმონაზონთა ღვაწლს მარტვილთა ღვაწლს ადარებს და ამბობს: „მარტვილნი ერთსა ხოლო ჟამსა ეწამნენ, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს, სახელისათვის ღვთისა“.

მონაზვნობა მისი წარმოშობისთანავე ქრისტესთვის სიკვდილის სიმბოლოდ იქცა – „როდესაც მოღვაწე სულიერ და ხორციელ ვნებათა მოკვდინებით უახლოვდება უფალს“: „მოვაკვდინეთ ასონი ჩვენნი ერთობითა და ჭირითა, სახელისა მისისათვის, რამეთუ ამისათვის ვიჩინენით ღმრთისაგან, რაითა ჭირნი და გვემანი შევიწყნარეთ და განსაცდელსა დაუთმეთ და მწუხარებანი თავს ვიდეთ, თვალისათვის უხილავ მოწამეობრივ ბრძოლაში“ (ილია აბულაძე „მამათა სწავლანი“ გვ. 206-214).

ღმერთმა მომადლოს ჩვენს ერს და სრულიად სამყაროს, მონაზვნური სულის აღორძინება, რაც სახარებისეული მცნებების ზედმიწევნით ცოცხალი მაგალითით აღესრულება. პახუმი დიდის მორჩილებაში მცხოვრები ბერები ვალდებულნი იყვნენ, სახარება ზეპირად შეესწავლათ; რათა მათ, ღმერთის ნამცნები გაშლილი წიგნივით, გამუდმებით მეხსიერებაში ჰქონოდათ და გონების თვალით გამუდმებით ემზირათ მისთვის; და რათა წმიდა წერილი გულზე ჰქონოდათ ამოკვეთილი ზედმიწევნით შესასრულებლად. წმიდა სერაფიმე საროველი ამბობს: „ისე უნდა განვისწავლოთ, რომ გონებით ვცურავდეთ უფლის განწესებებში.“

მინდა დავასრულო წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვის შეგონებით, რომელსაც იგი გვაძლევს წერილში „მონაზვნური ცხოვრების არსი“: „სახარების მცნებებით ცხოვრება მონაზონს აიყვანს ქრისტეში სისრულემდე და შენ გახდები ის „ნეტარი კაცი“, რომელიც „არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა, და გზასა ცოდვილთასა არა დადგა, და დასაჯდომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა, არამედ სჯულსა მისსა ზრახავს იგი დღე და ღამე. და იყოს იგი ვითარცა ხე დანერგული თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოიღოს ნაყოფი მისი ჟამსა მისსა და ფურცელნი მისნი არა დასცვივენ, და ყოველივე, რაცა ჰყოს, წარემართოს მას“, – ასე არიგებს სულიწმიდით შთაგონებული წინასწარმეტყველის პირით ღმერთის ჭეშმარიტ მსახურთ, იმ ადამიანებს, რომლებმაც ღმერთისთვის თავი შესწირეს:

„ეკრძალეთ ერი ჩემი სჯულსა ჩემსა, მოყავთ ყური თქვენი სიტყვათა პირისა ჩემისათა“

---

# წმიდა ექვთიმე (კერესელიძე)

## კეთილი ცხოვრების სახელმძღვანელო

ხელნაწერი კრებული „გზა ცხოვრებისა“
ვითარცა წერილ არს წიგნსა დაბადებისასა: თავი ა. მუხ. კვ.

**(იბეჭდება პირველად)**

პირველად, ექვსთა დღეთა განმავლობაში, შეჰქმნა ღმერთმა ყოველივე ხილულნი არსებანი: ცისა, ქვეყანისა და ზღვათა, და ყოველივე სავსება მათი! და შემდგომად ამათსა ინება უფალმან, რათა შეჰქმნას ბუნებითად სრული, ცხოველი არსება, პირმეტყველი, გონიერი და მეყსიერი, და სთქვა ღმერთმან: „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა.“

ამრიგად შეჰქმნა ღმერთმან მიწისაგან პირველი კაცი ადამი, და მისის გვერდიდგან შეჰქმნა პირველი ქალი ევა (ცოლი მისი), თავის ხატებისა და მსგავსებისა. ამიტომ, უეჭველად საჭიროა, ჩვენ, ყველა ადამის ჩამომავალთა, დიდთა და პატარათა ხალხთათვის, რომ თითოეულმა ჩვენგანმან მარტივად იცოდეს თუ რანაირად გვაქვს ჩვენ ხატება და მსგავსება ღვთისა.

პირველად – ხატება და მსგავსება ღვთისა გამოისახებოდა პირველი კაცის, ადამის, ბრწყინვალე ნათელმოსილობით და მის წმიდა ცხოვრებით, ოდეს იყო იგი სამოთხეს ცხოვრებასა შინა.

მეორენაირად – ხატება ღვთისა გამოისახვის ჩვენ შორის, რომ ჩვენ ხორციელი მსგავსება ქრისტეს ღვთისა გვაქვს.

ხოლო მესამენაირად – ხატება და მსგავსება ღვთისა გამოისახვის ჩვენ შორის, ყველა აქა აღწერილ საღმრთო თვისებებით, რომელიც გადმოგვცა ღმერთმან ჩვენს ბუნებაში, ჩვენი კეთილცხოვრებისათვის:

- უკვდავი სული
- სიცოცხლე
- უფლება თავისუფალი
- ნება საკუთარი
- სიმართლე
- სიწმიდე
- ნათელი
- გონება
- ძალა, ღონე
- სვინდისი
- პატიოსნება
- ნიჭი
- ხსოვნა
- ჭკუა
- სიბრძნე
- სიტყვა, მეტყველება
- გულისხმისყოფა
- სმენა
- ხედვა
- ყნოსვა, სუნნელება
- გემოვნება
- გრძნობა
- ხმა
- მშვიდობა
- სიმდაბლე
- მორჩილება
- კეთილი, სიკეთე
- სარწმუნოება
- სასოება
- სიყვარული
- უბიწოება
- უმანკოება
- სიწრფოება
- ერთგულება
- მხნეობა
- მეცნიერება
- ცოდნა
- ცნობა
- აზრი
- სწავლა
- მადლი
- ფიქრი
- საქმე
- სიმშვიდე

- შრომა
- სიფხიზლე
- ნათესაობა
- მოთმინება
- დუმილი
- წესი, კანონი
- მოწყალება
- სიბრალული
- ხალისი კეთილის
- ზომიერება
- მოგონება, მოაზრება
- სიტკბოება
- სურვილი
- ცხოვრება
- სიდინჯე
- მეცადინეობა
- შიში
- კრძალვა
- მოწონება
- მსჯავრი, სასამართლო
- ლმობიერება
- ღირსება
- მეხსიერება
- სიხარული
- მყუდროება
- სულგრძელება
- სიწყნარე
- სიმტკიცე
- სიმარტივე
- სიამოვნება
- სირცხვილი
- განკვირვება
- იმედი
- გზა ცხოვრებისა (სახ.ი.14:6)
- სულთქმა
- საჭმელი (სახ.ივ.6:51)
- სასმელი

ყოველმან, რომელმან ყოველნივე ესე ზემოწერილნი, საღმრთო თვისებანი კეთილად მოიხმარა, უვნებელად, უცოდველად, წმიდად, უბიწოდ და უნაკლულოდ აღასრულა თავის ცხოვრებაში – მან დაიცვა ხატება და მსგავსება ღვთისა! მას ეწოდება: ღმერთ-შემოსილი, შვილი ღვთისა და მემკვიდრე სასუფეველისა.

ხოლო ყოველივე ამასაღმრთო თვისებათა, კაცისა მიმართ მიცემულისა: მისცა ღმერთმან, რაიმე ცოდვების შემთხვევის წამლად: სინანული, აღსარება, შენდობა და ზიარება; რომლითაც უნდა შეუერთდეს კვალად მასვე ღვთაებრივ ბუნებას, საუკუნო ცხოვრებისათვის.

დიდება შენს წმიდა და კეთილგანგებულებასა, უფალო ღმერთო ჩვენო! რომელმან მიწისაგან შეგვქმენ და მოგვიყვანენ სულიერ არსებად; და შეგვამკვენ ჩვენ, შენითა წმიდითა თვისებებითა სათნოდ, შენდა ცხოვრებისათვის ჩვენისა, რომელთა აღგვითქუ ჩვენ, დამცველთა და აღმასრულებელთა მცნებათა შენთა, შენთანა საუკუნო ნეტარება და ნათელსა შინა ცხოვრება.

ხოლო, რომელნიც შესცთენ და გარდახდენ შენგან მონიჭებულს: წმიდა საღმრთო თვისებათა, სჯულ-მდებლობათა, მცნებათა, და გზათა წრფელთა, სახიერებითა და მრავალმოწყალებითა შენითა, მოქცევა და სინანული უბრძანე; რომელსა არა გნებავს წარწყმედა კაცთა, არამედ მოქცევა, სინანული და ცხოვრება საუკუნო.

ხოლო ურჩთა, ურწმუნოთა, უნანელთა, და მოუქცეველთა, ღირსებისაებრ მათისა, სასჯელსა საუკუნესა წარჰგზავნი. (სახ. მათესი 25:41).

### სულიერნი მტერნი

წმიდა სახარება და ყოველნი წმიდანი მამანი, წინასწარმეტყველნი და მოციქულნი ამტკიცებენ, თავ-თავის წმიდა წერილებით, რომ არიან მთელ ქვეყანას მოდებულნი ადამიანის მბრძოლნი, და სხვადასხვა ბოროტი თვისებების მქონე, უხილავნი, ბოროტნი სულიერნი მტერნი; რომელთაც ყველას საერთო სახელი ჰქვიან – ეშმაკნი, (წყეულნი) ამისთვის საჭიროა, ჩვენ, ხილულთა არსებამ, კაცმა და ქალმა, დიდმა და პატარამ, რომ ვიცოდეთ გამორკვევით, თუ რანაირი ბოროტის თვისების ეშმაკნი

(სახ. იოან. 13:2) გვებრძვიან, უხილავი სახ-ით, ჩვენს ცხოვრებაში. ესენია:[1]

- ამპარტავანებისა
- მზვაობრობისა, ტრაბახისა
- უთმინოებისა
- გულ-ფიცხელობისა
- ნაყროვანებისა, გაუმაძღრობისა
- სიძვისა, გარყვნილებისა, მრუშებისა
- ლოთობისა
- სიხარბისა
- სასოწარკვეთისა, იმედის დაკარგვისა
- სიძუნწისა, უწყალოებისა
- ანგაარებისა, ვერცხლის მოყვარეობისა
- გემოთმოყვარეობისა
- უდებებისა, ზარმაცობისა, ტყუილაყოფისა
- ძილის მოყვარეობისა, თვლემისა
- თამბაქოსწევისა
- სიცილისა, ხარხარისა
- ტყუილის თქმევისა
- გულძვირობისა
- უბრობისა, უნძრახობისა, გაბუტებისა
- შფოთისა, ჩხუბისა და კაცის კვლისა
- ძვირის მზრახველი
- ქეიფობის და განცხრომის მოყვარე
- ამაო, მრავალმოლაპარაკე
- შვება
- ცეკვაობის მოყვარე
- კარტის და სხვა ყოველგვარ თამაშობისა
- მუსიკათა და ყოველგვარ საკრავთა
- თვალთმაქციობისა, წარმოდგენათა მიმყოლი
- სხვისი განმკიცხველი
- ფერადობისა, სხვადასხვა ტანისამოსის და მოდების მიმყოლი
- მრისხანებისა, ავგულობისა
- თავმოყვარეობისა, თავმომწონებისა
- თავხედობისა, მეტიჩრობისა
- სიძულილისა
- ქურდობისა, მპარაობისა
- კადნიერებისა, შეუპოვარობისა, თამამობისა
- სხვაზე მტერად აღმდგომი
- მტერობისა
- თვით-რჩულობისა, მწვალებლობისა
- ცუდ-დიდობისა, უფროსობის მოყვარე
- უსამართლოებისა
- ღალატობისა სხვისადმი
- ცილისწამებისა
- ურწმუნოებისა
- ავადმყოფობისა
- ბოროტი სიყვარულისა
- სიზმრისა, მაოცნებელი
- მისნობისა, მარჩიელობისა
- გულისთქმისა ცოდვისა მიმართ
- გმობისა, ღვთის ძვირის მთქმევი
- ურჩობისა, ჟინიანობისა, დაუჯერებლობისა
- წყევლისა და გინებისა
- მზაკვარებისა
- შურისა
- პირ-ფარეშობისა
- მექრთამეობისა
- სიყალბისა, თაღლითად მუშაობისა
- ორგულებისა
- უსირცხვილობისა, უნამუსოებისა
- ცრუფიცისა
- მწამვლელობისა: სასიკვდინედ თავის ანუ სხვისი მომწამვლელი, ანუ მუცლის მომშლელი
- კაცის კეთილგონების წარმტაცი,განმბნევი
- ფარისევლობისა, პირფერობისა
- მაჩვენებლობისა, თავისგამოჩენისა
- ცილობისა, პირში შემბმელი, კამათის
- სიცოფისა, გადამრევი
- ყრუ, უსმინოებისა და უმეტყველებისა
- ადამიანის თავის ხელით დამცემი
- მოწყინებისა
- ავაზაკობისა, მძარცველობისა
- დამსმენელი, ენის მიმტანი, მაბეზღარი
- მზვერაობისა, სხვისი საიდუმლოს ყურისდამგდები
- ცრუმორწმუნოებისა
- გლოვასა და მწუხარებაში ჩამგდები
- გულციობისა
- მაშინებელი, მაშფოთებელი
- მოგვობისა, ჯადოსნობისა, თვალთმაქციობისა
- მარცხისა შემამთხვეველი
- კაცის მრავალგვარად დამაზარალებელი

ყველა აქ ხსენებულთა ეშმაკთა, სხვადასხვა ღონისძიება და მოხერხება

1. ყველა ვნებას ახასიათებს თავის ეშმაკი და წმიდა ექვთიმე ვნებებს უწერს წინ სიტყვა „ეშმაკს“, რომელიც ჩვენ აქ აღარ გავიმეორეთ. – რედ.

აქვსთ, ცოდვათა მოქმედებაში; ხოლო იმათი სურვილი კი, ყველასი ერთნაირი არის, ესე იგი – კაცის როგორმე შეცდენა, სიკვდილი და საუკუნო წარწყმედა...

ზოგიერთი მკითხველი ამ წიგნისა მეტყვის: სად არის ეშმაკი? ანუ როდის ნახე შენ იგიო? ხოლო მე ამის პასუხად მოვახსენებ:

– სად არის სურდო? ანუ რომელიმე სახადი? როდის ნახეთ თქვენ იგი თვალით? მაგრამ რო არის, ეს უხილავი და უნივთო სახადი, ეს უეჭველია. კაცს რომ სახადი შეექმნება მაშინ მთელ ტანს დაიპყრობს და თავის ნებაზე მიაქცევს. ამნაირადვე ეშმაკი არის: უსხეულო და უნივთო, უხილავი ბოროტი სული, რომელიც კაცის გვამში ისე დაივლის, რომ კაცი ვერც კი გაიგებს და დაიბინავებს მის სხეულის ნაწილში, იქ სადაც მას უნდა. და სწორედ იმ სხეულის ნაწილითგან კარნახობს გულში, და აწვევს თავის ბოროტი ნების აღსრულებას. ამ დროს არ უნდა უსმინო, არ უნდა აჰყვე მის ნებას და ყოველთვის უვნებელად დარჩები. ამ დროს ცოდვისაგან თავის დაცვის ერთგულობას, გმირობად ჩაგითვლის ღმერთი და მიიღებ მისგან მადლის ჯილდოს; ხოლო რომელი ადამიანიც აჰყვება მის მოვლენილს, გონებაში ჩაგონებულს ბოროტ სურვილებს და აღასრულებს მათ, იგი გააბატონებს მას თავი გულში და გახდება მისი მონა. (სახ. იოან. 8:34). ხოლო ჩამგონებელი ეშმაკი, გახდება მისი მუდამ მბრძანებელი ბატონი.

ეს, ადამიანის სხეულის ერთი რომელიმე ნაწილის ამბავი ვსთქვი; და რომელი ადამიანიც არის ცოდვების ამყოლი, მას თავისი სხეულის ყველა ნაწილებში სხვადასხვა ცოდვების დამჩვეველი ეშმაკები შეუვა ტანში (სახ. ლუკასი თ. 8:2, 30.) და დაუწყებენ ბრძოლას, დაპყრობას და მბრძანებლობას. თავისუფალ, უცოდველ ცხოვრებას დაუკარგავენ და მთელ მის სიცოცხლეს გაუმწარებენ და მას კი ტკბილად მოაჩვენებენ. ისე შეჰკრავენ ცუდის ჩვეულებით ცოდვებთან, რომ ზოგიერთნი თავის დანებებასაც ვეღარ ახერხებენ. მთელ სიცოცხლეს ცოდვათა მონებაში გაატარებინებენ, და ბოლოს, სიკვდილის შემდეგ, საუკუნო სატანჯველში მისცემენ (სახ. მათესი 25:46).

ყველა ეს თქმულებანი საიდუმლო და უხილავ საგანზე არის დაწერილი. დიდად ჭკუიანი და ბრძენია ის ადამიანი, რომელიც ძალიან უკვირდება თავის გულსა და გონებას. მაცთური ეშმაკი შესდგება ადამიანის გულის ტახტზე და გონებას ელაპარაკება თავის აზრსა, და ბოროტ სურვილს აგონებს, აწვევს, აწონებს და ასურვებს. ამ შემთხვევაში, გონიერი ადამიანი უცბად მიხვდება, მის გულსა და გონებაში რა მოხდა, რანაირი ბოროტი ფიქრი და სურვილი დაჰბადა მაცდურმა. სცნობს რა, იმ წამსვე მოსპობს მას, თავის გულისა და გონებისაგან. ყოველთვის, ასეთ შემთხვევაში, თავს დაიცავს და ყოველთვისვე უვნებელად გადარჩება. ამიტომ ჰნატრის და აქებს წმიდა დავით წინასწარმეტყველი ამისთანა კაცს, შემდეგი სიტყვებით: „ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან შეიპყრას ჩჩვილი თვისი და შეახეთქნეს კლდესა დავიწყებისასა“ (ფსალ. 136;10).

ხოლო მაცთურის ჩჩვილ, პაწია ჩაგონებას, თუ დრო და ადგილი მისცა კაცმა თავის გულში, მაცთური ხშირად მოაგონებს ხოლმე და თანდათან სხვადასხვა ხერხებს ასწავლის, თუ როგორ უნდა ჰქნას. ასე, ხშირად მოგონებით და ხერხების სწავლებით, თანდათან გაზრდის გულში, და რამდენიმე დროის განმავლობაში დაასრულებს, გაადიდებს, დაამძიმებს; და როცა გულსა და გვამში აღარ დაიტევა, მაშინ ჰშობს მას (როგორც ფეხმძიმე ქალი თავის შვილს) – ესე იგი, საქმით აღასრულებს იმ ჩაგონებულ ცოდვას, ან დაფარულად და ან ცხადად იქმს. და შემდეგ ჩადენისა, შეატკბობს და შეჰკრავს მას ჩვეულების საბლით, ძნელად გასახსნელად. ამასთანავე, მაცდური ეშმაკი ყოველთვის ცდილობს, რომ შემცდარ ადამიანს ღვთის რწმენა დაუკარგოს გულიდგან, რომ არ შეინანოს და არა სცხონდესო.

მოამზადა
მონოზონმა **ანამ (ნიაური)**

# იღუმენია ნინო (ამილახვარი-უმცროსი)

# წერილები:[1]



იღუმენია ნინო (ამილახვარი-უმცროსი) კრებულთან ერთად

## წერილი I

### ეგზარქოსს ევსევისადმი

ყოველსა, ვინცა ყოფილა მცხეთას, სარწმუნოდ, არა თუნიერ ცნობის მოყუარებისა, მიმოუხილავან შესანიშნველნი დანაშთენნი არხიტეკტურობითთა სახსოვართანი, ძველისა სატახტოჲსა ქალაქისა საქართუწლოჲსა. ესე არიან ტაძარნი: ერთი სობოროსი, სახელსა ზა სვეტისა ცხოველისასა, და მეორე = ესრეთ წოდებული, სამთავროსი; რლ სათანა იპოების მხოლოობითი საქართუწლოს შა დედათ მონასტერი; სხუწბრ, ერთსაცა და მეორესაცა, გრძელ ჟამ არს უკვე დაუკარგავსთ, ყოველთა შეჭირვებათა და არაერთგზითთა განახლებათაგამო, პლ ყოფილი შუწნიერება, გარეგანითისა გამოკვეთილების, და დაუცავსთ ოდენ კედელთა ზა თუსთა, ადგილ-ადგილ, ვითმე რეცა სახსენებელად ადრინდელისა დიდშუწნიერებისა, რავდენნიმე ოდენ ქუანი, წარმომადგენელნი შუწნიერად გამოქანდაკებულთა ჰელოვანისა მკვეთელისაგან, ემბლემათა და ნაკვეთთა. გარნა კნინღა თუ ვისმე მიმომხილველთაგანსა, არა წინათვე უწყებულსა, მიუპყრიეს ყურადღება გალავანსა შა უკანასკნელისა ტაძრისასა, მინიატურებრსა გუმბათოვანსა შენობასა ზა მიყრდნობილსა მას გალავნისადმი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით კერძო, რლიცა ესოდენ ძვირფას არს, სარწმუნოებითთა მოხსენებათა გამო, თუთოეულისა კეთილმორწმუნისა ქართუწლისათუს – ესე არს ეკკლესია საქართუწლოს განმანათლებელის ნინასსა, დადგენილი ადგილსა ზა თუთ მის მაყვლოვანისასა,

1. იბეჭდება პირველად - რედ.

სადა მოციქულთას სწორმან ნინა განატარა პლნი სამნი წელნი, მყოფობისა თჳსისანი საქართუჱლოს შა; სადა აღმობრწყინდა პლი ვარსკულავი, განმდევნელი სიბნელისა კერპთმსახურებისა, მზარესა ამას შ ა; სადა განხდა პლი სიტყუა, მაუწყებელი წარმართოვანისა ივერიისადმი ჭეშმარიტებისა სახარებისა და მომფენელი სხივშემოსილისა ნათლისა უცვალებელისა სიმართლისა. ვერ შესაძლო არს მოხსენება (ანუ მოგონება), თჳნიერ განკვირვებისა, რლ ეკკლესია, ესე არს რა აღშენებულ პლთა შ ა დროთა დამკვიდრებისათა აქა, დასაწყისსა შ ა მეოთხისა საუკუნესასა, ქრისტიანობისა, აქამომდე ჯერეთცა წარმოადგენს შესაძლოებასა აღსრულებისათჳს მას შ ა უსისხლოჲსა მსხუჱრპლისა. გარნა დრო სახილველად უკვე ჰსდებს მას აღმომფხურელსა ბეჭედსა თჳსსა.

მაღალყდუსამღუდელოესმან ექსარხოსმან საქართუჱლოჲსამან, არხიეპისკოპოსმან ევსევი, მწყემსთმთავრულითა თჳსითა მზრუნველობითა, დაცჳსათჳს ამ დიდ-მნიშნუჱლისა ძუჱლისა სიწმიდისა, აღიარა მიუცილებელად არა თუ ოდენ განმტკიცება მისი, ად განვრცელებაცა; შესაძლოებისაებრ, სადგურობისა მისისა კარისბჭითა და მიშენებითა დასავლეთის მჴრით, შეუცვალებელად სხუჱბრ აწინდელისა მისისა სახისა; მოპოება მისთჳს კანკელისა, ბარძიმ-ფეშხუმისა და სხუათა კუთვნილებათა და ამა განზრახვითა, კეთილინება დადგინება ჩემდა ვალად, მოწოდებისა კეთილმოსურნეთა მძღუნელთა, შეძლებითისა შემოწირვისადმი წინამდგომარეთა წარსაგებელთათჳს, ამა ღმრთისსათნოსა საქმესა ზ ა

უგულსმოდგინესად მოვაწევ რა ამას ცნობადმდე კეთილმორწმუნეთა მოქენეთასა შუჱნიერებისა სახლისა ღმრთისა, მაქუს პატივი, დავჰსძინო რომე მოსურნეთა მწეყოფად, მოყვანისათჳს არსებად კეთილისა განზრახვისა მისის მაღალყდუსამღვდელოესობისა, ძალუძსთ წარმოგზავნა შესაწირავი თჳსთა კანცელიარიასა შ ა, საქართუჱლოს ექსარხოსისასა ტფილისს, და სახელსა ზ ა ჩემსა, სამთავროს დედათ მონასტერსა შ ა, რომელ არს ტფილისის უეზდის სოფელსა მცხეთას:

განმგებელი მონასტრისა
მონაზონი ნინა.

(მონასტრის არქივიდან)

## წერილი II

## საქართუჱლოს სასულიერო ობლების სამზრუნველოს

### სამთავროს წმიდის ნინას დედათ მონასტრის წინამძღვრისაგან

თანახმად უწმინდესის სინოდის უქაზისა, 4 იანვრიდგან, 1866 წელსა, იყო გახსნილი, რწმუნებულ ჩემდა დედათ მონასტრის სახლებში, საქართუჱლოს ეპარხიის სამღუდელოთ ობლების სასწავლებელი; რომელიც იმყოფებოდა სრული თოთხმეტი წელიწადი; არავითარი ფასი არ მიუღია ჩემს გლახაკს მონასტერს მისთჳს. (ჰქონდა) ნუგეშობდა მით, რომელ უშვრებოდნენ მას ყოველთვის ჯეროვანს პოჩინკას, გარნა, საუბედუროდ მონასტრისა, კომიტეტმა, რომელთაც ჰქონდათ მინდობილი 18 ივნი-

სიდგან 1877 წელსა, №82. – პოჩინკა და განშვენიერება, მოხსენებულის სახლებისა, არ აღასრულეს თავიანთ მოვალეობა, თანახმად აქტისა და სმეტისა.

ამისთვის, მაქუს პატივი, ვითხოვო სამზრუნველოსაგან, მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება, მიეწეროს დაწესებულს კომიტეტს, რომ მალე შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. უმეტეს, აწ რომ სასწავლებელი იგი გადმოიტანეს ტ. ქალაქში, და სახლები იგი მინგრეული დაუტევეს.

იღუმენია ნინა.

12 ოკდომბერსა 1879.

ფონდი 489, ანაწ. 1, საქ. 39079

## წერილი III

### უწმინდესის მმართებელს სინოდის კანტორას,

**სამთავროს წმიდის ნინას დედათ მონასტრის წინამძღვრისაგან**

უქაზსა ზედა სინოდის კანტორისასა, 22/24 აგვისტოდგან, ამა 1881 წლისა №4684, მაქუს პატივი, უმორჩილესად მოვახსენო, რომელი სახლები, სადაც წინეთ იქონიებოდა სასულიერო ქალების სასწავლებელი, არის შემოწირული ჩემდამო რწმუნებულის მონასტრისათვის, მეფის ძის იულონის ასულის თამარისაგან, სახსოვრად თვისისა; ხოლო მე დაუთმე დროებით სამზრუნველოს უქირაოდ; მით, რომ, ყოველივე რემონტიროვკა მისი მეღო მათ რადგანაც აწ სასწავლებელი იგი გარდაიტანეს ტფილისში და სახლები დარჩა ურემონტიროვკოდ – ამისთვის, როგორათაც ნათესავნი მათნი, ეგრეთვე გარეშე პირნიცა, ხშირად მოდიან მცხეთას; ჰხედვენ რა დატევებულსა – თხოულობენ მოიყვანონ ისრევე იმ მდგომარეობაში, რომ სახსოვარი მისი არ მოისპოს; და იქონებოდეს თავშესაფარად მომსვლელთა მლოცველთათვის, უკეთუ შენობა ესე, შემოწირული წარჩინებულისა გვამისაგან, დაიქცევა... და ვინლა ისურვებს სხვისა რაისამე სახსოვარისა შემოწირვასა, გლახაკსა ამის მონასტრისათვის.

გარდა ამისსა, მონაზონთ სადგომი კელიები არიან ძლიერ ნოტიონი და შეიძლება გარდასახლდნენ მას შინა სნეულებით დაუძლურებულნი მონაზონნი.

ამისთვის, უმორჩილესად ვჰთხოვ სინოდის კანტორას განახლებასა მათსა, რათა დაცემა მისი არ მიაწერონ მონასტრის წინამძღუარს, უყურადღებლობას უწარჩინებულესთა ნათესავთა შემომწირველისათა.

იღუმენია ნინა.

9 სეკდემბრისას 1881 წ.

ფონდი 489, ანაწ. 1, საქ. 39079

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ღირსი გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი

ი. 65/23

# მონაზვნის აღთქმა
## კითხვა-მიგება

უკეთუ მოსრულხარ წინაშე ღუთისა, გკითხავ სიმშვიდით
და მოიგე ჩუენ ყოვლითა კრძალულებითა:
კითხვა: რაისათვის მოსრულხარ, ძმაო, შევრდომით, წმიდასა
ამასა მსხვერპლის შეწირვასა და წმიდათა ამათ კრებულთა?
მიგება: მნებავს განშორებაჲ სოფლისაგან, პატიოსანო მამაო.
კითხვა: ნებითა შენითა ღირს იქმნებია ანგელოსებრივსა ამას სახესა
და წესსა გუნდთა მონაზონთასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.
წინამძღუარმან: ხოლო რაჟამს აღგირჩევიეს კეთილი და სანატრელი ესე
საქმე, უკეთუ გნებავს განსრულებაჲ კეთილისა საქმისა,
შრომითა, რუდუნებითა და ცხოველითა განსრულდების.
კითხვა: ნებსით გონებითა შენითა მოხუალა წინაშე უფლისა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.
კითხვა: დაიცავა ქალწულებასა შენსა ყოვლითა გონებითა და სასოებითა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.
კითხვა: ცხოვრებასა შინა შენსა ვიდრე სიკვდილამდე ჰყოფა
მორჩილებასა უფროისისასა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.
კითხვა: დაითმენა ყოველსა ძვირისხილვასა, იწროებასა, ბოროტთა
მიერ აღძრულსა მზაკუარებასა, სასუფეველისათვის ცათასა?
მიგება: ჰე, ღუთისა ძალითა, პატიოსანო მამაო.

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი
მადლობას უხდის და ლოცავს
გამომცემლობა „შარავანდის“ ხელმძღვანელს
ბატონ თამაზ შარიქაძეს

ხუთშაბათობით, 14 საათზე
სამთავროს ფერისცვალების ტაძარში
ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატთან
მონასტრის მოძღვარი, არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე),
აღასრულებს პარაკლისს მძიმე სნეულთათვის.